



ლაკლაკეთი

მოწყალეების კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა ამინ.

სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვაღვინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველო(მ)სათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედა(მ)ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისო(მ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუღუმებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისა(მ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტკევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა.

ლაკლაკეთი

№3
2014 წელი

სალიტერატურო - სამხატვრო, სამეცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და დამფუძნებელი
შალვა ველიაძე

მთავარი რედაქტორის
თანამემწე
ნაზი ველიაძე

აღმასრულებელი
რედაქტორი
გურამ თურმანიძე

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

ემან ღავითაძე

სარედაქციო საბჭო:

მალხაზ ბერიძე, ოთარ გოგოლიშვილი, გული გაბაიძე,
მურმან დავითაძე, ვაჟა დავითაძე, გურამ ველიაძე,
ზვიად ველიაძე, ერასტი ველიაძე, მაგდა ველიაძე,
გიორგი სარაჯიშვილი, შუშანა ფუტკარაძე,
ოთარ ცინარიძე, ვასო ხიმშიაშვილი

ჟურნალი გამოდის მთავარი რედაქტორის და დამფუძნებლის ხარჯით


ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი ხატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

ავტორთა საყურადღებოდ:

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს. რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sulfaen, 12 pt (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). შემოსული მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.





აჭარელთა ლოცვა სამშობლოსათვის

ღმერთო მაღალო, შეგივრდებით აჭარის მკვიდრნი, საქართველოს ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული კუთხის შვილნი და გთხოვთ მოწყალო, განამტკიცე ღვთისმოყვარე ერი ჩვენი, ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად, მოგვეცე გული გონიერი და ძალი სამშობლოსა და შენს სადიდებლად თავდადებული მსახურებისა, გვედრებით მეუფეო, წმინდა ანდრია პირველწოდებულის, წმინდა მატათა მოციქულისა და ქრისტესათვის წამებულ ათასობით აჭარელთა და სხვა ქართველ წმინდანთა მაღლით აღადგინე ჩვენი ქვეყნის საზღვარნი, სრულიად განაბრწყინვე ეს მხარე და სრულიად საქართველო, რათა ერთობით გადიდებდეთ შენ და ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.



ვანო ვაკუშნიძე

ნანი აროშიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი

სასოფლო-სამეურნეო სამართლებრივ-ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ფორმირება და აბრარული სექტორის კერძოკერძოებები

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში შემუშავდა აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომლის მიხედვით აგროსასურსათო სექტორის ამოცანად ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცება დაისახა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №98, 1992 წლის 22 სექტემბრის №949 და 1993 წლის 16 იანვრის №220 დადგენილებებით, ჩვენს ქვეყანაში აგრარული რეფორმა მიწის რეფორმით დაიწყო, რომლის ძირითადი პრინციპებია:

- საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის თავისუფლება, ანუ თითოეული ადამიანი ირჩევს საკუთრებისა და მეურნეობრიობის იმ ფორმას, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება მის ინტერესებს და შესაძლებლობებს;
- აგრარულ გარდაქმნათა ნებაყოფილობა;
- აგრარულ გარდაქმნათა თანამიმდევრულობა და მიზანმიმართულება, ანუ იცვლება არა მხოლოდ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ მათი მართვის სტილი და სტრუქტურა, შიდასამეურნეო საწარმო-ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

რადიკალურმა აგრარულმა გარდაქმნებმა ქვეყანას სასურველი შედეგები ვერ მოუტანა, რადგან მის სისტემაში არ მუშაობდა საბაზრო მექანიზმი. 20 წელზე მეტია, რაც ჩვენმა ქვეყანამ თავისი მომავალი საბაზრო ეკონომიკას დაუკავშირა. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის ეს დრო არც თუ ისე ცოტაა, მაგრამ აგრარულ სექტორში მისი არაღამაკმაყოფილებელი შედეგები უკვე სახეზეა.

ქვეყნის სასურსათო პოტენციალი სრულად ვერ ამოქმედდა და ვერ უზრუნველყო სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ახალი სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნა, მოსახლეობა ვერ დასაქმდა, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოტენციალის მოპოვება და საექსპორტო შემოსავლების ზრდა შეჩერდა.

აღნიშნული კონცეფციით განსაზღვრული დასახული მიზნების მისაღწევად ვერ გადაწყდა ისეთი ძირითადი ამოცანები როგორცაა:

- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობაში რეფორმებისა და რესტრუქტურ-იზაციის გაღრმავება მყარ საკანონმდებლო ბაზაზე;
- კონკურენტული გარემოს ფორმირება, ეფექტური კონკურენტუნარიანი საწარმოო ერთეულების ფორმირება;
- შიდა ტევადობის გადიდება. დასაქმებისა და შემოსავლების დონის არსებითი ამაღლება;

– რესურსების კონცენტრირება პრიორიტეტულ მიმართულებებზე და სხვა საკითხები. საბჭოთადროინდელი მსხვილმასშტაბიანი, „ბაზარზე“ ორიენტირებული სოფლის მეურნეობა მცირემასშტაბიან, საკუთარ მოხმარებაზე და თვითუზრუნველყოფაზე დაფუძნებულ დარგად გადაიქცა, ჩამოყალიბდა ნატურალურ, ნახევრად ნატურალურ და კარჩაკეტილ მეურნეობათა სისტემად. იგი გახდა ქვეყნისათვის არაეფექტიანი და არარენტაბელური მეურნეობა, რაც ყოველად გაუმართლებელია.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტადაა განვითარებული, ძალზე დაბალია მისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები და დიდად ჩამორჩება ყოფილი სსრ კავშირისა და მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს. კიდევ უფრო დიდია ჩვენი ქვეყნის ეს განსხვავება მსხვილ მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან (აშშ, ინგლისი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა. შ.) შედარებით, რაც აპირობებს შრომის მაღალ ნაყოფიერებას ამ ქვეყნებში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი ბევრად მეტ ადამიანს კვებავს, ვიდრე ჩვენთან. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი დიდ ბრიტანეთში ინახავს 101 ადამიანს, ბელგიაში-100, აშშ-ი-74, გერმანიაში-66, ჰოლანდიაში-62, შვეციაში-50, კანადაში-49, იტალიაში-42, საფრანგეთში-41, ავსტრალიაში-40, ნორვეგიაში-32, ავსტრიაში-29, იაპონიაში-27, ფინეთში-23, ყოფილ სსრ კავშირში-15, აზერბაიჯანში-6, სომხეთში-5, ხოლო საქართველოში მხოლოდ 3 ადამიანს, ეს სამწუხაროა მაგრამ ფაქტია.

აგრარული მეურნეობის არაეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ, საბაზრო ორიენტაციის მიუხედავად, გატარებულმა კურსმა დაკარგა თავისი მიზანმიმართული ქმედითობა და აგრარული სექტორი საბაზრო მეურნეობის საწინააღმდეგოდ, ნაკლებადუკუგებიან, არასასაქონლო, ნატურალურ მეურნეობად ჩამოყალიბდა.

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში არასრულად გამოიყენებოდა ჩვენს ქვეყანაში არსებული საწარმოო პოტენციალი: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობა, და შესაბამისად აგრარული სექტორის ეკონომიკა არარენტაბელური და არაეფექტიანი გახდა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აგრარულ სექტორში მიწისა და კაპიტალის ფაქტორები ერთი მესამედითაც არ იყო გამოყენებული, შრომის ფაქტორი სანახევროდ, ხოლო სამეწარმეო უნარი თითქმის აუმოქმედებელი დარჩა. ვერ შეიქმნა ნამდვილი მეწარმეები, და თუ ამას შეხვდები, ისინი ახლა არიან არასრულყოფილი მეწარმენი, ძირითადად ეწევიან კარჩაკეტილ, ნატურალურ მეურნეობას და თავიანთი თავის მოთხოვნილების უზრუნველყოფით არიან დაკავებულნი.

რესპუბლიკის, როგორც აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის საერთო ინტერესები ობიექტურად მოითხოვს მაღალგანვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნას, რამდენადაც რესპუბლიკის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის სხვა დარგები უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან სოფლის მეურნეობის განვითარების დონეზე. ამ მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის დარგის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა, რომელმაც საბოლოო ანგარიშით უნდა მოგვცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაზრდის და მათზე რესპუბლიკის მოსახლეობის მაქსიმალური დონით დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ეს პრობლემა სრულად წყდება მხოლოდ მსხვილი მეურნეობის პირობებში და არა წვრილ გლეხურ მეურნეობაში. საქმე იმაშია, რომ მიწის პრივატიზაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძალზე დაქუცმაცდა, დაწვრილერთეულა, რაც კიდევ უფრო დააბრკოლებს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებას სოფლად. ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს დებულებას, წვრილთან შედარებით მსხვილი მეურნეობის უპირატესობის შესახებ. მსხვილ მეურ-

ნეობას, ჯერ ერთი, მეტი სახსრები გააჩნია თანამედროვე ტექნიკის შესაძენად და მეორე, უფრო ეფექტიანად შეუძლია ამ ტექნიკის გამოყენება. ამიტომ ყველა განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელია ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილების პროცესი, მაგალითად, აშშ-ში 1950 წელს ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი 6 მლნ-მდე იყო, ხოლო ერთი ფერმის საშუალო სიდიდე, მიწის ფართობის მიხედვით, 68 ჰექტარს შეადგენდა, ამჟამად აღნიშნულ ფერმერთა ბაზაზე, მათი რაოდენობა 2,3 მლნ-მდე შემცირდა და ერთი ფერმის საშუალო სიდიდემ მიაღწია 184 ჰექტარს, იგივე ხდება ევროპის ქვეყნებში და აზიაში, კერძოდ იაპონიაში.

ამის თვალსაჩინო მაგალითი აჭარაშიც გვქონდა, – კოლმეურნეობათა გამსხვილება აჭარაში, ჯერ კიდევ ადრე, 70-80-იან წლებში, განხორციელდა.

როგორც ცნობილია, აჭარისათვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა. ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ 83 ათას ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, აქედან დაახლოებით 60 პროცენტამდე ალპურ და სუბალპურ სათიბ-საძოვრებს უჭირავს, რომელთა გამოყენების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში განისაზღვრება 2,5-3 თვით, 40 პროცენტზე ოდნავ მეტი მოდის დამუშავებაში მყოფ მიწებზე. როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკა მცირემიწიანი ქვეყანაა, ხოლო აჭარა მიწით უზრუნველყოფის მხრივ (იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის დამუშავებაში მყოფი მიწა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით) 2,5-3-ჯერ ჩამორჩება საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს.

აჭარაში, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ასეთი მცირემიწიანობა კომპენსირებული იყო ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებით, რაც გამოიხატებოდა მაღალინტენსიური კულტურების – ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს და ა. შ. უპირატესი განვითარებით, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართობის ერთეულზე შრომითი და ფულადმატერიალური დანახარჯების და შემოსავლის მაღალი დონით.

მართალია, ავტონომიური რესპუბლიკის და მისი რეგიონების მიხედვით ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის გარკვეული სპეციალიზაცია და მეურნეობათა შესაბამისი საწარმოო ტიპები, მაგრამ საწარმოო ძალების განვითარების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ ტექნიკური ბაზის დონეს არ შეესაბამებოდა მეურნეობათა სიდიდე. ამიტომ პირველი რიგის ამოცანად დაისახა ე.წ. ჰორიზონტალური ინტეგრაციის ღონისძიებათა გატარება, ანუ წარმოების სპეციალიზაციის გადრეკვა და კონცენტრაციის ღონისძიება თვით სოფლის მეურნეობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კოლმეურნეობათა გამსხვილება და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა შექმნა.

1975-1978 წლებში, გამსხვილების შედეგად, წინა წლებში არსებული 163 კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა 69 კოლმეურნეობა. თითოეული კოლმეურნეობის საშუალო სიდიდე გაიზარდა 2,5-ჯერ, მთიან რაიონებში კი 3,2-ჯერ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, შიგარაიონული და შიგასამეურნეო სპეციალიზაციის განხორციელებასა და თითოეული დარგის მოცულობის გადიდებასთან ერთად, ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა ტექნიკური საშუალებების, და საერთოდ ძირითადი ფონდების კონცენტრაციასა და მათ უკეთ გამოყენებას, ასევე კოლმეურნეობათა განმტკიცებას ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით.

ჩვენთან, წინა ხელისუფლების უუნარობის შედეგად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებლობამ, მიწების არასწორმა პრივატიზებამ და ნაკვეთების მცირე ნაწილებად დანაწევრებამ ანტიმექანიზაციური პროცესები წარმოშვა და მოშალა წარმოების რთული პროცესების კოორდინაცია, ვერ მოხერხდა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების გაერთიანება ერთიან სისტემად და ორგანიზებული პროდუქტიული საწარმოები ვერ ჩამოყალიბდა, არასწორად ჩატარდა საწარმოთა რეორგანიზაცია,

რესტრუქტურისაცია, მსხვილი მაღალრენტაბელური, ორგანიზებული, სასაქონლო მეურნეობები არასწორად დაიშალა, მათ ბაზაზე ახალი-ცუდად ჩამოყალიბდა, კერძო სექტორი სრულად ვერ ამუშავდა, ხოლო სახელმწიფო სექტორი ჩაკვდა, იგი არ მოქმედებს და საერთოდ აგრარული ეკონომიკა აუმოქმედებელი დარჩა.

რეგიონების სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდებისა და არსებული რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია მოიშალა. ასევე მოიშალა (და ახალი არ შეიქმნა) ქვეყნის რეგიონებიდან ისედაც მცირე ოდენობით და ძვირადღირებული წარმოებული პროდუქტების შემოტანის ორგანიზაცია; დაირღვა დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი პროდუქტთა გაცვლის ექვივალენტობა, ჩამოყალიბდა ეკონომიკის დარგებს შორის ფასთა დისპარიტეტი, ფაქტიურად შეწყდა აგრარულ სექტორში კაპიტალდაბანდებები და ინვესტიციები, მოიშალა ქვეყნის მხარეებში პროდუქტთა ქვეკომპლექსების ფორმირების ადრინდელი, მეტად კარგი ხელსაყრელი პირობები, სარწყავი და დაშრობითი სისტემები მთლიანად უმოქმედოა, არ წარმოებდა ნიადაგდაცვითი და მიწის ნაყოფიერების აღდგენისათვის მიზანმიმართული საქმიანობა, მიწათმოქმედებაში მყოფ მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების ამადლებზე ხომ ზედმეტია საუბარი, მთლიანად მოიშალა სოფლის 90-იან წლებამდე არსებული ორგანიზებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციონალური მოწყობა ახალი ვითარების შესაბამისად ვერ გარდაიქმნა, ვერ ჩამოყალიბდა მიწისა და სხვა საშუალებათა მომსახურების ხელშემწყობი ბაზრები და დაირღვა საერთოდ ეკონომიკური კავშირები-ქალაქსა და სოფელს, აგრეთვე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, მოხდა მათ შორის ხიდატეხილობა. ახალი, საბაზრო ურთიერთობაზე დამყარებული წარმოებითი წესი ვერ ჩამოყალიბდა და ვერ დამკვიდრდა, რაც ყოველად გაუმართლებელია.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრმა დაცემამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენი სასურსათო ბაზრის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს იმპორტული, თანაც უხარისხო კვების პროდუქტები, მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებლის სრულად დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 15-20 პროცენტი. სასურსათო ბაზრის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტისაგან არ გააჩნია თითქმის არც ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას დღეს აკლია ყველა დასახელების ძირითადი სასურსათო პროდუქტი (ასეთი კი 10-ია), მათ მოთხოვნილებას სრულად ვერცერთით ვერ აკმაყოფილებს, ამ მხრივ მსოფლიოში საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, მაშინ როცა ჩვენს ქვეყანას გააჩნია მდიდარი რესურსები, მრავალფეროვანი კარგი პირობები ხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებისათვის.

სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობა, როგორც წესი, სრულად გამოუყენებელი იყო. იგი არ წარმოადგენდა ქვეყანაში წარმოების ზრდის ფაქტორს. ჩვენთან ალბათ სამართლიანად უკუვადებულია მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემა, მაგრამ (ეკონომიკის არარსებობით) არამოქმედდა ეკონომიკური მართვის მეთოდები, ქვეყანაში მართვის ვაკუუმი შეიქმნა. სახელმწიფომ ეკონომიკის მართვა ე.წ. „ლამის დარაჯს“ – არასტაბილურ ბაზარს მიანდო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე არავითარ საქმიანობას არ ახორციელებდა. არადა, სახელმწიფო სოფლად უნდა ეწეოდეს წარმოების რეგულირებას 3 მიმართულებით:

პირველი – განვითარების პროგნოზირებასა და დარგთაშორისი პროპორციების დაცვას;

მეორე – ფინანსურ მხარდაჭერასა და დახმარებას;

მესამე – საქონელმწარმოებლების ინფორმირებას საქონლის ბაზრების რაოდენობაზე და მომხმარებელთა ინფორმირებას საქონლის მიწოდების თაობაზე. ე.ი. მოახდინოს მარ-

კეტინგული მართვის ორგანიზაცია. ქვეყნის აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს:

1. საწარმო-ეკონომიკური ურთიერთობისა და ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს საქონელმწარმოებლის საჭირო შემოსავლებით და ცხოვრების მისაღები დონით სრულად ამოქმედებას;
2. სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით საინვესტიციო პროცესების გააქტიურებას და მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებულ დანერგვას;
3. წარმოების ორგანიზაციის, მართვისა და რეალური პროგნოზირების ოპტიმალური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციას;
4. საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას;
5. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტიების შექმნას.

სამწუხაროდ, წინა, ნაციონალურმა ხელისუფლებამ არც ერთი ეს ფუნქცია არ შეასრულა. აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ზემოთ მოტანილი ვერც ერთი ფაქტორი წინა ხელისუფლებამ რეალურად, მთელი სისრულით, ვერ ამოქმედა, რაც, ბუნებრივია, აგრარული ეკონომიკის განვითარების სერიოზული შემაფერხებელი მიზეზი გახდა. როცა XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის ცარიზმმა ძლიერ შეაფერხა სოფლის მეურნეობის განვითარება კოლონიურ საქართველოში და ფაქტიურად მოახდინა ერთ წერტილზე სრული გაყინვა, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოებრივი მმართველობის როლზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ვიდრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალთ, რომ აქ მიწათმოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს, მისი ჰავის და მისი მიწის შესაფერი, ვიდრე თავის მეცადინეობას იმაზე არ მიაქცევს, რომ ახალი საჭირნახულო საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა“. ხელისუფლებამ, გლეხი შიშველი ხელებით დავტოვეთ მიწასთან, იგი უპატრონოდ იყო მიტოვებული. სოფლად, მთავრობის მუშაობა სამი კრიტერიუმით უნდა შეფასდეს – შექმნა თუ არა მან ეკონომიკური ზრდის ტემპი; გაზარდა თუ არა სამუშაო ადგილების რაოდენობა და რამდენი ახალი ბიზნეს-ორგანიზაცია შექმნა. მართალია, მთავრობა ამტკიცებდა ბევრი რამ გავაკეთეთო, მაგრამ ამას ხალხი ვერ გრძნობდა, იმიტომ, რომ ამ სამი კომპონენტიდან არც ერთი არ ამოქმედებულა და ხალხის ცხოვრების დონე არ გაუმჯობესებულა. შედეგად საკმარისია, დავსახელოთ ის ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, შიმშილის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, მაშინ, როდესაც საქართველოში დღეს არსებულ პოტენციალს შეუძლია სრულად დააკმაყოფილოს სამჯერ მეტი მოსახლეობის მოთხოვნილობა. ერთი სიტყვით, საქართველოს აგრარული ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელი გზა კვლავაც მდგრადი არ არის და თუ იგი სასიკეთოდ არ შეიცვალა, მომავალშიაც საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

დღეს ჩვენ გვჭირდება ძლიერი გლეხური მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდება. ეს გზა უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი გზა სოფლად საბაზრო სტრუქტურის ფორმირებისათვის, სამწუხაროდ ჩვენთან პირიქით ხდებოდა. მეურნეობები დაწვრილდებოდნენ, გამასივებული მიწები დაქუცმაცდა და მსხვილი მანქანური ტექნიკისათვის სამექანიზაციოდ გამოუყენებელი გახდა.

წარმოების საქონლიანობის ამაღლებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეურნეობათა გამსხვილებას, გლეხურ მეურნეობათა კონცენტრაციას. წვრილ, დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობას გაუჭირდება გაართვას თავი დიდი და მზარ-

დი ქალაქების მოსახლეობათა მოთხოვნები დაკმაყოფილებას, მაგრამ მსხვილი მეურნეობებიც თვითმიზანი არ უნდა გახდეს, როგორც ეს იყო კოლექტივიზაციის წლებში. როგორც დასავლეთის გამოცდილებამ დაგვანახა მეურნეობათა გამსხვილების პროცესის დაწყებას უნდა გააჩნდეს ობიექტური საფუძველი. ეს უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, წარმოების გადაყვანა ინდუსტრიულ საფუძველზე, რაც უკვე დღის წესრიგში ჩვენთანაც დადგა წარმოების კონცენტრაციის საკითხი. სოფლის მეურნეობაში ყველა ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილებას, – წვრილთან შედარებით, მსხვილ მეურნეობათა უპირატესობას, ვერც ჩვენ ავცდებით, მარგამ ეს პროცესი რამდენადმე დაიგვიანებს, ვიდრე საქართველოს სოფლის მეურნეობაში არ მომწიფდება ფართომასშტაბიანი ტექნიკური გადაიარაღების საკითხი.

ერთი სიტყვით შეიქმნა მწვავე სასურსათო კრიზისი, წარმოების დონე მკვეთრად, არნახული ტემპით დაეცა და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა კიდევ უფრო მეტად შემცირდა; სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა ისეთნაირად შეიცვალა, რომ ამან ხელი კი არ შეუწყო სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას, არამედ ის კიდევ უფრო მეტად გაამწვავა. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას არაფრად უღირს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანა, რადგან იგი ძალზე გაძვირდა. სოფლის ყველაზე შრომისუნარიანი ახალგაზრდობა იძულებულია უცხოეთიდან შემოიტანოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

დაჩქარდა სოფლიდან ქალაქისაკენ მიგრაციის პროცესი, განსაკუთრებით ახალგაზრდების – 18-დან 25 წლამდე ასაკისა. ამის შედეგად დაჩქარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების დაბერების პროცესი; საქართველოს რიგი რეგიონების, განსაკუთრებით მთისპირა რაიონების დიდი სივრცეები გაუკაცრიელდა. 200-ზე მეტი სოფელი მთლიანად დაიცალა, მრავალი დაცლისპირასაა მისული.

ძლიერი, მსხვილი გლეხური მეურნეობების შექმნა, სოფლად წარმოების კონცენტრაციის პროცესი, რაც ჩვენი აზრით დღეს გარდამავალი პროცესია, ადრე თუ გვიან ჩვენთანაც დაისმება და ამისათვის ახლავე უნდა შევქმნათ მისთვის ხელსაყრელი პირობები.

ამ მიზნით, პირველ რიგში, თავი უნდა შევიკავოთ გამასივებული მიწების ხელაღებით პრივატიზაციისაგან და შევინარჩუნოთ ჯერ კიდევ არსებული მსხვილი მაღალრენტაბელური მეურნეობები, რომლებიც ადგილებზე ახლა არიან და ჯერ კიდევ რეორგანიზებული არ არიან. ამასთან მიწების პრივატიზაციის დროს მიზანშეწონილი იქნება ხელი შევუწყოთ ინტეგრირებული ფორმების (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებების, და სხვა) შექმნას.

ხელი უნდა შევუწყოთ აგრეთვე საქონელმწარმოებელთა ნებაყოფლობითი კოოპერაციის განვითარების პროცესებს, პროდუქციის ერთობლივი წარმოების, მისი გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური, მომარაგების, აგროსერვისულ, საფინანსო, სამეცნიერო და სხვა სახის სფეროებში. ამასთან ერთად, აუცილებელი იქნება (თუ ჯერ კიდევ არებობს) მაქსიმალურად შევინარჩუნოთ რესპუბლიკის რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მივადწიოთ მის აღდგენას, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და კოოპერაციის გზით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვას.

სოფლად ზემოთაღნიშნული პროცესები რომ განვითარდეს, აუცილებელია ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დაჩქარება. მთავარი გამოსავალი უნდა ვეძიოთ დარგთაშორის (მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების) ეკონომიკური წონასწორობის აღდგენაში. სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ დღეს გაწყვეტილია კავშირი ქალაქსა და სოფელს, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებს შორის, რაც კვალავწარმოების პროცესების შემავერხებელია სახალხო მეურნეობის ამ ორ ფუნდამენტურ

დარგებს (მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას) შორის, საქმე იმაშია, რომ სასოფლო-სამეურნეო კვლავწარმოების პროცესი რეალურად არ არის კვლავწარმოების ცალკე აღებული და იზოლირებული პროცესი. იგი არის საერთო პროცესის ორგანული ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ნივთიერებათა ცვლას“ ქალაქსა და სოფელს შორის. თუ კვლავწარმოება შეკვეცილია ინდუსტრიაში, ამწვავეს ანალოგიურ პროცესს სოფლის მეურნეობაში, და პირიქით, სურსათის წარმოების შემცირება, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ელემენტს მრეწველობაში, ამწვავეს თავის მხრივ კვლავწარმოების პროცესს ინდუსტრიაში. ამიტომ დღეს ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელ პრობლემად დგება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის კავშირურთიერთობის აღდგენა და განვითარება, იგი მთლიანად ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხს წარმოადგენს, რაც სამწუხაროდ დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარღვეულია საქართველოში და რასაც სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. უმთავრესი ჩვენის აზრით, რაზეც ღირს ყურადღების გამახვილება, არის შემდეგი: პრივატიზაციის პროცესი სოფლის მეურნეობაში, ყოველ შემთხვევაში მიწის პრივატიზაცია დაიწყო და ხორციელდება, მაშინ, როდესაც ეს პროცესი მრეწველობაში იგვიანებს. ამიტომ დღეს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ორ პრინციპულად სხვადასხვა სოციალურ საფუძველზე დამყარებული აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობაში გაბატონებული ადგილი დაიკავა კერძო სექტორმა, მრეწველობაში კი კვლავ დომინირებს სახელმწიფო სექტორი. ამიტომ წარმოების ის სტიმულირება, რაც გაჩნდა სოფლად, არ ჩანს მრეწველობაში, აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა – პრივატიზაციის დაგვიანება მრეწველობაში აფერხებს არა მარტო ამ დარგის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის კრიზისულ მდგომარეობიდან თავის დაღწევას და დგება საკითხი იმის შესახებ, რომ დავაჩქაროთ რეფორმის კურსი მრეწველობაშიც. დღეს სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდი რაოდენობით მოიხმარს მრეწველობის პროდუქციას და ამით იგი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მრეწველობაზე. ამასთან მთავარი ის არის, რომ სოფლის მეურნეობა საკუთარი ძალებით, შინაგანი რესურსებით ვერ დააღწევს თავს იმ ჩამორჩენილობას, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. დღეს ჩვენს სოფლის მეურნეობაში ძირითადად ხელით შრომაა გამოყენებული და პრიმიტიული ტექნიკის გამოყენებას ემყარება. ჩვენი მრეწველობა კი როგორც აღვნიშნეთ, ვერ იძლევა იმ პროდუქციას, რაც სოფლისათვის ესოდენ აუცილებელია (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სათადარიდო ნაწილებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, შხამ-ქიმიკატებს, პირადი მოხმარების მრავალ აუცილებელ საგნებს) მისი წარმოების განვითარებისათვის. ამასთან, რასაც მრეწველობა დღეს აწვდის, იგი გლეხისათვის მიუწვდომელია მისი უზომოდ მაღალი ფასების გამო (რეფორმის პერიოდში მრეწველობის პროდუქციაზე ბევრად მეტად გაიზარდა ფასები, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე). ყოველივე ეს კლავს გლეხში დაინტერესებას – გაზარდოს პროდუქციის წარმოება და შესაბამისად გაზარდოს თავისი ფულადი შემოსავლებიც. ამრიგად, დარღვეულია საბაზრო წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, ეროვნული მეურნეობის ამ ორ ფუნდამენტურ დარგს შორის. საბაზრო ფასები 2,5-3 ჯერ მაღალია ვიდრე უახლოეს წარსულში იყო. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოეთიდან ისეთი პროდუქტების შემოტანა (ხილი, ბოსტნეულის და სხვა), რომელთა დიდი რაოდენობით მოყვანისათვის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია საქართველოში. ბუნებრივია, ისმება კითხვა, სად ვეძიოთ გამოსავალი? გამოსავალი უნდა ვეძიოთ დარგთა შორის ეკონომიკური წონასწორობის აღდგენაში.

იმისათვის, რომ თავი დაავალწიოთ ზემოთ აღნიშნულ უარყოფით ტენდენციას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაჩქარდეს რეფორმა მრეწველობაში, რათა აღდგეს დარღვეული კვლავწარმოებითი კავშირი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, რათა მიეცეს სოფელს სტიმული აწარმოოს პროდუქცია გასაღების მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქონლიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია გლეხურ მეურნეობაში შევინარჩუნოთ სპეციალიზაცია. მეურნეობათა ნატურალიზაციის ტენდენციის გამო, იმის გამო, რომ გლეხს გაუჩნდა მიდრეკილება აწარმოოს ცოტ-ცოტა და ყველაფერი საკუთარი მოთხოვნილებისათვის, კნინდება სოფლის მეურნეობის მთავარი მაპროფილებელი დარგები – მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქეობა, მეხილეობა და ა. შ. მაგალითად, მეთამბაქეობა, რომელიც აჭარის შიდა მთიანი რაიონებისათვის (ქედა, შუახევი, ხულო) ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდ ადგილს იკავებდა მთიანი რაიონების ეკონომიკაში. ყოველწლიურად იზრდებოდა თამბაქოს წარმოების მოცულობა. დაინერგა საკარმიდამო ნაკვეთებზე თამბაქოს მოყვანის და სახელმწიფოზე მტკიცე ფასებში მიყიდვის პრაქტიკა. შესაძლებელია ეს დაუფერებლადაც გვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ თამბაქოს კულტურას მთიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3-დან 4 პროცენტამდე ეკავა, მაგრამ მასზე მოდიოდა კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავლის 65-დან 78 პროცენტამდე. ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზეც. ამიტომ ამ დარგებში პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის სტიმულირებას, მის შეფასებას მყარი ვალუტით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, როცა ლაპარაკია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავეთმოთ ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკის საარსებოდ მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას. და, რასაკვირველია, აუცილებელია საქართველოს ცალკეულ ზონებსა და ქვეზონებში გამოყენებულ იქნას მაღალი ტენსიური კულტურების დანერგვის ფართო შესაძლებლობები, რომელიც მოცემული სახის პროდუქციის წარმოებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობების არსებობით მიღწეულ იქნება ეფექტური, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი რენტაბელობა.

საქართველოს დღევანდელი აგრარული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების მთავარი მაგისტრალური გზა კვლავ მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებაზე გადის. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხი უნდა იყოს მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისამდის ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ზრდას აფერხებს ძირითადად ორი ფაქტორი: პირველი – ბიზნესისა და ინვესტიციებისადმი რისკიანი გარემო პირობები; და, მეორე – “სიღარიბის ხაფანგების” არსებობა, განსაკუთრებით სოფლებში.

„სიღარიბის ხაფანგები“ უცხოეთში დიდი ხანია დამკვიდრებული ეკონომიკური ტერმინია და იგი რეგულირდება. რა იგულისხმება მასში – ქვეყნის ერთიან სისტემაში ისეთი ადგილებია, რაც არ უნდა ითონო, იგი ეკონომიკის განვითარებაზე (ზრდაზე) არავითარ გავლენას არ ახდენს, ან ძალზე უმნიშვნელოა მისი ზემოქმედება. ხალხი კი ამ ადგილებიდან არ გადადის სხვა ადგილებზე საცხოვრებლად, და ეკონომიკური სიღუბნური უცვლელია, სიღატაკე კვლავ რჩება, არ უმჯობესდება. ასეთი სივრცობრივი არეალი „ხაფანგებისა“ ძირითადად საქართველოს მთიანეთშია წარმოდგენილი. საქართველო კი, მოგეხსენებათ, ძირითადად მთიანი ქვეყანაა, – სამთო მიწათმოქმედებას უკავია დასამუშავებელი ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მეტი.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად სოფლის მეურნეობის განვითარების პრინციპები ერთდროულად სამ ასპექტს ითვალისწინებს, ესენია:

- ბაზართან კავშირი, ე.ი. მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარება;
- აგრარული სტრუქტურები, ანუ ადამიანსა და მიწას შორის ურთიერთობის

სპეციფიკური ეკონომიკური, სოციოლოგიური და სიმბოლური ასპექტები; და,
– ფინანსების ხელმისაწვდომობა.

უცხოეთში ამას განვითარების ტრილოგიას ეძახიან და თვლიან, რომ თუ ამ სამი ელემენტიდან ერთი მაინც გამოაკლდა, რაიმე მნიშვნელოვანი განვითარება არ მოხდება. ჩვენ ამ სამ ელემენტს მეოთხეც დაგუმატეთ, კერძოდ: ჩვენი ქვეყნის მძიმე პირობებიდან გამომდინარე, ეს არის სახელმწიფოებრივი მართვის არაქმედითუნარიანობა. ჩვენი ეს მიდგომა ემყარება გენერალ დე-გოლის ფუძემდებლურ მოსაზრებას, კერძოდ, “რაც უფრო მეტად არის შერეული ეკონომიკა, მით უფრო აქტიურად მართული უნდა იყოს”. მან გამოთქვა, უდაოდ, ჭეშმარიტი იდეა და იგი საფრანგეთში პრაქტიკულად, ცხოვრებაში განახორციელა, და შეიძლება ითქვას, ამით მან გადაარჩინა აღნიშნული ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფისაგან მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განხორციელებისათვის, ამ ეტაპზე, საჭიროა – სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობის ამაღლება, და ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული მართვის სისტემა და არა, წინანდელი, ე.წ. საბჭოთა სისტემით გამოყენებული – მართვის ადმინისტრაციულ დირექტიული (ბრძანებლური) სისტემა.

ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული მართვის სისტემის გამოყენებით შევძლებთ ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების გაწვევის გარეშე, დროის მოკლე პერიოდში, აღვადგინოთ ქვეყანაში საშემსრულებლო დისციპლინა და ეკონომიკა – ავალორძინოთ და განვაერთაოთ. შემდგომ კი, როცა ეკონომიკა აღორძინდება და გაჯანსაღდება, უკუვაგდებთ მას და გამოვიყენებთ მართვის ეკონომიკურ მეთოდებსაც, რადგან ამის გამოყენების საშუალება უკეთ გვეძლევა, თანაც ფულადი წყაროებიც ადვილზე გვექნება. ადრე, ასე მოიქცნენ ყველა განვითარებული ქვეყნები, და ჩვენც ასე უნდა გავაკეთოთ. სხვა გზა უკეთესი ამ ეტაპზე არ არსებობს!

ახლა ისმება კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქვეყნის აგრარული სექტორის ადაპტირება მოვახდინოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საბაზრო მექანიზმი ავამოქმედოთ, და სოფლის მეურნეობაში ავალორძინოთ მეწარმეობა და აგრობიზნესი განვაერთაოთ? აგრეთვე, რაც მთავარია აგრარული კრიზისი როგორ დავძლიოთ?!

ეკონომიკა მეტად მარტივი სქემით ჩვენ პერსპექტივაში ასე წარმოგვიდგება:

სქემა 1



ამ სქემის მიხედვით, ჩვენთან, აგრარულ სექტორში დღეისათვის გაწყვეტილია კავშირები რესურსებსა და წარმოების რგოლებს შორის. არ არის საწარმოები სწორად შექმნილი, დღემდე, ე.ი. ვერ მოვახდინეთ საწარმო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის გაერთიანება და საწარმოები არ ჩამოყალიბდა. იგი უნდა შეექმნათ და ფართო გზა და ასპარეზი უნდა მივცეთ ინდივიდუალურ, პარტნიორულ და სააქციო საზოგადოებებს.

დღეს მეურნეობრიობის ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმა ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მის ეკონომიკურ შინაარსს, შრომითი პროცესების თავისებურებებს, დასახულ მიზანს, დარგში მომუშავეთა შრომით ჩვევებსა და ტრადიციებს. ეს აუცილებელი მოთხოვნები ჩვენთან დღემდე არ არის რეალიზებული აგრარულ სექტორში.


საქართველოში საქონლის მწვავე დეფიციტის გამო სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს წარმოება, არ მოქმედებს კონკურენციის მექანიზმი, დაბალია პროდუქციის

კონკურენტუნარიანობა, ასევე მცირეა მომხმარებლის მყიდველუნარიანობა და სინამდვილის შესაბამისობაში არაა გამოვლენილი საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებები. მისი შექმნა აუცილებელია და იგი აქ, უნდა გადაწყდეს სახელმწიფოს დახმარებითა და ხელის შეწყობით, სხვა გზა არ არსებობს.

ამჟამად ქვეყნის მთელი ძალისხმევა მიმართულია მხოლოდ მაკროეკონომიკურ დონეზე წონასწორობის შესაქმნელად, ხოლო დაბალანსების აუცილებლობა მიკროეკონომიკურ პროცესებში ყურადღების გარეშე დარჩენილი (იხილეთ სქემა 2, სამკუთხედი). ამიტომ ეკონომიკაში ვერ ხერხდება და ვერც მოხერხდება, თუ არ იქნა წონასწორობა და მდგრადობა მიკრო და მაკრო დონეებზე. კერძოდ, მდგრადი და დაბალანსებული ზრდის ფორმირება მიკრო და მაკრო დონეებზე პლორუქციის წარმოების მომგებიანი ვარიანტის გამოვლენით, ასეთი პროცესების შესაბამისად, დეფიციტურ ეკონომიკაში, როგორც ეს ჩვენთანაა, წინა პლანზე წამოიწევა პრიორიტეტების უპირატესობის შესახებ ცნობილი კანონის მიხედვით – ამოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაცია.

ეკონომიკის ეს ტრანსფორმაცია ფოკუსირებულ გარდაქმნას გულისხმობს და ემყარება ნობელის პრემიის ლაურიატის, დ. ნორტის თეორიას. ამ თეორიით ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება ფორმალური და ფარული წესების გამოყენებით. იგი გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ინსტიტუტების მშენებლობას, სადაც ეკონომიკური რესტრუქტურისაცაა ხორციელდება ფორმის, სექტორისა და ეროვნული ეკონომიკის დონეებზე-პრიორიტეტული მიმართულების დარგების უპირატესი განვითარებით. ამ პირობით, დღევანდელი საქართველოსათვის საუკეთესო მოდელი იქნება ადგილობრივ ფერმერთა ფართო წრის საექსპორტო ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირება, ასეთი პროდუქტებია, ჩვენთან პირველ რიგში: ღვინო და ღვინო მასალები; ხილი, ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთოვნების პროდუქტები და სხვ.

რამდენადაც საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის მდგრადობა ძირითადად მიკროზონალურ-ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული, ამდენად, ახლა, უფრო გამართლებული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და მის ექსპორტ-იმპორტს ამ კუთხით შევხედოთ და მიკროზონალობის გათვალისწინებით პრიორიტეტული განვითარება მივცეთ იმ დარგებს, რომლებიც ეკონომიკურად ამართლებენ, ფარავენ არა მარტო მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს, არამედ უზრუნველყოფენ დამატებით შემოსავლებისა და მოგების მიღებას. სამწუხაროდ, ბოლო დროინდელი ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში წინააღმდეგობაში იყო ამ საქმიანობასთან. მათ ისეთ პროდუქტებზე არ ჰქონდა ყურადღება გადატანილი, რომლებიც ჩვენთვის ფარდობითი უპირატესობა ექნებოდა (ხილი, ღვინო, ეთერზეთოვანი პროდუქტია და ა. შ) ქართველი „ფერმერები“ ძირითადად არაპერსპექტიულ პროდუქციას აწარმოებენ, როგორცაა: ხორბალი, კარტოფილი, ლობიო, ბოსტნეული, ბაღჩეული და ა.შ., რომელშიც ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა არ გააჩნია, ეს, ახლანდელი გზა, ალბათ, დროებით მოვლენად უნდა იქნეს გაგებული და აღქმული. ჩვენს პერსპექტივაში ყურადღება უნდა გადავიტანოთ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე და ეს უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით. სახელმწიფომ უნდა შემოიღოს საკონტრაქტო ურთიერთობანი და დააწესოს ამ პროდუქტების წარმოებაზე შეკვეთები. იგი უნდა აიგოს მეწარმეთა ეკონომიკურ დაინტერესებაზე და წარმოების ეფექტიანობის გადიდების კურსის გამოყენებაზე. მეწარმეობის განვითარება უნდა დაემყაროს საბაზრო კანონების ამოქმედების კურსს (იხ. სქემა 2, სამკუთხედი).



სქემის მიხედვით საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი ასე უნდა აიგოს: რაც უფრო მეტად იქნება ამუშავებული საბაზრო მექანიზმი, მით უფრო მეტად გვექნება ეფექტიანი, უკუგებითი აგრარული ეკონომიკა. როგორც სქემიდან ჩანს, აქ მუშაობა სამი მიმართულებით უნდა წარიმართოს:

1. ეკონომიკურმა დინამიკამ თავისუფლება უნდა მიანიჭოს მეწარმეობას და ახალი ბიძგი უნდა მისცეს ეფექტიანი ეკონომიკის განვითარებას აგრობიზნესის განვითარების საფუძველზე. რაც უფრო მეტად იქნება ეკონომიკურ დინამიკაში ზრდა, მით მეტად ამაღლება და გაიზრდება აგრარული ეკონომიკა. სამკუთხედი გაიზრდება, პროდუქციის წარმოება ამაღლება.

2. ინსტიტუციური დინამიკა შექმნის ახალ საფუძველს სპონტანური ეკონომიკური აქტიურობისათვის, მაგრამ იგი დღეს ჩვენთან თითქმის არ მოქმედებს, საჭაროა მისი სრულად ამოქმედება.

3. პოლიტიკური დინამიკა ნიშნავს ისეთი პოლიტიკური სიკეთის შექმნას, როგორც კანონიერებაა, რაც ჩვენთან დღეს შესაქმნელია. მართალია, რიგი კანონები მიღებულია, მაგრამ არც ერთი არ მოქმედებს სრულად და ქვეყანაში უკანონობა სუფევს, რაც არასწორია. ახლა, მიწა, ჩვენთან, წმინდა ინდივიდუალური პრინციპით იმართება, იგი უნდა შეიცვალოს.

დასკვნა: საქართველოში ეკონომიკური დინამიკა ჯერ კიდევ სუსტია, ხოლო ინსტიტუციური დინამიკა-ერთ-ერთი უმთავრესი მოსაგვარებელი პრობლემაა, ამიტომ საქართველოში რეფორმირების პროცესის მთავარი საკითხი სახელმწიფოებრივი (სახელმწიფოს) განვითარებაა. იგი კი კვლავაც საბაზრო ეკონომიკის (მეწარმეთა ეკონომიკის) განვითარებას უნდა დაემყაროს. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, დღეს, ქვეყანაში არ არის ფორმირებული სახელმწიფო, სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს. საერთოდ სახელმწიფოს პოზიციური და მდგრადი განვითარების რამდენიმე გზა არსებობს:

1. სახელმწიფოს ენდოგენური განვითარების გზა (ლეგიტიმურობა->ინსტიტუციური სქემა-> ეკონომიკური განვითარება-> პოლიტიკური სარგებელი).

2. ეგზოგენური განვითარების გზა (საერთაშორისო დახმარება და კაპიტალი-> ეკონომიკური განვითარება -> პოლიტიკური სარგებელი).

3. კომბინირებული სახელმწიფოს განვითარების გზა (შიგალეგიმიტაცია +საერთაშორისო დახმარება-> ბიზნეს კლიმატი->ეკონომიკური განვითარება->პოლიტიკური სარგებელი).

ბელი). ეს უკანასკნელი საქართველოსათვის ყველაზე მეტად მისაღებია. არ შევჩერდებით მასზე, დაწვრილებით საუბრისათვის. ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უცხოეთში სახელმწიფოებრივი საქმიანობა სოფლის მეურნეობის ხაზით სამი მიმართულებით წარიმართება. ისინი ამ გზას **ტრილოგიას ეძახიან** და მიაჩნიათ, რომ თუ ამ სამი ელემენტიდან ერთი მაინც გამოაკლდა, რაიმე მნიშვნელოვანი განვითარება არ მოხდება. იმის გამო, რომ საქართველოში, ეკონომიკა სუსტია, მისი გამოცოცხლებისათვის საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს ღრობით ამ ეტაპზე, ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული მართვის სისტემა. ამის შესახებ, კვლავაც ხაზგასმით ვაყენებთ საკითხს იმიტომ, რომ იგი ამ ეტაპზე აუცილებლად საჭიროა.

დღეს, ჩვენთან, ბევრი საქონელმწარმოებლისათვის სოფლად ზემოთ დასახელებული (ტრილოგია და+1) ასპექტები ერთმანეთშია არეული და გამოუყენებელია ეკონომიკის გაჯანსაღების საქმიანობაში. არადა, ამ პრინციპების გამოყენებით შეიძლება ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის ისეთი სახით გარდაქმნა, რითაც ამოქმედდება საბაზრო მექანიზმი და მისი ზრდის ფაქტორები: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობა. ამით ავალორძინებთ მეწარმეობას და განვავითარებთ აგრობიზნესს. ამის რეალურ შესაძლებლობას იძლევა საბაზრო ეკონომიკა. იგი, ხომ მეწარმეთა ეკონომიკაა?! ამასთან, უნდა შევძლოთ გარე კაპიტალის (კრედიტები, აქციები) მოზიდვა, როგორც ინდივიდუალურად ასევე მწარმოებელთა ასოციაციების (კოოპერატივები, სხვა სააქციო საზოგადოებები) მეშვეობით. გარდა ამისა, საჭიროა: ვსრულყოთ საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო და საბაჟო სისტემები; შევქმნათ კონკურენცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ავამაღლოთ; თავისუფალი ბაზრის ფასები სრულად ავამოქმედოთ; სოციალურად დაუცველი ფენები უნდა დავიცვათ და დავნერგოთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

მსოფლიო მეურნეობის გამოცდილება ემყარება საწარმოთა სამი ფორმის გამოყენებას, მას ვეფხვებთ ეძახიან, ესენია: 1. ერთპიროვნული; 2. პარტნიორული (ამხანაგური) მეურნეობა; 3. სააქციო საზოგადოება. საქართველოს რესპუბლიკისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სამივე ტიპის საწარმოები, ხოლო განსაკუთრებული უპირატესობა მათ შორის უნდა მიენიჭოს კოოპერაციას. ინტეგრაციის და კონცენტრაციის გაზრდის და სრულად განვითარების პირობებში ჩამოყალიბდება მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი. ამით დასრულდება სოფლად საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნა და სოფლის მეურნეობებისათვის ეს იქნება კრიზისიდან თავის დაღწევის საბოლოო დამამთავრებელი ეტაპი (პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ 1990 წლის დონის აღდგენა, მაგრამ ამ დონის აღდგენით მაინც ვერ გადაწყდება საბოლოო სასურსათო პრობლემა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1990 წლისათვის (მითუმეტეს ამჟამად) საქართველოში დიდი რაოდენობით სურსათი გარედან შემოდის, ამიტომ გარდამავალი პერიოდი, აგრარული რეფორმის პერიოდი სოფლის მეურნეობაში უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე სხვა დარგებში). ჩვენთან ადრე კოლმეურნეობებისა და ყოფილი საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილი დაბალი ეფექტიანობით ხასიათდებოდნენ, ამის მიზეზი ჩვენი აზრით იყო ორი:

პირველი – დაბალი ტექნიკური ბაზა. მთლიან სამუშაოთა მოცულობაში ხელით შრომის ხვედრითი წონა ძალზე მაღალი იყო, თითქმის 80-90 პროცენტს აღწევდა.

მეორე – ზემოდან თავსმოხვეული გეგმები, და რაც მთავარია ფასები, რომლის მიზეზს ქვეყანაში გაბატონებული სახელმწიფო საკუთრებაც წარმოადგენდა, როცა საქონელმწარმოებლები ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ გეგმებზე და არა სასაქონლო ბაზარზე. დეფიციტური, ძვირადღირებული კულტურების წარმოებაში დანერგვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მაღალპროდუქტიული და ძვირფასი კულტურის გაშენება-მოყვანის მონობოლიას ფლობენ ის ქვეყნები, სადაც ჩამოყალიბებულია თავისუფალი ბაზარი. ასეთი მიდგომა ცხა-

დია ეფექტურია, რადგან იგი ხელს უწყობს ჯერ ერთი საქონელმწარმოებლის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მეორეს მხრივ ქვეყნის დეფიციტური სასურსათო ბალანსის შევსების საქმეს.

ჩვენთან ირღვეოდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კანონი გაცვლისა. საბაზრო ურთიერთობებით – მყიდველი უწესებდა ფასებს გამყიდველს. უგულებელყოფილი იყო გამყიდველის პრეროგატივა. დღეს ეს პირობები კარდინალურად შეცვლილია, ამიტომ კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების გამოცდილების შესაძლებლობა ახალ პირობებში უნდა გავითვალისწინოთ.

მსხვილი მეურნეობები – კოლმეურნეობები (კოოპერატივების სახით) და სახელმწიფო მეურნეობები შერჩევით უნდა შეგვენარჩუნებინა, ამასთან უნდა გავგვეთვალისწინებინა შემდეგი მომენტები:

ა) მოცემული სოფლის მოსახლეობის სურვილი; ბ) მათი ოპტიმალური ზომები, არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი; გ) ხელი უნდა შეგვეწყოს მათი ინტეგრირებისათვის მრეწველობასთან, ვაჭრობასთან, აგროსერვისის დარგებთან, მეცნიერებასთან; დ) უნდა გავითვალისწინოთ სოფლად კოოპერაციული მოძრაობის ისეთი ფორმები, რაც დასავლეთში დიდი ხანია აპრობირებულია. მხედველობაში გვაქვს ფერმერთა კოოპერირება გადამუშავების, პროდუქციის რეალიზაციის, მომსახურების მრავალ სფეროში და სხვა. ეს იქნებოდა მრეწველობასთან – ვაჭრობასთან, აგროსერვისის დარგებთან გლესურ მეურნეობათა ინტეგრირების ფორმა; ე) სახელმწიფო მიწის სპეციალური ფორმა უნდა შეგვენარჩუნებინა, რომელსაც ფართოდ გამოვიყენებდით იჯარისათვის, იჯარით უნდა მოგვეზიდა ყველა დაინტერესებული ბიზნესმენი, რომელთაც ექნებოდათ სურვილი სოფლად კაპიტალის დაბანდების. ამჟამად ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია, რათა მოაწყონ მეტნაკლებად მსხვილი მეურნეობები, რომელიც თანამედროვე მანქანურ ტექნიკაზე იქნება დამყარებული.

მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა მანქანურ წარმოებაზე გადასვლით, ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვით, შეძლეს თავი დაეღწიათ სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობისაგან და ეს განხორციელდა ჭარბი კაპიტალის გამოყენების გზით. იქ უდიდესი კაპიტალური დაბანდებები მოხმარდა არა მარტო საკუთრივ სოფლის მეურნეობას, არამედ აგროკომპლექსის ყველა დარგს და ასე ჩამოყალიბდა ამ განვითარებულ ქვეყნებში სრულად დახურული ციკლით მომუშავე აგროსამრეწველო კომპლექსები. ამით გადაწყდა ამ ქვეყნების მოსახლეობის სრულად მომარაგება სასურსათო პროდუქტებით და მრეწველობისა კი ნელდგულით. ჩვენთანაც ამ გზით უნდა ვიაროთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ საჭიროა სახელმწიფომ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარებისადმი პერსპექტივაში გაატაროს პროტექციონისტური პოლიტიკა.

ერთჯერ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო, ბუნებრივ-ისტორიული ტრადიციებით, აგრარული ქვეყანა იყო, არის და მომავალშიც იქნება; საქართველოს მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის სათანადო რესურსები არ გააჩნია, – დამოუკიდებლობის პირველსავე დღიდან მოიშალა ჩაკეტილი საბჭოური სივრცე, იმის გამო, რომ მძიმე ინდუსტრიის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი გარემო აღარ არსებობს, იგი უკვე ვერ გახდება ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი.

სოფლის მეურნეობა ქართველი კაცის საუკუნოვანი ტრადიციული დარგი და სიმდიდრის ძირითადი წყაროა. ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების ეფექტიანობისა და ოპტიმიზაციის პირობებში მევენახეობის, მეღვინეობის, მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების და სხვა დარგების შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით შეიქმნება ქვეყნის ეკონომი-

კური გაძლიერების და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მძლავრი საფუძველი.

საბუნებრივად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში ისეთი ეროვნული ძალები მოვიდა, რომელმაც დაიწყო თვალსაჩინო მობრუნება სოფლის მეურნეობის გადარჩენისათვის, დაისახა პოზიტიური გზები აგრარული სფეროს პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ:

- აგრარული სფერო ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად იქნა მიჩნეული და „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, ხელისუფლებაში მოსვლამდე, საზოგადოებას დეტალურად გააცნეს სოფლის გადარჩენისა და განვითარების საკუთარი ხედვა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი დაუყოვნებლივ დაიწყო ამ პროექტის განხორციელება;
- გლეხობამ სოფლისაკენ, მიწისაკენ იბრუნა პირი. „ქართული ოცნების“ მიერ სოფლის გლეხობისადმი დასახმარებლად განხორციელებულმა პროექტებმა და სტიმულირებამ პრაქტიკულად გადაწყვიტა მანამდე დაუშუშავებელი მიწების პრობლემა.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო წინა საარჩევნო პროგრამაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სოფელი სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია, რამაც გამოხატულობა ჰპოვა ხელისუფლების მიერ შემდეგი პირობების შესრულებაში:

- „2013 წელს „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ 710 385-მა ბენეფიციარმა 195 545 543 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათი მიიღო;
- 2014 წელს პროექტით სარგებლობას 800 000 ფერმერი შეძლებს;
- „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით“ ისარგებლა 14 454-მა ფერმერმა, გაცემულია 328 693 583 ლარამდე ოდენობის შეღავათიანი კრედიტი. პროექტის ფარგლებში უკვე შექმნილია 73 ახალი საწარმო, გადაიარაღდა და გაფართოვდა 418 საწარმო.
- ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად განხორციელდა სარწყავი და სადრენაჟე არხების მასშტაბური რეაბილიტაცია (61 100 000 ლარის ღირებულების სამუშაო). მთელი საქართველოს მასშტაბით გაიწმინდა სარწყავი სისტემების, პრაქტიკულად, ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი. ჩატარებულმა სამუშაოებმა ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების 40-50%-ით გაზრდის საშუალება მისცა. შეიქმნა მოსავლის სტაბილურად მიღების შესაძლებლობა. სულ, 2014 წელს, 88 ათასი ჰა ფართობი გასარწყავდა – წინა წლებთან შედარებით, გლეხებს სამჯერ მეტი მიწის ფართობის მორწყვა შეუძლიათ;
- 2013 წელს წარმატებით ჩატარებულმა რთველმა მევენახეობა-მელვინეობის დარგის უმნიშვნელოვანესი სტიმულირება მოახდინა. ბოლო 8 წლის განმავლობაში, წელს პირველად დაიწყო ახალი ვენახების მასობრივი გაშენება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში 3 მილიონზე მეტი ნამყენია რეალიზებული. გაზრდილია ღვინის სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა და ღვინის კომპანიების აქტივები;
- 2013 წელს ღვინის ექსპორტმა 46.7 მლნ ბოთლი შეადგინა, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დაგეგმილია:

- მიზნობრივი ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება საქართველოსთვის ტრადიციულ დარგებში: მეხორბლეობა, მეფუტკრეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა და სხვა.
- „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ გაფართოება და თანადაფინანსების სრულიად ახალი პროექტის დაწყება-ეკონომიკურად ნაკლებად აქტიური რაიონებისათ-

ვის გაიცემა შეღავათიანი აგროკრედიტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად. სესხის მაქსიმალური ვადაა 120 თვე, თანხა-500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, საპროცენტო განაკვეთი-2%(საბანკო განაკვეთი 14%, რომლის 12%-ს ფარავს სახელმწიფო).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განსხვავებული ბუნებრივი ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება, აგრეთვე მეურნეობის გაძლიერების ისტორიული ტრადიციები უდავოდ იძლევა სხვადასხვა საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებული მეურნეობის მრავალფეროვანი საწარმოების გამოყენების ფართო პერსპექტივებს. საჭიროა ამ ფორმების გამოყენებისას დავიცვათ ზემოთ აღნიშნულთან ერთად, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში მოსალოდნელი ცვლილებები, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ცვლილებები დღეს სოფლის მეურნეობაში სამი ძირითადი მიმართულებებით წარმართება: პირველი, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეორე, ბუნებრივ-ბიოლოგიური და მესამე, - წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ხაზით. ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიმართულებით ცვლილება გამოიხატება უმთავრესად ტექნიკურ, ელექტრო და ფონდშიარაღების გადიდებაში, ბუნებრივ-ბიოლოგიური მიმართულებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცვლილება კი – ახალი ჯიშების შექმნასა და დანერგვაში, ხოლო წარმოების ორგანიზაციისა და მართვაში ცვლილება აისახება წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებაში, კონცენტრაციის დონის ზრდაში და მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებაში. ამ უკანასკნელით ზრდა ყველაზე მეტად შეიმჩნევა აგრარული რეფორმის გატარების მთელ განვლილ პერიოდში, მაგრამ რეფორმის კურსის არასწორად წარმართვის გამო მისი დადებითი შედეგები სოფლის მეურნეობაში, წარმოების ეფექტიანობის გადიდების თვალსაზრისით, თითქმის არ შეიმჩნევა. ჩვენი ღრმა რწმენით, აგრარული რეფორმის კურსის სწორად გატარებით, მისგან უაღრესად დიდი ეკონომიკური ეფექტი უნდა იქნას მიღებული. ამისათვის კი საჭიროა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა ზემოთ დასახელებული მიმართულების სრულად და კომპლექსურად გამოყენება.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და განვითარებული ქვეყნების აგრარულ ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების ისტორიულ ჭრილში შესწავლის შედეგები მიუთითებს აგროსასურსათო წარმოების სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე, რომელიც გლობალიზაციის მძლავრი პროცესების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური თავისებურებებითაა განპირობებული. საკითხი ეხება საქართველოში აგრარული ბაზრების რეგულირების არა თანამედროვე მექანიზმების გამოყენებას, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობის აღიარებასა და მის უცილობლად გამოყენებას.

საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აგრარული სექტორი ქვეყანაში სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე ეფექტიანად და მდგრადი კურსით ვერ განვითარდება, და რომ დავაღწიოთ თავი „სიღარიბის ხაფანგებს“, იგი უნდა ვარეგულიროთ და ვმართოთ. ქვეყნის დუალური ეკონომიკა (დუალური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია – საბაზრო სივრცეების მიმართ ნაკლები რეაგირება) ამის აუცილებელ საჭიროებას აყენებს, ამასთან, საქართველოში „სიღარიბის ხაფანგების“ ფენომენი დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული და გაგებული. საჭიროა მისი უფრო ღრმა შესწავლა ქვეყნის შიგა რეგიონების ჭრილში და განსაკუთრებით საქართველოს მთიანი ზონის პირობებისათვის.



ბათუმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობით, რომელიც ერის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ცხოვრების ახალ, უაღრესად საინტერესო საფეხურს წარმოადგენს. მძიმე სოციალურ-ნაციონალური ჩაგვრის მიუხედავად, ერის მოწინავე შვილებმა თავიანთი პატრიოტული თავდადებით და უანგარობით ყოველგვარი დაბრკოლება სძლიეს და წარუშლელი კვალი დააჩნიეს საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს, შეინარჩუნეს და წინ წასწიეს თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, სამშობლო აზიარეს ეპოქის მოწინავე იდეებს და მტკიცე ნიადაგი მოუშადას შემდგომ პროგრესს. ქართული რეალისტური ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, თეატრი, დრამატურგია, კრიტიკა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებითად ამ პერიოდის მონაპოვარია. მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი XIX-საუკუნის 60–80-იანი წლების საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენებისადმი სავსებით კანონზომიერია, რადგან ამ ხანამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ისტორიაში. ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მთელი რიგი ახალი ამოცანები წამოიჭრა ცხოვრების ყველა სარბიელზე. საზოგადოებრივ აზროვნებაში ფეხს იკიდებს და თანდათან მტკიცდება რევოლუციური-დემოკრატიული იდეები, აღმავლობის გზას

ადგება სოციალური და ეროვნული მოძრაობა, მწვავედება კლასობრივი ბრძოლა, აზრის ჭიდილი და, ამის მიხედვით, სულ უფრო მეტი გამოცოცხლება ეტყობა ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას. მძლავრი იდეური ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება. თითოეული კლასი, თითოეული სოციალური ფენა ცდილობს, გამოიმუშაოს შეცვლილი ვითარების შესაფერი სამოქმედო პროგრამა, გააანალიზოს არსებული მდგომარეობა, განსაზღვროს განვითარების ტენდენციები და გარკვეული პროგნოზი მისცეს მომავალს. განახლებისა და გადახალისების ამ ისტორიულ პროცესს ჩვენში სათავეში ედგნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, რომელთაც ღირსეულად უმშვენებენ გვერდს გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა. მათი ბრწყინვალე ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მსახურებდეს მშობელ ქვეყანასა და ხალხს ერის გამორჩეული შვილი, რომელთა მაგალითებზეც თაობები იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან. თითოეულ მათგანს გულწრფელად სტკიოდა სამშობლო ქვეყნის სატკივარი და მას პირად ტკივილად და მწუხარებად აღიქვამდა. ამიტომაც იყო, რომ მათს ყოველ სიტყვას, ყოველ მოწო-

დებას, ყოველ ნაბიჯს თან სდევდა ხოლმე უამრავ ადამიანთა თანადგომა, მოწიწება და პატივისცემა. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ყოველივე სწორედ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იგრძნობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერისა და ქვეყნის სატკივარი სხვა ეპოქებში ნაკლებად მტკივნეული იყო და ქვეყნის ბედსა თუ უბედობას არ ინაღვლებდნენ ერის მოწინავე შვილები. არა, უბრალოდ ამ ეპოქამ სამშობლო ქვეყანას კიდევ ერთხელ მისცა შანსი ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა, და ეს შანსი ბრწყინვალედ იქნა გამოყენებული, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართული ცნობიერება და აზროვნება კვლავაც უდიდესი დიპლომატიური ნიჭიერებით, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი უზადო სიყვარულით გამოირჩეოდა და ამ ყველაფერს სათავეში ედგნენ ცნობილი თერგდალეულები, რომელთა ნაღვაწ-ნაამაგარი კვლავაც ერის გადამრჩენ-მასაზრდოებელ წყაროდ გვევლინება დღესაც კი, 21-ე საუკუნეში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედისწერა ამ დროისათვის ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვა მამულიშვილთა საფიქრალ-საზრუნავი და ერთგვარი ბედისწერაც იყო, რომელთა შესახებ გამოხატავდნენ კიდევ ქართულ თუ უცხოურ პერიოდულ პრესაში, რითაც ყოველგვარი პათეტიკის გარეშე აგრძნობინებდნენ ყველას „მამულის, ენისა და სარწმუნოების“, „მამულის, ენისა და ისტორიის“, „ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის“ ერთადერთობას, მარადიულობას, შეუცვლელობას.

გთავაზობთ ქართულ პერიოდიკაში ოქროს მარგალიტებივით გაბნეულ დედამშობლოს ავბედობით გამოწვეულ გულისტკივილსა და გულისფიქრთაგან მოკლე ამონარიდებს იმ ერისკაცთა და მამულიშვილთა ნააზრევიდან, რომელთა ღირსეულმა და ჭეშმარიტად ეროვნულმა მოღვაწეობამ ნამდვილად ითამაშა გადამწყვეტი როლი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების საქმეში.

ომამდე ხუთი წლით ადრე (იგულისხმება 1877-78 წწ.) ნ. ნიკოლაძე თავის ჟურ-

ნალ „კრებულში“ წერდა: „ბათუმის ოლქი ასიოდე უბედურ სახლსა და ქოხს ჰქვია. ზოგი მათგანი დაწნილი და შეტკეცილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვეთკირისაც მოიპოვება“ (კრებული, №4, 1873) ხოლო მის შეკითხვაზე ოსმალეთისადმი აჭარელ ბეგთა დამოკიდებულების შესახებ, ბათუმში მცხოვრებმა მოხუცმა აჭარელმა ასე უპასუხა: „უწინ სულ სხვა იყო. უწინ ბეგი მართლა თავადი იყო, მთავრობდა, ჯარი ჰყავდა, იბრძოდა და ხალხიც უჯეროდა, მარა ერთმანეთს გადაეკიდა ბეგები, ჯერ ერთმა მოიხმო თათარი მეზობლის წინააღმდეგ, მერე მეორემ, იჩხუბეს ერთმანეთში, ხალხი ამოწყვიტეს, დალიეს ფული და იარაღი და ამასობაში თათარი ქე გამაგრდა და ბატონი გახდა. თვარა ისე ვერ შემოიჭრებოდა, აჰ, ვერ შემოიჭრებოდა, ვერა“ (კრებული, №4, 1873).

„ბერლინის ხელშეკრულებამ (1878 წ. 4 ივლისი), წერდა იაკობ გოგებაშვილი, ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვიძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირს-სახსოვარია, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. (ი. გოგებაშვილი, „ივერია“, 1979, №76). „მესხეთის ისტორიაში, – წერდა ი. გოგებაშვილი, – ორი ხანა განირჩევა: პირველ ხანას შეადგენენ ის ხანგრძლივი საუკუნენი, რომელთა განმავლობაში იგი საქართველოს ეკუთვნოდა. მეორე ხანას შეადგენს დრო ოსმალეთის მფლობელობისა. ამ ორ ხანას შუა თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორც დღესა და დამეს შუა, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შუა“ („ივერია“, 1979, №76).

გიორგი წერეთელი ასე ეხმიანებოდა ამავე პერიოდის საქართველოს მეტად რთულ ვითარებას: „წარსულ ომში ყველამ იცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ მთელი აჭარისა და ბათუმის მაზრის ხალხი საომრად გამოიწვია. ორი წლის განმავლობაში იმათ არ უხნავთ, არ უთესავთ

და არც უვაჭრიათ! ყველას თოფი ჰქონდა ხელში. ცოლ-შვილი კი სახლში ეყარნენ უპატრონოდ. ამის გარდა, როგორც ვიცით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჯვარს ჯამაგირს არ აძლევდა, აძლევდა მარტო ხორაგს, რომელსაც დარბევით იღებდა იმავე ხალხისგან. ამისთანა ძარცვა-გლეჯისგან, ამ უმეშევრობისგან ბათუმის მაზრის ხალხი და აჭარა-ლივანასი დაღარობდა. დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი არიან“. (გაზ. „დროება“, 1879, №24). „მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიაც. იქ ვხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს, სიტყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთილი გულით, პურმარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათ მორბუბულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. ჩვენ ნათესაობისა და ტომობის სისხლს ვგრძნობდით, ერთმანეთის ნახვა თითქო იმ ღრმა გულის ჭრილობას აჩენდა, მეც ხომ მტანჯავდა და იმათაც კიდევ უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთ წუთს აუტანელი მწუხარების ცეცხლი ორთავეს გვაფიქრებდა“. (გაზ. „დროება“, 1879, №24). „ინგლისი აქეზებდა ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ. „ერთმა ქობულეთელმა ბეიმ დამარწმუნა, მე, ინგლისი დამპირდა, რომ ვინც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გახვალთ, თვეში ოთხ ლირას მოგცემთ“. (გაზ. „დროება“, 1878, №92).

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობის წევრი, სერგეი მესხი მოხსენებაში „ბათუმის სკოლის შესახებ“ აღნიშნავდა: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავდიოდი ბატონ ნათაძის გაკვეთილებზე და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოვიტანე. შავირდები დიდის ხალხისით დადიან სკოლაში. გაკვეთილების დროს ყურადღებით უსმენენ თავიანთ ოსტატს და ცოცხლად, თამამად უგებენ ყოველ კითხვაზე პასუხს. ერთი სიტყვით ბ. ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი, თუ შემდეგშიც ისე კეთილსინდისიერად წაიყვანა საქმე, რო-

გორც დღემდე მიჰყავს“. (გაზ. „დროება“, 1882, №38). ს. მესხი თავის მორიგ წერილში აჭარლებისა და ლაზების მდგომარეობას განიხილავს და იქვე ნაწილობრივ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ ვეხმარებითო. იგი დასძენს: „დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალს საქართველოსთან. ახალს ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც კი არ თქმულა იმათზე“. (გაზ. „დროება“, 1875, №76). „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მაღლიერებით მიიღებს ყოველს მცირედ ცნობას, რომელიც იმ ჩვენ ძმებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. (გაზ. „დროება“, 1875, №76). რუსეთ-ოსმალეთის 1877–78 წლების ომის წინ ს. მესხი ე. მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ სწერდა: „ქობულეთში ოსმალს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს? აი, იქნება გაწყურეს ღმერთი და რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალს დააწიოკონ, იქნება ეს ჩვენი ქართველები, რომელიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში“. (ს. მესხი, 1875, №76).

რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველოში შემოსვლა უნდა მოხდეს სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისისა და თურქეთის აგენტებს ფრთები არ გაშლოდათ. „დროებაში“ ს. მესხმა ეს აზრი ასე ჩამოაყალიბა: 1. რუსეთის ჯარი უნდა შევიდეს კეთილშობილურ დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრავად კი არ მიდიან, არამედ როგორც მოძმე და მეგობრები მათი. 2. ჯარს უნდა მოუძღვებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც იცნობენ მათ ჩვეულებას და ისინი იმათს. ასეთები არიან: თ.გრ. გურიელი და უ.მ. მეფისოვი 3. ჩვენმა მთავრობამ ადგილობრივ ენაზე უნდა გამოუშვას პროკლამაციები, რომ ჩვენ მათი მტერი არა ვართ, არამედ მეგობრები და კეთილისმსურველები ვართ და სხვა. (გაზ. „დროება“, 1878, №26). 1873 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ისტორ-

იკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დ.ბაქრაძემ. იგი იყო ქობულეთში, ციხისძირში, ჩაქეში, ბათუმში, ქედაში, დანდალოში, სხალთაში და ხულოში. მისი მიზანი იყო აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. ბაქრაძეს მოგზაურობაში ხელს უშლიდა თურქეთის ადმინისტრაცია. 1874 წელს აჭარაში იმოგზაურა გ.ყაზბეგმა. ამ დროს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა დაძაბული იყო. „აზიის თურქეთში, – წერდა ყაზბეგი, – მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსახლდრე ადგილებში, და თანაც რუსებისათვის. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება, ამიტომ მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას ჩაწეროს ან ჩაიხატოს რაიმე, წინათსავარი დაბრკოლებები ელოება“. (კრებული, №7, 1874). რუსულენოვანი გაზეთი „კავკაზი“, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში თბილისში იბეჭდებოდა, ჯერ კიდევ 1853 წლის ომზე წერდა: „ქართველი მილიციონერები ლაშქრობის დროს იქცეოდნენ ისე ღირსეულად და კეთილშობილურად, როგორც საუკეთესო რეგულარული შენაერთების ჯარისკაცები. ამ ბრძოლაში სახელი გაითქვეს ქართველმა მებრძოლებმა: ჯანდიერმა, მიხეილ ციციშვილმა, გიორგი მაჩაბელმა, ნიკო ჭავჭავაძემ, გიორგი ერისთავმა და სხვებმა.“ (გაზ. „კავკაზი“, 1854, №55). 1877 წ. 24 აპრილს ქობულეთის რაზმი გადავიდა ჩოლოქზე და იერიშით წავიდა ბათუმისაკენ. გენერალი ოკლუბუიო, რიონის რაზმის უფროსი, ასე მიმართავდა ჯარისკაცებს, რომ აჭარაში მოქმედების დროს რუს მეომრებს არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნეჩვეულებანი: „დაე, გახსოვდეთ, რომ თქვენს წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობითა და ენით ეკუთვნის იმ ერთა ოჯახს, რომლებისათვის მილიციული და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას საერთო საქმისთვის“. (გაზ. „დროება“, 1879 წ. №24). ცნობილი პუბლიცისტი, „ცისკრის“ რედაქტორი,

ივ. კერესელიძე, რომელმაც იმოგზაურა აჭარაში ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობის დროს 1870 წელს, გადმოგვცემს: „მე რუსის მთავრობისგან დახმარება მომეცა და 1870 წელს წავედი აჭარაში. იქ მე უნდა მივსულიყავი შერიფ ბეგის სახლში. ჩემი წასვლა იქ საშიში იყო, ამიტომ მე ავიღე რამდენიმე თარი და ჭიანური და როგორც ამეების დამკვრელი, ისე შეველ აჭარაში. სადაც კი მივიღოდი, ყველგან უუკრავდი თარს და ჭიანურს, ამგვარად, მესტვირულის ოსტატობით მივალწიე შერიფ ბეგის სახლს, მის სახლის წინ რომ მივედი სხალთას, ეზოში შევედი და თარი დაუუკარ, მალე შერიფ ბეგი გამოვიდა კარში და დამიძახა, დაკვრა გამაჩერებინა და სახლში ამიხმო, მკითხა შენ ქართველი უნდა იყო, აქ საიდან მოსულხარო? მერე მე ყველაფერი ვუამბე. მან სთქვა: ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისევე გახდესო“. გაზეთი „დროება“ 1877–78 წლების ომის შემდგომ მოვლენებს ეხმაურება და აღნიშნავს: „ქალაქ ბათუმში ქართული სკოლის გახსნას დიდი კმაყოფილებით შეხვდა არა მარტო ქალაქის, არამედ აჭარის სოფლის მოსახლეობაც. გლეხები ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს – ჩვენი შვილებიც მიიღეთო. ჩაცმა-დახურვასა და სმა-ჭამას ჩვენ ვიკისრებთ, თქვენ, მხოლოდ ბინის საკითხი მოგვიგვარეთო“. (გაზ. „დროება“, №238, 1882). იგივე „დროება“ აღნიშნავს, რომ ომის დამთავრებამ ხალხში დიდი სინარული გამოიწვია: „შეღვა თოფების, ზარბაზნების ქუხილი, ელვა, ქრისტიანების, ოსმალების შეღვა სისხლის ღვრა... და ითქვა სიტყვა, სიტყვა ტკბილი: შვიისვენოთ და ესოდენი ცრემლი, სისხლი ხალხს ვაკმაროთ“. (გაზ. „დროება“, №26, 1878).

1878 წ. 20 ნოემბერი, ქალაქი თბილისი, მუხრან-ბატონის სასახლე. აჭარის დეპუტაციის შესახვედრად დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით შეიკრიბა ინტელიგენცია: გრ. ორბელიანი, დ.ყიფიანი, აკ.წერეთელი, პ.უმიკაშვილი, სერგეი მესხი, გ.წერეთელი,

ი.მამაცაშვილი, ზ.ანდრონიკაშვილი და სხვა... „აჭარაში შესვლის დღიდან (1878 წ. 8 აგვისტო), რაზმის მოძრაობის მთელ მანძილზე, ზემო და ქვემო აჭარის სოფლების წარმომადგენლები პურმარლით გვხვდება. საერთოდ მოსახლეობის განწყობა ძლიერ კეთილია. სიხარულით გამოაქვთ გასაყიდად თავისი, ღარიბზე უღარიბესი სოფლის პროდუქტები და მზად არიან ყველა ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილონ“. „მოსახლეობა რუსეთის არმიას ყველგან სიხარულით ხვდება. ხალხი თან მიჰყვებოდა ჯარის ნაწილებს, სიმღერითა და მოლხენით ისტუმრებდნენ მათ მახლობელ სოფლამდ, მემომებს თავიანთი კერძებით უმასპინძლებოდნენ. მახლობელი სოფლებიდან მოსულნი კი პირობას სდებდნენ ყველგან კეთილ შეხვედრაზე“. (გაზ. „დროება“, №186, 1878). „ჩვენი აზრი ეს არის, – წერდა „დროება“ (1878 წ. №164), – რომ ჯარებითა და საზოგადოდ ძალდატანებით მხოლოდ ერთის შედეგის მიღწევა შეიძლება: მთელი

აჭარის ხალხი გადასახლება ოსმალეთში, და არამგონია, რომ ამისთანა შედეგი ვინმესთვის სანატრელი და სასიამოვნო იქნეს. ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნისა და ჩვეულების მცოდნე, ჭკვიანი, პატიოსანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარს შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე როტა და ბატალიონი ჯარი“. (გაზ. „დროება“, №186, 1878).

სწორედ მსგავსი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც დამუხტული იყო მშობლიური ქვეყნისადმი გულმხურვალე სიყვარულითა და პატივისცემით, მკურნალ მალამოდ ეველინებოდა როგორც საქრისტიანო, ისე სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთ, რაც იმის ნათელი დასტური იყო, რომ ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს ერისა და ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის თავდადებულ ადამიანებს სანუკვარი ოცნების ასასრულე-ბლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- | | |
|----------------------------|----------------------------------|
| 1. უერ.“კრებული”, №4, 1873 | 7 „დროება“, 1878, №26 |
| 2. „ივერია“, 1979, №76 | 8. “კრებული” №7, 1874) |
| 3. „დროება“, 1879, №24 | 9. გაზეთი „კავკაზი“, 1854, №55). |
| 4. „დროება“, 1878, №92 | 10. „დროება“, №238, 1882 |
| 5. „დროება“, 1882, №38 | 11. „დროება“, №186, 1878 |
| 6. „დროება“, 1875, №76 | |

Resume

Readers were greeting the letters published in Georgian periodical press in second half of 19th century with a big interest. Theoretical and practical work of great patriots played vital role in the work of territorial and spiritual survival.

Ioseb Sanikidze

Ioseb Sanikidze

candidate of philological sciences

Editor of a newspaper “Batumi University”





ხიჭაურის გრიგლ ხანძთელის სახელობის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

განათლება ოსმალთა ბატონობის პერიოდში

(ნაწყვეტი წიგნიდან „საუკუნოვანი სკოლა“)

ქართული ეროვნულ-სულიერი საგან-მანათლებლო კერები, რომელიც აჭარაში ეკლესია-მონასტრების სახით არსებობდა, ოსმალთა ბატონობის პერიოდში მედრესეებმა შეცვალეს, რომლებშიც მუსლიმანური სწავლება მიმდინარეობდა. მედრესე სამი საფეხურისა იყო: დაბალი, საშუალო და მაღალი. სწავლება ოთხი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ეს სასწავლებელი, ფაქტიურად, დაწყებითი ტიპისა იყო.

პირველ კლასს ელიფ-ჯუზი ერქვა (ელიფ-დასაწყისი, ჯუზი-ნაწილი), თანამედროვე თურქულით ბირინჯი სანიფს ეძახიან. მეორე კლასს ელჰემჯუზი რქმევია, მესამეს – თებარეჰე-ჯუზი, მეოთხეს- კელისემ ჯუზი, შესაბამისად, თამანამედროვე თურქულით-იქინჯი-სინიფ, უჩინჯი-სინიფ, დორთინჯი-სინიფ. როგორც ჩანს, ამ სახელებში თურქული რიგი ფიგურირებს: ბირ – ერთი, იქი – ორი, უჩ – სამი, დორთ – ოთხი (ცნობა მოგვაწოდა ქედის ისტორიის მკვლევარმა ნოდარ გათენაძემ).

მედრესეებში სწავლის უდიდესი სირთულე მშობლიური ენის უგულებელყოფაში იყო: სწავლება მიმდინარეობდა არაბულ ენაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში თვითონ მასწავლებელსაც (ხოჯა-მოლებსაც) არ ესმოდათ. მედრესეები სხვა სარწმუნოებებისადმი ოსმალური მიდგომისამებრ უმეტესად ძველ ეკლესია-მონასტრებში იხსნებოდა. მოგზაურთა ცნობით, „მონასტრების მეჩეთად გადაკეთების წინ ქრისტიანულ კერაზე ჯერ კოცონს ანთებდნენ, შემდეგ კი წვერ-

მოლესილი იარაღით ფხეკდნენ ფრესკებს” (ნ. გუგუნავა, მეძედ აბაშიძე-განმანათლებელი, ბათუმი, 1997წ. გვ. 37). მედრესეების ქსელი საკმაოდ ფართო ყოფილა. ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს ცხმორისის, აბუქეთის, კანტაურის, ტბეთის, ნავანების, ვაიოს, აქუცის, ღოლაძეების, ქინძკარას, სამზიარის, ორთახონის მედრესეებს, რომლებიც ქრისტიანული შენობების საძირკველზე დაუდგამთ. კვაშტაში კი თვით ეკლესია გადაუკეთებიათ ჯამედ.

ცნობილი მოგზაურის – გიორგი ყაზბეგის მიერ აღწერილი მედრესე არის „დიდი, მეტად ჭუჭყიანი და ძველი ხის. აქეთ-იქით ოთახებია, რომელთა უმრავლესობას ბოქლომი ადევს – ესაა მოლა-მასწავლებლის ოთახები. ყოველ მოლას თავისი საკლასო ოთახი აქვს და თავისი მოწაფეები ჰყავს. ჩვენამდე აღწევდა ყურანიდან წრიპინა ხმით ამოკითხული „ნოტები”. (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995წ, გვ. 37). მედრესეში ძირითადად ასწავლიდნენ ვაჟებს, გოგნებს კი – მხოლოდ 12 წლამდე.

მასწავლებლები შეგირდებს აზეპირები ებდნენ ლოცვებს, ასწავლიდნენ ოსმალურს, მაგრამ, რადგან პატარებმა ენა არ იცოდნენ, ძალიან უჭირდათ ათვისება. ამის გამო მასწავლებლები არ ერიდებოდნენ ფიზიკურ დასჯას, გაროზგვას, შიშველი მუხლებით ქვის წვრილ კენჭებზე, ლობიოსა და სიმინდის მარცვლებზე დაჩოქებას. არცთუ იშვიათად ფეხშიშველს გააჩერებდნენ

თოვლში, ყინულზე. ხელის გულებს დაუსერავდნენ და მარილს მოაყრიდნენ და ა. შ.“. (ე. ცივაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1970 წ. გვ. 9).

უფრო სრულყოფილი სურათის შექმნისათვის მოვიყვანთ ამონარიდს 1927-28 წლებში ქედის შრომის სკოლის გამგე-მასწავლებლის სულეიმან კაიკაციშვილის (ცნობილი გულო-ალა კაიკაციშვილის ძმის შვილი) მოგონებებიდან: „მედრესეში სამეცადინო ოთახის ინვენტარი მარტივი იყო. ოთახის ერთ კუთხეში იდგა გრძელი სკამი 50-60 სანტიმეტრიანი ფეხებით. ბავშვები იატაკზე იხდნენ ამ სკამის გასწვრივ. მასწავლებელი (მოლა) ასეთივე, მაგრამ მოკლე სკამთან, თხის ტყავზე, სალოცავ „სეფდზე“ (ეს სიტყვა არაბულად „თაყვანისცემას“ ნიშნავს) იჯდა. გვერდით ელაგა სხვადასხვა ზომის ჯოხები შეგირდთა დასასჯელად. უფრო მკაცრი სასჯელისათვის აქვე მზად იყო „ფალაყაც“ (დასასაჯელი ჯოხი – მ.დ.).

ღილით, როცა ბავშვები მოვიდოდნენ მედრესეში, ფეხზე გაიხდიდნენ და გრძელ სკამს მიუსხდებოდნენ, მათ წინ ფეხმორთხმული მოლა იწყებდა არაბულად „ყურანის“ ღილინით კითხვას, შემდეგ იწყებოდა დაზეპირება ანბანისა და ლოცვებისა. ზოგი ბავშვი კითხულობდა ან იზეპირებდა ელიფსა (ანბანს), ზოგი ინშას (გაჩენის წიგნს-მ.დ.), ზოგი ემსიეს (არაბულ წიგნს მ.დ.), თან განუწყვეტლივ წინ და უკან იხრებოდა.

მოლა მეცადინეობას თვალყურს ადევნებდა, დანაშაულისთვის შეგირდს ადგილიდან სჯიდა გრძელი ჯოხით, უფრო მკაცრად დასასჯელად კი მოიყვანდა ახლოს და მოკლე ჯოხით სცემდა. განსაკუთრებული დანაშაულისათვის გამოიყენებდა „ფალაყას“. ეს სასჯელი ძალიან მძიმე ასატანი იყო: 60-70 სანტიმეტრის სიგრძის ჯოხს ორივე მხარეს მიმაგრებული ჰქონდა ერთი მეტრი სიგრძის თოკი. ბავშვს პირაღმა დააწვენდნენ და შიშველ ფეხებზე წამოაცვამდნენ თოკებს, ჯოხს ისევ ბავშვებს დაატრიალებინებდნენ, თოკი ფეხებზე თან-

დათან მოუჭერდა, ფეხები ჯერ გაწითლდებოდა, შემდეგ უშავდებოდა, უსივდებოდა. მოლას დავალებით ორი ბავშვი ჯოხს ზემოთ წამოსწევდა და გამწარებული დასჯილის კვილი იქაურობას იკლებდა. მოლა შემდეგ სხვა ბავშვს დაავალებდა, რომ თავისი ამხანაგი ჯოხით ფეხის გულებში ეცემა და თუ ამას მთელი მონდომებით არ შეასრულებდა, თვითონ დაისჯებოდა „ფალაყით“.

ცნობილი მოგზაურის, თედო სახოკიას ცნობით, „მოლას ცემა ხელით და ჯოხით საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა სწავლის დროს. მშობელიც ამ აზრისა იყო, რომ თუ არ ცემთ, ისე ბავშვი არ ისწავლიდა. ამ აზრით გათამამებული მოლა უფრო მკაცრობდა და რაც უფრო მკაცრი იყო, უფრო მეტი ფასი და სახელი ჰქონდა (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985წ, გვ. 233). დაახლოებით იგივე აზრია გადმოცემული სოფელ საღორეთის მკვიდრის, ავთანდილ დიასამიძის მოგონებაში, რომელიც აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან გამოუყენებია პროფესორ ნანი გუგუნავას.

„სოფელ საღორეთის მედრესეში, – კვითხულობთ მოგონებაში, – არ იყო არც ერთი სკამი და მერხი. ხოჯა ასწავლიდა საღვთო სჯულს. ბავშვები იხდნენ იატაკზე, ხოჯას ჰქონდა კარგი ტახტი, რომელზედაც გაშლილი იყო კარგი ლეიბი და ზედ იჯდა ჯოხით ხელში. ჯოხი ისეთი გრძელი იყო, რომ შეეძლო ფეხზე აუდგომლად შორეულ კუთხეშიც გაეწკებლა ბავშვები.

ბავშვები არაბულ ლოცვებს და სიტყვებს ზეპირად სწავლობდნენ. წიგნში წაკითხვა მეტ წილს არ შეეძლო. ხოჯა სცემდა ბავშვებს. ზოგჯერ იატაკზე დაყრიდა სიმინდის ან ლობიოს მარცვლებს და ზედ მუხლებით დააჩოქებდა რამდენიმე საათის განმავლობაში, ან კიდევ შეუკრავდა ხელ-ფეხს, შემდეგ სამართლებლით კანს ოდნავ გაუჭრიდა და ჭრილობაზე მარილს დააყრიდა. როცა ბავშვი ტანჯვას ვერ აიტანდა და ხმამაღლა იყვირებდა, ხოჯა მას ჩაამწყდევდა მეჩეთის ქვეშ ბნელ ოთახში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში ამყოფებდა მშვიდს.

„სამწუხაროდ, შვილების ასეთ „სწავლებას“ მშობლებიც ურიგდებოდნენ, ოღონდ ძვლები არ დაემტვრიათ ბავშვებისათვის” (ნ.გუგუნავა, დასახ. წიგნი, გვ. 73).

რა შედეგი მოსდევდა ასეთ სწავლებას?

პელაგოგი ს. კაიკაციშვილი წერდა: „ორი წელი დავდიოდი ამ სასწავლებელში და როგორც სხვებს, არც მე არაფერი გამომიტანია, გარდა ზეპირი ლოცვებისა და მისი შესრულების წესებისა. ამ სასწავლებლის დანიშნულება მხოლოდ ეს იყო და მეტი არაფერი”.

ცხადია, უნდა ვენდოთ ცნობილი პელაგოგის შეფასებას. ის, რაც ქართულად არ ესმოდათ ბავშვებს, ვერაფერ სარგებლობას ვერ მოუტანდა მათ, გარდა იმისა, რომ შემგომში ასევე უაზროდ ასრულებდნენ მაჰმადიანურ ლოცვას. თუმცა ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი წერდა: „ერთადერთი, რაც სასიამოვნოა მედრესეში, ის არის, რომ სულ ქართულად ისმის ხმაურობა, ბავშვები ქართულად ლაპარაკობენ: „წიკითხე, ბიჭო, ინშა! თქვი, წიკიპატელიპა! (ე. ნინოშვილი, გაზეთი „ივერია“, 1886წ. №53).

ქელაში, როგორც მთლიანად აჭარაში, მედრესეები ჯამესთან არსებობდა და ისლამური სტრუქტურის მიხედვით, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ისტორიკოსი ნ. ახვლედიანი, ემორჩილებოდა შეიხულ-ისლამს. მედრესეები ადგილობრივი ხალხის ხარჯზე იყო, შემოწირულობის (გაყუფის-მდ.)საშუალებით გროვდებოდა მათი შესანახი თანხა (ნ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978 წ. გვ.510). მოსახლეობას ახდევინებდნენ აგრეთვე სურსათსაც.

მედრესეებში სწავლა იწყებოდა ათ საათზე და მთავრდებოდა ოთხ საათზე. შესვენება ჰქონდათ ერთხელ, ნაშუადღევს. მეცადინეობის დამთავრებას ხოჯა აუწყებდა კედელზე ჯოხის სამჯერ დარტყმით.

ქელაში საშუალო ტიპის მედრესე ჯამესთან ყოფილა გახსნილი 1770 წლიდან და იქ ყოველწლიურად 100-მდე მოსწავლე მზადდებოდა მოლად. ამ სკოლას აჭარის

მუფტი აკონტროლებდა და ამიტომ მუფთის სკოლას ეძახდნენ. სულ, ბარის აჭარაში, XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის 39 ჯამე და 32 მედრესე ყოფილა (ნ. ახვლედიანი, ნარკვევები. დაწყებითი განათლების ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, თბ., 1957 წ., გვ.41).

მედრესეებში სასწავლო მეცადინეობის ძირითადი შინაარსი იყო „ყურანის“ შესახებ კომენტარების შესწავლა ... მაჰმადის რჯულის მსახურნი ზრდიდნენ ამ რელიგიონსადმი სიყვარულს (უ. ობოლაძე, ნარკვევები დაწყებითი განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1956წ, გვ. 36).

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ვაიოს მედრესეში ასამდე ყმაწვილი სწავლობდა, ქედის მედრესეში ხოჯა სურმანიძე, რომელსაც არ სცოდნია ქართული წერა-კითხვა, მაგრამ თავის ენად ქართულს აღიარებდა, ზრდიდა 15 მოლას, თუმცა ზ. ჭიჭინაძის თქმით, ამ ხოჯას არ ყვარებია ქართველები და ამის გამო სამართლიანად ეეჭვებოდა კიდევ, რომ ის ვერ აღზრდიდა პატარებს ქართული სულისკვეთებით.

დერე-ხოხნაში (დღევანდელი კოლოტაური) 60-ზე მეტ ყმაწვილს ასწავლიდა სტამბოლში განათლებამდელი ალი-ეფენდი მახაცკაძე (ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 1918წ, გვ. 10). მუფთის სკოლაში მედრესეში მომზადებულ ხოჯებს ეძლეოდათ სპეციალური მოწმობა მუდერისის (ერთგვარი ხარისხი) მიკუთვნების შესახებ (ცნობა მოგვაწოდა ნ. გათენაძემ).

ქედის რაიონში დღეს 60-ზე მეტი სოფელია. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, ბარის აჭარაში 120 წლის წინათ 39 ჯამე და 32 მედრესე ყოფილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლების ნახევარი მაინც სხვა სოფელში არსებულ მედრესეს და მეჩეთს იყენებდა. ეს ფაქტი იმაზეც მიანიშნებს, რომ მოსახლეობას უჭირდა და ყველა სოფელს არ შეეძლო „ღვთის სახლების“ აგება და შენახვა. ვერც იმას გამოვიცხავთ, რომ მათში ჯერ კიდევ კიაფობდა მხარის ქრისტიანული წარსულისადმი სიყვარუ-

ლი. ისინი მუსლიმანური დაწესებულებების აშენებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდნენ.

საინტრესეოა ის ფაქტიც, რომ აჭარის ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ მეფის რუსეთის ხელისუფლებას არ აუკრძალავს მაჰმადიანური ღვთისმსახურება და სწავლა, პირიქით, მას შემდეგ უფრო გაიზარდა აქ მეჩეთების და მედრესეების რაოდენობა.

მედრესეებში სწავლას, როგორც ვთქვით, ძირითადად მოლები ხელმძღვანელობდნენ და იშვიათად ხოჯები, რადგან მათი რაოდენობა საკმარისი არ იყო.

ხოჯა-მოლების დიდი ნაწილი ფანატიკოსი მორწმუნენი იყვნენ და მოსახლეობას უქადაგებდნენ: თქვენ თათრები ხართ და არა ქართველებიო. ქართული დაივიწყეთ და ის ენა ისწავლეთ, რომელიც ღვთის ენაა და რომლითაც ლაპარაკობდა ჩვენი მუჰამედიო. „მოლა-პედაგოგი თავის შეგირდს გულში უნერგავს სიძულვილს ყველა იმ ერთა, – წერდა ზ. ჭიჭინაძე, – ვინც მაჰმადის მლოცველნი არ არიან” (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი, 1918წ, გვ. 158). მათი ასეთი მოქმედება ოსმალური აღზრდის შედეგი იყო. მათ აღარ ახსოვდათ, რომ ქართველნი იყვნენ ერთი, გვარტომობით, რაკილა რჯული ჰქონდათ მიღებული უცხო ტომისა. თუმცა, საბედნიეროდ, იყვნენ ქართველი წიგნის მცოდნენი და ქართული ორიენტაციის დამცველნი: სულეიმან ბერიძე, მოლა ჰუსეინ ჩიბურდანიძე და სხვები (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. წიგნი, გვ. 136).

იყვნენ ნიჭირებით გამორჩეული ადამიანებიც, რომლებმაც აქ, მედრესეებში, მიიღეს ცოდნა, შემდეგ კი თურქეთში უმაღლეს განათლებას დაეუფლნენ და ცნობილი პიროვნებები გახდნენ. გულების მცხოვრებმა ზაბით ეფენდი აბდი ალა ოღლიმ (დიასამიძე) სულთან აბდულ აზიზის დროს (1861-1876 წ.წ) შეიხულ ისლამის თანამდებობა მიიღო (ეს უმაღლესი სასულიერო თანამდებობა იყო თურქეთში).

აბდულ დიასამიძემ სტამბოლში დაამ-

თავრა სასულიერო სასწავლებელი მუდერისის, რელიგიის მრჩეველის სპეციალობით. იგი პირველი მაისისა და ჩაქვის ჯამეებში იყო ხოჯად. „რადგან მივიღეთ ისლამის რელიგია, პატივი ვცეთ და შევისწავლოთო”, – აცხადებდა იგი. ამავე დროს შვილს გლენთა ახალგაზრდობის სკოლაში ასწავლიდა და სხვებსაც ამას ურჩევდა.

თურქეთში მიიღო განათლება ზუნდაგელმა მემედ ვერძაძემ, რომელიც შემდგომ ეკვიპტის დიდ ჯამეში არაბულ ენაზე შარიათს (სამუსლიმანო კანონებს) ასწავლიდა. სწორი ორიენტაციით გამოირჩეოდა დერე-ხოხნის ხოჯა ალი-ეფენდი მახაცკაძე, რომელიც აცხადებდა: „ჩვენ გურჯები ვართ, ქართული წერა-კითხვაც უნდა ვისწავლოთო” (იქვე, გვ. 136).

ზ. ჭიჭინაძე ასახელებს აქუციდან ოსმალეთში გადასახლებული ერისთავების ერთ-ერთ წარმომადგენელს – ხოსროვ-ფაშას, რომელიც ნიჭიერებით და სწავლის-მოყვარეობით გამოირჩეოდა და სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ისმალოს დიდ მინისტრობამდეც მიუღწევია. იგი 1840 წელს ინგლისში კონსულად ყოფილა. მას კარგად სცოდნია ქართული წერა-კითხვა. მართალია, ოსმალეთში ცხოვრობდა, მაგრამ აქ დარჩენილთ ეკედრებოდა: „საქართველოდან ნუ აიყრებით, ეგ ქვეყანა ძვირფასი ქვეყანაა, თქვენი მამაპაპების სამშობლოა, ნუ გადმოსახლდებით აქეთ, თორემ ბევრს ინანებთო” (იქვე).

სოფელ მერისის განათლებულ ქართველთაგან პირველად ხალიფაშვილ-სურმანიძეებს მიეცათ თავიანთი შვილების ოსმალეთის სასწავლებელში გაგზავნის საშუალება და პირველად ამ გვარიდან გამოსულან ცნობილი ხოჯები. ესენი იყვნენ გურჯი ისმაილ-ეფენდი ხოჯა და ქედის მუფთი ახმედ-ეფენდი. ღრმად განსწავლული გურჯი ისმაილ-ეფენდი სტამბოლში სულთან მამუდმა თავის ხოჯად მიიღო, რადგან ძალიან მოსწონდა მისი ძლიერი გასაოცარი ხმით ლოცვა. ქართული ენის მოყვარულმა ისმაილ ეფენდიმ შეიხულ ისლამს და სულთან მამუდს სთხოვა ნება მიეცათ,

ჩვენს ჯამეებში ქადაგება ქართულ ენაზე ჩატარებულიყო, რაზეც ნებართვა მიიღო. მან „ყურანი“ ქართულად თარგმნა, თუმცა ქართული წერის უცოდინრობის გამო არაბული ასოებით დაწერა და სამშობლოში გამოაგზავნა. ამის შემდეგ აჭარის ჯამეებში ხოჯა-მოლებმა ქართულად დაიწყეს ქადაგება. თუმცა სიახლე დიდხანს არ გაგრძელებულა.

ახმედ-ეფენდი ხალიფაშვილი საქართველოში 1840 წელს დაბრუნდა. მას, ზ. ჭიჭინაძის თქმით, ქედის (აჭარის) მუფთის თანამდებობა ეკავა. იგი იყო ბრძენი, მახვილგონიერი და ქართული ენის პატივისმცემელი. ჯამეში ქართულად ქადაგებდა, რის გამოც შეიხულ ისლამთან დაამინეს, რომელსაც ახმედ-ეფენდომ მისწერა: ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენა გურჯულია, ჩვენ ხალხს სხვა ენა არ ესმით და მაშ, მე რა ენაზე ვიქადაგო „ყურანის“ სწავლა, თუ არ ქართულ ენაზედაო (ზ. ჭიჭინაძე დასახ. წიგნი, გვ. 113).

ტრაპიზონში მიიღო განათლება მახუნცეთელმა ოსმან-ბეგ თავდგირიძემ. იგი ბათუმში ქართულ სკოლაში მუსულმანი მოსწავლეების რჯულის მასწავლებლად მუშაობდა, კარგად იცოდა ქართული წერა-კითხვა. მისი ინიციატივით გახსნილა სკოლა ზუნდაგაში და დიდად ზრუნავდა

თურმე აჭარაში განათლებისა და მეურნეობის განვითარებისათვის (აპ. წულაძე, ძმური სიტყვა, ბათუმი, 1981წ., გვ. 26).

ცნობილია, რომ არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება თურქეთში და სხვა ქართველთა მსგავსად იქ მოღვაწეობდა. სწორედ მათზე წერდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ტაძრის მესვეური სიმონ ზაზაძე: „ერთ ღროს სტამბულში ბევრი ქართველი ცხოვრობდა, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა“.

იძულებით სხვა სამყაროში მოხვედრილ და რჯულშეცვლილ ქართველებს არ ავიწყდებოდათ თავიანთი ქვეყანა და ხალხი. ისიც ცნობილია, ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აჭარაში რიგიანი წესების მოქმედი სასულიერო სასწავლებლები გაეხსნათ, სადაც საღვთო რჯულთან ერთად ქართულ ენას და საქართველოს ისტორიასაც ასწავლიდნენ.

იყო მიზანი და იყვნენ საჭირო განათლების ადამიანებიც, რომ პროგრესული სწავლების სისტემა შემოეღოთ, მაგრამ ხელისუფლება ამაზე არ წავილოდა, მას ხელს არ აძლევდა განათლებული აჭარა, ამიტომაც იყო, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქართული ენისა და ისტორიის შემსწავლელი სასწავლებლები არ გახსნილა.





პატარა ხეობის დიდი მსხვერპლი

მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლები ერთ-ერთ ყველაზე ბნელ და შავ ლაქად დარჩება საბჭოთა კავშირის არსებობის სამოცდაათწლიან ისტორიაში. ეს იყო ხალხის მიმართ სისასტიკის, შეუბრალებლობის, უღმობლობის ხანა, როცა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს გასამართლებისა და ბრალის დადასტურების გარეშე ხვრეტდნენ, ან ციმბირის უკაცრიელ ადგილებში ასახლებდნენ, ხოლო მათი ოჯახის წევრებს მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ღია ცის ქვეშ ყრიდნენ, ართმევდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას და შიმშილითა და სიცივიტ სიკვდილისთვის იმეტებდნენ.

1937 წელს რეპრესირებულთა ტრაგიკულ ისტორიას ბოლო წლებში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა; ნოდარ ცეცხლაძემ და ოთარ ჩიქოვანმა ამ თემას მონოგრაფია „რეაბილიტაცია“ მიუძღვნეს, ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივის გახსნის შემდეგ ამავე ორგანოს გაზეთმა „სრულიად არასაიდუმლოდ“, მრავალი სტატია და ინფორმაცია, ასევე ვრცელი სიები გამოაქვეყნა 30-იანი წლების რეპრესირებულთა შესახებ, მწერალმა ოსიკო გვარიშვილმა ორი წიგნი გამოსცა. სრულიად უცნობი მასალები გამოამზეურეს მწერალმა რევაზ კვერციანიძემ და ავთანდილ ქურხულმა, პროფესორებმა გიორგი ციციშვილმა, ოთარ თურმანიძემ და სხვ. რეპრესირებულ ექიმებს ჩვენც მიუძღვნენ ცალკე თავი ორტომეულში, „რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში“ და წიგნებში: „სურმანიძეები“, „ბეჟანიძეები“, „მჟავანაძეები“, „ავალის შთამომავალი“ და სხვ. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი მკაცრი ცენზურის, აგრეთვე

არქივების განადგურების გამო, ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობი დარჩა.

1991-1997 წლებში საქართველოს უშიშროების არქივის, აგრეთვე გაზეთ „სრულიად არასაიდუმლოდ“-ში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით შევადგინე ბათუმში სიკვდილით დასჯილთა სიები; საერთო რიცხვმა 670-ს მიაღწია.

საკუთრივ უჩამბის ხეობიდან ბათუმში დახვრეტილთა საერთო რიცხვი, ჩვენი გაანგარიშებით, 20-ს უნდა აღემატებოდეს, მაგრამ დაზუსტებით ვიცი მხოლოდ 10 მათგანის გვარ-სახელი. დანარჩენებს საარქივო დოკუმენტებში არ აქვთ სადაურობის აღმნიშვნელი მინაწერები, მაგრამ ჩვენი ვარაუდით ისინიც უჩამბის ხეობიდან უნდა იყვნენ.

ზოგიერთი პიროვნების გარდაცვალების ადგილი ოჯახებმა არ იციან, ან თვლიან, რომ მათი ახლობელი თითქოს შორეულ აღმოსავლეთში გარდაიცვალა. ამ შეცდომის მთავარი მიზეზი იმდროინდელი ძალოვანი ორგანოებიდან მიღებული ყალბი ცნობები უნდა იყოს; დახვრეტილთა რიცხვის შესამცირებლად ოჯახებს უგზავნიდნენ საბუთებს, ავადმყოფობით თუ რაღაც ტრავმით გარდაცვალების შესახებ. სინამდვილეში განწირულ ადამიანებს ბათუმიდან ცოცხალს არ გაუღწევიათ. სასიკვდილო განაჩენი მათ მიმართ აქ აღასრულეს და ისინი ბათუმის მახლობლად ადღიაში, კახაბერში, ჭოროხის სანაპიროზე და სალიბაურში საერთო ორმოებში მიაბარეს მიწას.

1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ უჩამბელთა სია ასეთია (უცვლელად მოგვაქვს არქივში დაცული და

გაზეთებში გამოქვეყნებული მწირი ცნობები):

1. ბეჟანიძე სულეიმან უსუფის ძე. დაბად. 1906 წ. ხულოს რ-ნი, სოფ. უჩამბა, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წ. 28 სექტემბერს.

2. ბერიძე ომერ მეგლუდის ძე

3. ბერიძე სულეიმან მერჯანის ძე. ხულოს რ-ნი, სოფ. მოფრონეთი.

3. გამრეკელიძე ნური შაქირის ძე, ხულოს რ-ნი, სოფ. სამოლეთი, დაბ. 1905 წ.

5. გამრეკელიძე ქერემ შაქირის ძე. ხულოს რ-ნი, სოფ. სამოლეთი, დაბად. 1893 წ.

6. გამრეკელიძე (საუშოლლი) შაქირ ოსმანის ძე

7. დავითაძე რიზა ეუბის ძე. ხულოს რ-ნი, სოფ. ტბეთი, დაბად. 1864 წ. განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წ. 20 ოქტომბერს.

8. თურმანიძე შაქირ ყემბერის ძე. დაბად. 1905 წ. განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წ. 22 აგვისტოს.

9. ლორთქიფანიძე ზექერია ღურსუნის ძე. ხულოს რ-ნი, სოფ. მოფრონეთი, დაბად. 1892 წ. განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1937 წ. 28 სექტემბერს.

10. ქურთოლლი შაქირ ხასანის ძე. დაბად. 1867 წ. ხულოს რ-ნი, სოფ. გოგაძეები.

მკითხველს ვაწვდი ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფიას:

ბეჟანიძე სულეიმან იუსუფის ძე. დაიბადა 1906 წ. ხულოს რაიონის სოფელ უჩამბაში, ოჯახური განათლების მიღების შემდეგ 1924-26 წლებში სწავლობდა ბათუმის პარტიულ სკოლაში. შემდეგ მუშაობდა ხულოს რაიონში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1932 წელს მიიღეს სკკპ წევრად და იმავე წლიდან 1937 წლის 18 ივლისამდე, ე.ი. დაპატიმრებამდე, მუშაობდა ხულოს რაიადმასკომის თავმჯდომარედ.

ს. ბეჟანიძე, როგორც ზექერია ლორთქიფანიძის დისშვილი, გადიოდა ე.წ. „აჭარის საქმეში“. 28 სექტემბერს სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა, რაც იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში.

გამრეკელიძე ნური შაქირის ძე. დაიბადა 1905 წ. ხულოს რაიონის სოფელ სამოლეთში, 16 წლის თვითნასწავლი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან ჩააბეს კომკავშირულ საქმიანობაში. ერთხანს იგი აჭარის ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა (1932 წ.), ხოლო შემდეგ აჭარის მანქანა-ტრაქტორების სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის (შერიფ ბალაფში) მოადგილედ მუშაობდა. 1935 წელს ნურის ხულოს რაიონის მიწვანის გამგედ ვხედავთ, ხოლო 1937 წელს, დაპატიმრების მომენტში, იგი ხულოს რაის-აბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის (ს. ბეჟანიძე) მოადგილეა.

თვით ნურის გარდა 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს მისი მამა შაქირი და მმა ქერემ გამრეკელიძეები.

დავითაძე რიზა ეუბის ძე. დაიბადა 1864 წელს სოფელ ტბეთში. უმაღლესი სასულიერო და იურიდიული განათლება მიიღო სტამბოლში. 1905 წელს დაბრუნდა სამშობლოში და წლების მანძილზე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა ქობულეთში, დღვანსა და ქიძინიძეებში. პროგრესული და ბრძენი კაცი 1921 წელს ხულოს რეგკომის წევრად აირჩიეს.

1924 წელს რიზა დავითაძის თაოსნობით სოფ. ტბეთში, მისი ბიძაშვილის იუსუფ დავითაძის სახლში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელშიც რიზა ლათინურ და თურქულ ენებს ასწავლიდა.

1937 წლის სექტემბერში დაპატიმრებული რიზას სამეუღლეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა განუსაზღვრა, რაც 1937 წლის 20 ოქტომბერს ბათუმში მოიყვანეს სისრულეში. ამის შესახებ ოჯახმა მხოლოდ ჩვენი სიების გამოქვეყნების შემდეგ გაიგო.

რიზა დავითაძემ დიდი ოჯახი დატოვა. მის შვილიშვილთაგან იოსები ბათუმის მუზეუმის დირექტორი და საკმაოდ განსწავლული მეცნიერი იყო. შვილთაშვილი რეზო ბათუმის განათლების განყოფილებას ედგა სათავეში, ხოლო მეორე შვილიშვილი

მურმანი რომელთანაც ინახება რ. დავითაძის წიგნები და სახელმძღვანელოები, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ემერიტუსი და მაღალკვალიფიციური ბოტანიკოსია.

თურმანიძე შაქირ ყემბერის ძე.* დაიბადა 1905 წელს ს. უჩაბაში (შუახევის რ.) პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. 1921-1924 წლებში მუშაობდა იმავე სკოლის კურიერად, სადაც მიიღეს კომკავშირის რიგებში.

1924-1926 წლებში შაქირ თურმანიძე სწავლობდა პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ხულოს კომკავშირის რაიკომის მდივნად და პარტიის რაიკომის წევრად აირჩიეს. პარალელურად დაამთავრა მუშფაკი.

1928-1929 წლებში შ. თურმანიძე აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარეა, 1938 წელს მიიღეს სკკპ წევრად. მომდევნო წლებში მუშაობდა ცხოველდამზადების კანტორის გამგედ და „ზაგოტზერნოს“ დამამზადებლად.

1936 წელს შ. თურმანიძე დანიშნეს ხულოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ინსტრუქტორად, შემდეგ გამგედ.

ზექერია ლორთქიფანიძის დაპატიმრებამდე 1937 წ. აგვისტოში, ჯერ მისი დისშვილი შაქირ თურმანიძე დაპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა, რომ 1935 წლიდან იყო კონტრრევოლუციური მეთაობზე ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელობდა ოთხკაციან ჯგუფს, რისთვისაც დებულობდა გასამრჯელოს. აჯანყების შემთხვევაში განზრახული ჰქონდა ჩაბმულიყო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით სსკ 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე შაქირ თურმანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს, რაც 20 აგვისტოს მოიყვანეს სისრულეში.

შაქირ თურმანიძის მეუღლე იყო ბათუმელი ხასან ჭიჭინაძის ქალიშვილი სურიე, რომელთანაც შეეძინა ერთი გოგო ფადიკო (გულნარა). იგი გათხოვდა გურამ გორგოშაძეზე. მათი შვილები ნაირა და შაქრო აჟამად ბათუმში ცხოვრობენ.

ზექერია ლორთქიფანიძე და საჩვენებელი (დასაშინებელი) სასამართლო პროცესი. 1937 წლის 24-28 სექტემბერს ბათუმში, ოფიცერთა სახლში გაიმართა მაღალი თანამდებობის პირთა საჩვენებელი სასამართლო პროცესი, რომლის მიზანი იყო არა სიმართლის დადგენა, არამედ უდანაშაულო ადამიანებზე თავსმოხვეული ბრალდების დასაბუთება. ხელისუფლება ცდილობდა მის მიერ განხორციელებული არნახული რეპრესიები ფართო საზოგადოებრიობის თვალში სიმართლედ გაესაღებინა, ხალხი დაერწმუნებინა განსასჯელთა დანაშაულებრივ ქმედებაში და მიეღწია იმისთვის, რომ მასებს (როგორც ისინი ხშირად ხმარობდნენ ამ ტერმინს) თავად მოეთხოვათ ხალხის მტრების გასამართლება და დასჯა.

დარბაზი ხალხს ვერ იტყვედა, ამიტომ მოაწყვეს რადიოგადაცემა, ქუჩაში მოსულ ზღვა ხალხს შეეძლო მოესმინა ბარალდებულთა „ალიარებითი ჩვენებები.“

იმ დღეს განსასჯელს სკამზე ისხდნენ:**

1. ლორთქიფანიძე ზექერია ღურსუნის ძე
2. ქიქავა ჯემალ მამუდის ძე
3. რამიშვილი გიორგი ერასტის ძე
4. მეგრელიძე ილიას ისმაილის ძე
5. ლალიძე გრიგოლ ერმილეს ძე
6. ბასილაძე ქაზიმ ხასანის ძე
7. ბეჟანიძე სულეიმან იუსუფის ძე
8. ძნელაძე ხასან იუსუფის ძე
9. ჩალ-ოღლი ხასან ხალიფის ძე
10. რომანაძე ოსმან რეჯების ძე
11. ვანაძე ოსმან თერჯანის ძე

* შაქირის ბიოგრაფია და ფოტო გადმოგვცა შვილიშვილმა ნაირამ, რისთვისაც მას გულთად მაღლობას ვუცხადებ.

** არსებობს საკმაოდ სარწმუნო ეჭვი იმის შესახებ, რომ განსასჯელები ადრე დახვრეტეს, მათ ადგილას კი მოიყვანეს ორეულები, რომელთაც „ალიარეს“ ბრალდებები.

ზ. ლორთქიფანიძე სასამართლომ დამნაშავედ სცნო იმაში, რომ იგი თითქოს ჯერ კიდევ 1928 წელს დაუკავშირდა თურქეთის დაზვერვის წარმომადგენელს, ხოლო 1933 წლიდან ჯემალ ქიქავასთან ერთად, ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ, მავნებლურ, დივერსიულ-ტერორისტულ, ჯაშუშურ-მოჯანყე ორგანიზაციას აჭარაში, რომელშიც მათ ჩართეს: ჩალოლი, ბასილაძე, მეგრელიძე, ძნელაძე, ბეჟანიძე, ვანაძე და რომანაძე.

1936 წელს ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ გ. რამიშვილი და გ. ლალიძე.

ყველა ბრალდებულმა „აღიარა“ წაყენებული ბრალდებები. გ. ლალიძემ, მაგალითად თქვა, რომ იგი იყო ბათუმის ნაციონალ-ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც მან შექმნა მწერლების: მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო შანშიაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძის დავალებით. იგივე გაიმორა გ. რამიშვილმაც.

ზ. ლორთქიფანიძემ „დაადასტურა“ კავშირი ბათუმში თურქეთის კონსულთან რუმუტი-ბეისთან, რომელსაც თითქოს აწვდიდა ჯაშუშური ხასიათის ცნობებს და ა.შ.

მეგრელიძემ, ბასილაძემ, ძნელაძემ, ჩალოლიმ, ვანაძემ, რომანაძემ და ბერიძემ „აჩვენეს“, რომ ისინი მონაწილეობდნენ ზ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში და სჩადიდოდნენ დანაშაულს სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობაზე ზიანის მიყენების მიზნით.

ამ პიროვნებების განსჯის საბაზად სასამართლომ გამოიყენა აგრეთვე სხვა საქმეებზე დაპატირებული და ნაწამები მოწმეების: დ. ხოზრევანიძის, ი. გათენაძის, დ. ხელაძის, ო. მოწყობილის და სხვათა ჩვენებები, რომლებიც თითქოს ადანაშაულებდნენ ამ პირებს, თუმცა მათი ჩვენებები სრულიად განსხვავდებოდა მსჯავრდებულთა ჩვენებებისგან.

აჭარის შსსკ-ში მსჯავრდებულებს სასტიკად აწამებდნენ. თვით ზ. ლორთქიფანიძე სასამართლო პროცესზე შემოიყვანეს მოტეხილი ხელით, რომელიც ხილაბანდით ჰქონდა ჩამოკიდებული. მისი და გ. რამიშვილის წამება პირადად ლ. ბერიას დავა-

ლებით განახორციელეს, რადგანაც ისინი ზოგჯერ აშკარად გამოდიოდნენ ბერიას უსამართლო მოქმედების წინააღმდეგ. ზ. ლორთქიფანიძის, გ. რამიშვილის და სხვათა მიმართ ანგარიშსწორება დავალებული ჰქონდათ: სერგო გოგლიძეს, ბოგდან (ბახჩო) ქობულაძეს, გიორგი ჯინჯოლიას, და სხვ. მათი ხელით ხორციელდებოდა აუტანელი, ბარბაროსული ტანჯვა-წამება, რამაც აიძულა განსასჯელები, ეთქვათ ის, რაც გამოდიებას და სასამართლოს ხელს აძლევდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა პირადად სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულოვი, გიორგი ჯინჯოლია, გრიგოლ კარანაძე და სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე რეჯებ ჯინჯარაძე არწმუნებდნენ მსჯავრდებულებს, რომ მათი „აღიარება“ აუცილებელია პარტიის და საბჭოთა მთავრობისთვის. გიორგი რამიშვილმა სასამართლო პროცესზე სწორედ ასე განაცხადა, რომ „თუ ეს ყველაფერი საჭიროა პარტიისა და მთავრობისთვის, მე მზად ვარ საკუთარი სიცოცხლეც კი გავიღო.“

1957 წელს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურის რჩევით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაში წარსულში არსებული მავნებლობის ფაქტების გამოსარკვევად. კომისიამ დაადგინა, რომ 1934-1937 წლებში აჭარის სოფლებში სახალხო მეურნეობის არცერთ დარგში არავითარ მავნებლობას, ხელოვნურად ზიანის მიყენებას ადგილი არ ჰქონია და ყველაფერი მაშინდელი შსსკ-ის მიერ იყო ფალსიფიცრებული.

ასევე გაირკვა, რომ ამ ჯგუფურ საქმეში არ არსებობს დაკითხვების ოქმების ორიგინალი. ყველა ოქმი წინასწარ შედგენილი და დაბეჭდილია მანქანაზე, რომლებსაც შემდეგ წამებისა და მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განსასჯელებმა. თვით ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი წინასწარ შედგენილია შსსკ-ის თანამშრომლების მიერ, რომელიც სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში თავმჯდომარემ რ. ჯინჯარაძემ გადაწერა და გამოაცხადა.

საბუთების ფალსიფიკაციის და ბრალ-
დებათა შეთითხვნის მთავარი ავტორები.
აჭარის შსსკ-ის ყოფილი მუშაკები: გიორგი
ჯინჯოლია, სერგო კუგელი, მინინი, ბუკი-
ანი, ხრისტო ცომაღოსი, კონსტანტინიდი,
გუგუშვილი, ნოე მატუა და ეზიაშვილი
1938 წელს დააპატიმრეს და კოტორევი-
ლუციური საქმიანობისთვის გაასამართლეს.
ს. გუგელი და გ. ჯინჯოლია ათეულათას
უსამართლოდ დასჯილთა შორის გამონაკ-
ლისნი იყვნენ, რომელთაც უარი ეთქვათ რე-
აბილიტაციაზე, ხოლო ნ. მატუა პარტიიდან
გარიცხეს და პენსია ჩამოართვეს.

სამწუხაროდ გვიან, მაგრამ ბოლოს
სამართალმა იხეიმა და 1937 წლის 24-
28 სექტემბერს ბათუმში გასამართლებული
ყველა პიროვნება, მათ შორის რვა, სიკვდი-
ლის შემდეგ გამართლდა და 1957 წლის
13 მაისს ოჯახებმა მიიღო სრული რეაბილ-
იტაცია (საქართველოს ცსა, 498, აღწ. 4, ს.
4973, ფურ. 19-30 და 49-60).

* * *

ზექერია ლორთქიფანიძის მეუღლე ესმა
დავითაძე დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ ქალ-
თაგან ასეთი ხანგრძლივი გადასახლება მის



ესმა დავითაძე


გარდა არავის გამოუცდია. ესმა მეუღლის
დახვრეტისთანავე დააპატიმრეს და როგორც
სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს, 10
წელი მიუსაჯეს. ამ დროს ორი მცირეწ-
ლოვანი შვილი ქემალი (დ. 1926 წ.) და
დურსუნი (დ. 1928 წ.) მეოთხე და მეო-
რე კლასის მოსწავლეები იყვნენ. თვით ესმა
მესამე შვილზე ორსულად იყო. თბილისის
ციხეში მეუღლის დახვრეტის გაგებისთანავე
გონება დაკარგა, სკამიდან გადმოვარდა და
მუცელი მოეშალა.

ბავშვები სკოლიდან გარიცხეს, ბინა
დაულუქქეს და საოჯახო ნივთები ჩამო-
ართვეს. ისინი ღია ცის ქვეშ დარჩნენ.
ჩეკისტების შიშით ბავშვების პატრონობა
ახლო ნათესავებმაც კი ვეღარ გაბედეს. ბო-
ლოს მათი პატრონობა დახვრეტილი სუ-
ლეიმან ბეჟანიძის დედამ, ეხსანმა იკისრა.

1938 წლის აგვისტოში ამ მამაცმა ქა-
ლმა აჭარის სახკომსაბჭოს განცხადებით
მიმართა, რათა ბავშვებისთვის დაებრუნე-
ბინათ ბინა და პირადი ნივთები. სახკომს-
აბჭოდან განცხადება გადაეგზავნა აჭარის
პროკურატურას, საიდანაც ასე უპასუხეს:
„...ერთი ოთახი მიეცა ქემალ და დურსუნ
ლორთქიფანიძეს, მამის დაპატიმრების შემ-
დეგ, მაგრამ მათ ასეთი გადასცენ მესამე
პირს. ვინაიდან ისინი არასრულწლოვანები
არიან, დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუ-
ძლიათ, ლორთქიფანიძეები აღსაზრდელად
ჩაბარდა ხულოს რაიონის, სოფელ უჩამბის
სასოფლო საბჭოს სოფელ მოფრინეთში
ახლო ნათესავს, ხოლო ოთხი ოთახი გადა-
ვიდა ქალაქის საბჭოს სარგებლობაში. რაც
შეეხება ნივთების დაბრუნებას, ამ საკითხზე
მიეწერა შინსახკომს და კანონის ფარგლებ-
ში დაკმაყოფილებული იქნება.

აჭარის ასსრ პროკურორის მოადგ-
ილე...“

შვილებს დანატრებულმა ესმამ 10 წელი
უკიდურეს ჩრდილოეთში და შორეულ აღ-
მოსავლეთში გაატარა. ეს ნაზი და უმწ-
ვნიერესი ქალბატონი ციმბირის უკაცრიელ
ტაიგებში ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა.
სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნებული
ესმა 1948 წ. კვლავ დააპატიმრეს და სამუ-




ძმები ქემალ და ღურსუნ ლორთქიფანიძეები

დამოდ გადაასახლეს. მოტივი ასეთი იყო: ხელისუფლებაზე განაწყენებული ხართ და ვერ გენდობითო. სახლიდან გამოსვლისას ესმას უთქვამს: ამოდენა საბჭოთა ქვეყნისთვის ნუთუ ასეთი საშიში ვარო? 7 წელი გაატარა ესამ ციმბირში. 1954 წელს დაბრუნდა და მიიღო სრული რეზიდენცია. ბედკრული ქალი უფროსი ვაჟის, ქემალის გარდაცვალებასაც

(1976 წ.) მოესწრო. თავად 1978 წლის მაისში აღესრულა, ხოლო ღურსუნმა დედის შემდეგ მხოლოდ ორიოდე თვე იცოცხლა და უფროსი ძმის მსგავსად იგი 51 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს.

ასეთი იყო ტრაგიკული ბედი, რომელიც ცხოვრების უსამართლობამ უჩამბის ხეობის რამდენიმე უდანაშაულო პიროვნებას არგუნა.





თვალსაზრისი

**სად ჩამოახრჩმეს ილიასა ხელაძე
(ხილაძე)**

სამშენობლო კომპანია „ანაგის“ მხარდაჭერით დაიბეჭდა ფრიად საინტერესო წიგნი „მოგზაურობა ძველ ბათუმში“. წიგნის შემდგენელმა ქალბატონმა ნანა კვაჭაძემ, იდეის ავტორებმა ნესტან ცეცხლაძემ და ეთერ თურაძემ უდავოდ დიდი და საშური საქმე გააკეთეს. მომავალი თაობები მას კიდევ უფრო მეტ ფასს დაადებენ.

წიგნში მეტწილად ის სტესტიები შეტანილი, რომლებიც გაზეთ „ბათუმელებში“ იბეჭდებოდა. ჩვენი თვალთახედვა მიიპყრო სტატიამ „მეველუდის საქმე“. აჭარაში და მთელს ქვეყანაში მეველუდ დიასპიდის სახელი კარგადაა ცნობილი. მის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დავით კლდიაშვილმა. 1984 წელს დავით კლდიაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ აღწერილია ამ ისტორიული პიროვნებისა და მისი თანამემულეების სასამართლო პროცესი, რომლის თარჯიმანი დავით კლდიაშვილი იყო.

„მოგზაურობა ძველ ბათუმში“ ავტორებს სათაურიც „მეველუდის საქმე“ დავით კლდიაშვილისგან აქვთ ნასესხები. უფრო უპრიანი „მეველუდის საქმე“ იქნებოდა. კარგი ჩვენ სტილისტურ და ორთოგრაფიულ შეცდომებზე არ გვაქვს პრეტენზია. ეს ყველა ბეჭდურ გამოცემას ახასიათებს, უფრო მეტად დღევანდელ ეპოქაში, როცა ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დაცვა მინიმუმამდეა დაყვანილი.

უფრო მტკივნეული და შეუფერებელია ისტორიული და პიროვნული ფაქტების დამახინჯება. მეველუდ დიასპიდე მარტო არ ებრძოდა რუსეთის იმპერიის მიერ თავსმოხვეულ რეჟიმს. ყველაფერი ეს კარგადაა აღწერილი პარმენ ლორიას ისტორიულ რომანში „მეველუდი“. არც რეჟისორ ზაზა ხალვაშის მიერ გადაღებული ფილმია დასაწუნი.

ყველა ისტორიული, ლიტერატურული და სცენური წყაროებიდან ვიგებთ, რომ მეველუდის ერთგული თანამებრძოლი იყო ფურტიოელი ილიას ხელაძე (ხილაძე). ამას ადასტურებს 2008 წელს გამოცემული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. პირველი თავის პირველ პარაგრაფში პროფესორ ოთარ თურმანიძის სტატიაში „რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება“ ავტორი წერს: „სასამართლო საქმეების გარჩევისას და განაჩენის გამოტანისას, მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. დავით კლდიაშვილი აღწერს კავკასიის მოხელეების, კერძოდ, მთავარმართებელ გოლიცინის უშუალო მონაწილეობას ფირალების – მეველუდ დიასპიდისა და ილიას ხელაძის ბედის გადაწყვეტაში“. ამ უნიკალურ გამოცემაში უპრიანი იქნებოდა ავტორს ილიას ხელაძე ხილაძით მოეხსენიებინა, რადგან სხვამ თუ არა მან კარგად უწყის, რომ ხილაძეების საძვალე ისტორიული სოფელი ფურტია. ამ გვარის შვილები დღესაც ცხოვრობენ აჭარის მთიანეთში ფურტიოსა და ნალვა-

რევში. მათ კარგად იციან, რომ ისტორიული პიროვნება ილიას ხელაძე და არა ხელაძე მათი წინაპარი იყო.

„მოგზაურობა ძველ ბათუმში“ ავტორები მიანიშნებენ: „ილიასას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს გოლიცინის ბრძანებით. ქელაში შეჰყარეს მოსახლეობა, მათ შორის თავაშვებულ და ილიასა ხელაძე საჯაროდ ჩამოხრჩვეს საკუთარ სოფელში“

სადავო და საკამათო სწორედ რომ ამ ამონარიდის ბოლო წინადადებაა. ილიასას საკუთარი სოფელი შუახევშია და ქელას 40 კილომეტრზე მეტადაა მოშორებული. ქალებსა და ბავშვებს თუ ქელაში შეყრიდნენ, ისიც იმ დროს, როცა ბათუმი-ახალციხის მაგისტრალი გაყვანილიც არ იყო, ილიასას ფურტიოში რატომ გადაიყვანდნენ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ხალხური მთქმელის რეჯებ მჟავანაძის ლექსი „ფურტიოელი ილიასას ლექსი“ მაინც გავიხსენოთ:


„შემდეგ ეს შავი ამბავი
ილიასას გამოუცხადესო,
გალმა ქელას ტარალაჯი (სახრჩობელა
ავტ. შენიშვნა)

დასვეს, გაამზადესო.
მემრე ხალხი დეიბარეს,
მთელი უჩასტკის ჯარიო.
ყარაყიშის ოზდა რვასა
ეს საქმე ნამდვილ არიო“.

სხვათა შორის მწერალს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ემენ დავითაძეს თავისი წიგნში: „აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია“, ილიასა ხელაძე ხელაძედ ჰყავს მოხსენიებული. „...ყაჩაღობისას შიშის ზარს სცემდა მათ, მაგრამ ბოლოს დაატყვევეს და ქელაში სახალხოდ ჩამოხრჩეს. ამ საშინელ სურათს რეჯებიც დასწრებია, იგი მაშინ 25-30 წლის ყოფილა. ილიასა ხელაძის (ხელაძის)ადმი მიძღვნილ რეჯებ მჟავანაძის ლექსში ჩაქსოვილია მეფის მოხელეების მიმართ უსაზღვრო სიძულვილი და სახალხო გმირის ილიასასადმი დიდი თანაგრძობა“. (აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია. ემენ დავითაძის რედაქციით. ბათუმი, 1993 წელი, გვ. 72).

ასე, რომ მევლუდ დიასამიძის დროინდელი თანამებრძოლი ილიას ხელაძე იყო უფრო სწორედ „ხელაძე“, იგი ქელაში ჩამოხრჩვეს და არა ფურტიოში!





აჭარისწყალ-წყალ ზეცისკენ
(ღაჭიჭი ჩალეჭილი)

გახედე, რა ამინდია,
გარეთ მზე, გულში დარია.
ძმებო! მთებისკენ მივდივარ,
მთებისკენ მიმიჩქარია,
მორჩა!!! ზეცისკენ მივქრივარ,
ზეცისკენ მიმიხარია.

ერთს ვჰკითხავ მღვრიე ჭოროხსა,
იქ,
გაღმა,
ნისლობს რა ნისლი?
მთები რომ ქართულ ხორომს* ჰგავს,
იმ ხორომისა რა იცის?!

მთებს მთები მხრებზე შეუდგამთ,
დაბლა აჭარისწყალია.
შეუყვე წყალ-წყალ შენ უნდა,
გცალია, არა გცალია,
თუ გიყვარს შენი სამშობლო,
და თუ გულშიც გჭირს ძალიან...

ვჰკითხავ,
ძმამ რაც დააბარა
ვეტყვი: ვარ არ გულმაღვიწცი,
რომ ვთქვათ: შემოთვლილ-შეთვლილის
ბოლო რა არის, რა ისმის,
რა არი ამის მაღამო,
ანდა წამალი ამისი!!

გავცდი კახაბერს,
კირ-კირნათს,
მახოს,
მაღლაკონს,
ჯოჭოსა,
წყალთსაყარს ჯავრმა მიკბინა,
შევდრკი, გულს დარდმა მომფხოჭა.
ჩამოვხდი, გზისპირ მივკრინავ,
ჩაღმა ჩავეყრებ ჭორომსა,
იქ სადაც აჭარისწყალი
ელომკაცება ჭოროხსა...
ჯერ აჭარისწყალს, კვლა ჭოროხს
თვალებს შევაფშენი, ორ-ორსა:

რომ მეწვის ძველი იარა,
წამალიც როდი წავისვი.
რომ მწიწკნის მწარე წარსული,
ჭრილობა არდასაეიწვი,
რომ მტკივა ტაო-კლარჯეთი,
ვით გაბზარული ლავიწი,
რომ მტეხავს ლაზი - ლაზეთი,
ჩემ ძველი ძვალ - საბრძანისი,
ო! მტკივა, მტკივა, სამშობლო,
როგორც ნაღრძობი ლავიწი...
და...
არ ვიცი, რაა წამალი,
რაა მაღამო, არ ვიცი!!!

* ხორომი (აჭ. დიალექტ.)_ ასე ეძახიან დღემდე ცეკვა ხორუმს მთიანეთ აჭარაში.

გზას ველტვი,
წინ-წინ მივიწვი,
შორი მაქვს ახლო სავალი.
ჩემი მზე, ჩემი პირიმზე,
წყალ-მიწა, ჭირ-ლხინ მრავალი,
გზა, ჩენი, დელე-დურდანი,
სულ ჩოქვა - ჩოქვით სავალი!..

ლაგამს მივიკვნიტ ჯავრისას,
წყალს წყალ-წყალ მეწყრად ვეწვი.
ნუგეშს არ ველი არც ვისას,
არც ვისმე ხსნას ვეხვეწები,
ვიცი რომ მიდგას, რაც მიდგას,
წინ წყალი, უკან - მეწყერი...
საბღვერს უბრალოდ არ ვუბღვერ,
არცდამცა საწყლად შევცქერი,
ვიცი, კვლავ უნდა შევიძლო,
რაც აქამომდინ შევძელი!!!

გზას ველტვი, აღმართს მივკეცავ,
მანძილს ვჭამ მუხლით, თვალითა,
ვატყობ, რაც ერთხელ ვიხადე
ისევ მეწყება თავიდან...
სახადი, გარდანახადი,
კვლავად მეწყება თავიდან!!!

კუნძულო ევგენიძეთა*
ჯამებს ჰხვეწთ თხმელის ტანიითა.
პოეტებს ვინ დაგვიბედა
დავძლეთ მსოფლიო ჯავრითა,
პოეტებს ვინ გაგვიბედა
დავსკდეთ ლობიოს ჭამითა,
დამისხით, ცეცხლი დავლიო
მაგ ქვასანაყის ჯამითა!

ჩქარა! სისხლ-ღვინით გამივსეთ
ძმებო, ეგ ქვიჯა, საქინძე.
გახედეთ, არ ჰგავს ქალის მკერდს
მთები, სახუტებ - საფიცრებს?!

რაა ეს ხევიც, თუ არა
ჩახსნილი დედის საკინძე...
თუ ვისმე უძმოს ვაწოვო,
ჩემ ცოლი სხვისად დამიწვეს,
თუ ვინმეს გამდლად ვათხოვო,
შვილ-ძირი მიწად ჩამიწვეს,
აკვანი, ნენეს ნარწვეი,
უძოდგმოდ ქვესკნელს ჩამიწდეს,
და...
გვარიც, ჯიშიც და ჯილაგიც
სულ ერთად ჩამ-ჩა-მიმიწდეს!!!

თუ ჩემი მიწა - მამულით
სხვისი კვირტ - თესლი გამიძდეს,
თუ სხვის სამოწყლოდ დავარჩო,
თუ მართლა სული წამიწყდეს,
ჩემ-ჩემი გადამქართულდეს,
სხვის-სხვისკენ გული წამიცდეს,
სხვისმა მიმხიბლოს მზემ როცა,
ჩემ როსმე გადამავიწყდეს,
ან მხარად, ჩემად, ნალეწად,
სხვის მხარი გამილავიწდეს,
მშობელსა, მშობლის ვერძნობსა
შვილიც წინ ცხედრად დამიწვეს!
და
ცხედარს, ცოცხლად მავალსა,
წინ თვის ცხედარი წამიძდეს!!!

სამშობლო, ჩინი მთავარი
თვალ-ჩინად გაიფაციცეთ,
დაუთმო?_ვინმე მურდალსა???
ჩამქოლეთ, ძმობას გაფიცებთ!!!

_ჰა ქედა! ქედზე შემფროთხალი
შაშვს გაექაღნა ქედანი.
მთის მირონია ეს წყალი,
ემბაზი, სულის მკევაბუი.
ქედელი, ქვეყნის მჭედელი,

* პატარა დასახლება ჭოროხ - აჭარისწყლის შესართავს ზემოთ...

ფრთხილი თან, თან გამბედავი,
სულ ქართულს ჯიშზედ უზრდიან
იკურთხონ იმათ დედანი!

თვალი მიძებნის შუახევს,
გულს გამოუსხლტა მერცხალი.
კლდეებს სულ შუა-შუა ხევს
მერმე კალმახი, ჯერ წყალი.
აქ სახლობს შუახვეველი,
მუდამ ლომ-ვეფხვებზე შემწყვრალი,
ვინ ჰშობა, ვინ გაგვიზარდა,
ღმერთად ვთქვათ დედა, ღმერთქალი!!


_აჰა, ჯვრად გამოსახული
ხულო, ხევ-ხუვთა მზვერავი.
არვის ყმა, არც ვის მსახური,
არცა ვისამე მძევალი,
მწამს ყრმად ყრმა ჯერუყმობელი,
ხარ-ვაჟი, არა მხევალი,_
მეხი მუხლმარდი ხულელი,
გაქცეულ ირმის მწველაგი,
დედას ვყავარო, იმან თქვას,
დედობის ვუხმოთ მწვერვალი!!!

მთიელო! ვინ გედავება
მაგ შენ ხელუხლებ მთავორებს?!
ეგ ღელე, ვით უკვდავება
დიდნენეს ცრემლებს მაგონებს.
კლდე შენ ხარ, მე ჩემი ყოფნა
შენ ერთ კენჭობას მამოდებს,
თუ რასმე ხლართში გავეხვება,
დასხდით, ხარხარი მაგონეთ,
თუ ვისმე ფანდში გავება,
კენჭი კამათლად მაგორეთ!!!

ჰეი, ხიხანო სადა ხარ?_
მთებო, გამოიწ-გაიწით,
ან აწმყოს დარდი რად არ გხრავთ,
ან მომავლისა რა ვიცით?!
ღრუბლებო, უჩუმ-უბრებო,_
წარსულთან ნასაუბრებო,
გარდაჰქრით, გარდაიწვიმეთ,
მზით დადნით, მთვარით დაიწვიეთ,
და—
გვახსოვდეს ერთი სამშობლო
და... ჩალეწილი ლავიწი!!!

31.01.2014.





სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმაღე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.
ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს ჯავრისაგან კბილით,
იავნანა მშველოდა და
კაბა-კალთის ჩრდილი.
შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი,
მეწყერივით მოვარდნილი
მიჩენია მტერი.
კლარჯეთს ცრემლი არ გაუმრა,
ბევრჯერ მომატირა –
აღსრულდესო დედის ნატვრა,
შესაწირავს სწირავს.
ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.
ვაზი სულში გადავმაღე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

სსალთის ტაძართან

ბაღლო!
მოეფერე ამ ტაძრის ჩუქურთმებს!
სანთელი დაუნთე ქვითხუროს!
მტერს რომ უნდა და რომ ჰკონია,
წარსულს წაუღია ის ხულო.
მე ვიცი, რაც მჭირს და მაცრემლებს

და შენთვის რა ტვირთსაც ვკისრულობ,
ტბელის გენია რომ ანათებდა,
შევხარი,
შევენატრი იმ ხულოს.
დაღლილს და
დაღარულს
წიოკობით,
დღეს მინდა სურვილი მისრულონ,
მცხეთას რომ უხარია,
თბილისს რომ უხარია,
იქნები ყოველთვის ის ხულო.

ტბეთის ტაძართან

მინდა შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვრებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.
ღვთაებრივი ფარდავით
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი
ერგეს, კირნათს, მარადიდს...
უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შენოდი,
წუხდი, ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ, ვერ გშველოდი.
მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,
ზარზმა-არტანუჯამდე.
საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას
სიზმარში და მივტირი,
რაც ღღემდე დამკარგვია.
ახლა ასე შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვრებელო,
სალოცავო ბებერო.
სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

მკითხველის შემოქმედება

რასულ ბოლქვაძე

რამდენი წელია

რამდენი წელია ვერვინი ჭაღარას,
რამდენი წელია ხეს სცვივა ფოთლები,
რამდენი წელია სიცოცხლე მეძახის,
დღეს არა, ხვალ არა, ზეგ მაინც მოვკვდები.
რამდენი წელია მიყვარხარ ძლიერად,
რამდენიც გაკოცე იმდენჯერ მორცხვლები,
რამდენი წელია მეძახის იმედი...
დღეს ან ხვალ შენს გულში რომ მაინც მოვხვდები.
რამდენი წელია გავიდა ბავშვობა,
რამდენი წელია დამთავრდა ზღაპრები,
რამდენი წელია მე დიდი ბიჭი ვარ,
როგორც ბავშვს, დედილო, ფედხაფეხ დამყვები.
რამდენი წელია დაქრიან რითმები,
რამდენი წელია ფურცელზე ვსახლდები,
რამდენი წელია დაგეძებთ ამქვეყნად,
სადახარო, მითხარით, ან რატომ არ მხვდებით?
რამდენი წელია გაფრინდნენ მერცხლები,
რამდენი წელია ცივდება სამყარო,
რამდენი წელია ადგილი მჭირდება...
ეს მძიმე ლექსები რომ სადმე დაყვარო.
რამდენი წელია წლები დროს ითვლიან,
რამდენი წელია გზებს უკან ვიტოვებ...
რამდენი წელია მე თქვენსკენ მოვდივარ
და თქვენ კი ჩემს გულში სიყვარულს მიტოვებთ.



* * *

ნისლი აღნება ხეობას ტანზე...
და წყდება სულიც ნისლის ფთილებად,
ახლა აღარ მაქვს შიში განძარცვის,
აღარ მაშინებს ეგ გაფრთხილება.
ნისლს კაბასავით შემოვიტმასნი
სული წაიღონ ცაში ჩიტებმა
-დავეფინები ხეობას ტანზე
მერე,
დაწყვეტილ
ნისლის
ფთილებად.



ვასტანზ ბერიძე

* * *

ცა თოვლად ჩამოფანტელდა,
მიწას თეთრებით რთავს,
ბრილიანტებით მოიბნა
და დიადემას გაკვს.
თვით ცისწულები მობრძანდნენ,
სიწმინდე მოყვათ თან,
ცა მიწას ჩახუტებული
ჩვენს შორის შლიდა ზღვარს.
და ზღაპარს გავდა ეს ღამე,
ზღაპარს, სათუთს და ნაზს,
ჩვენ გულისცემას ვუწყობდით
ცის სეფექალთა დასს...



ბარდასულ ჭირნახულთა სალარო

ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე მდიდარი ზეპირსიტყვიერება შეუქმნია, რომელიც ფანტაზიისა და კომპოზიციური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საზოგადოებად ჩამოყალიბებული ადამიანები თანდათან იმუშავებდნენ პრაქტიკული საქმიანობით შემოწმებულ სიბრძნეს, რომლის კონდენსირება ხდებოდა ზეპირსიტყვიერების სახით. ფოლკლორის მასაზრდოებელი ნიადაგი მისი განვითარების ყველა ეტაპზე იყო თვით სინამდვილე.

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „უნდა ხელუხლებლივ იბეჭდებოდეს ყოველი ნაწარმოები ხალხის გონებისა და ფანტაზიისა“¹ აქედან გამომდინარე, ცხოველი ინტერესით უნდა ვქექავდეთ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რადგან ამგვარ მოძიებულ მასალებში ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თუ ჩაუვკვირდებით, სიბრძნის კვალს შევამჩნევთ. მათში ცხოვრებისეული სურათები რელიეფურად და თვალნათლივსაა გამოხატული. ისინი სინამდვილის რეალისტური ასახვაა. ფოლკლორის ყოველიჟანრი მრავალთემიანობით ხასიათდება. სხვაგვარად არც კი წარმოდგინება ჟანრის ხანგრძლივი არსებობა, გამძლეობა, დამკვიდრება ზეპირსიტყვიერებაში. „ხალხური ზეპირგადმოცემები ამხელენ ადამიანის გრძობებს, გონებრივი წვდომის შესაძლებლობებსა და სახიერებას“².

ფოკლორული მასალა ბუნებრივ პირობებში ზეპირად გვხვდება რომელიმე ჟანრის სახით. ასეთი ძეგლის არსებობა, თავისთავად,

ეჭვს არ იწვევს, რომ იგი წარმოიქმნება და ვრცელდება ფართო ტერიტორიაზე, როგორც სიტყვიერი, ისე ბეჭდური გზით. დაწყებით საფეხურზე ხალხური შემოქმედება მხოლოდ ზეპირი მოხმარებისთვისაა დანიშნული. ამ დროს ის არ არსებობს მკვლევარისა და მკითხველისათვის, რადგან ვერც ხელით შევხებით და ვერც სადმე ამოვიკითხავთ. ამიტომ ხდება აუცილებელი ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მოძებნა და წერილობით ფორმაში მოყვანა, მისი გადატანა საწერ მასალაზე.

„ყველა შეკრებილი ხალხური მასალა მხოლოდ შავია, რომელსაც შემოწმება, შედარება და დამუშავება ეჭირება“³ სწორედ ამ შემოწმებაში, დამუშავებასა და შედარებაში გამოინახება მისი ღრმად ჩაფიქრებული დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი პრინციპები. უმინსკი წერდა: „ფოკლორი ხალხის პედაგოგიური გენიაა“.

2001 წელი, აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, გველის წლად იყო აღიარებული. თუ გველს ქრისტიანულ ქვეყნებში უარყოფითი რეპუტაცია აქვს, აღმოსავლეთში, პირიქით, მას აღიღებენ სიბრძნისათვის, ნებისყოფისა და გამჭრიახობისთვის. როცა იაპონიაში სურთ, რომ ქალს ქათინაური უთხრან, ეუბნებიან; „ჩემო საყვარელო, ნამდვილად გველი ხარ“ („ჰოროსკოპების კრებული“ – შემდგენელი ა. გრიგოლაშვილი. გვ. 96.) დასავლეთის ქვეყნებში კი, ასეთი მიმართვა, რა თქმა უნდა, მიუღებელია. გველის მიმართ ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს. ზოგი მასში ხედავს საშიშ არსებას, ზოგი-ეგზოტიკურ ცხოველს,

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940. გვ. 480.
² შჩიქოვანი, ნ. შამანაძე, ქ.ხ.პ, II, 1972 წ. გვ. 19.
³ ა. შანიძე, ქ.ხ.პ. ხევსურული, 1931წ. გვ. 33.

ზოგს მის დანახვაზე მოღური ხელჩანთა ან ფენსაცმელი აგონდება, ზოგს წყევლა ადგება პირზე. ასეა თუ ისე, გველს ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მითოლოგიაში (VIII კლასის სახელმძღვანელო) ვკითხულობთ: „გველი ძველთაგანვე სიბრძნისა და ცბიერების სიმბოლოა. ის ორმხრივი ბუნებისაა: კეთილიც და ბოროტიც. სწორედ გველმა შეაცდინა და მოატყუა ევა, აკრძალული ხის ნაყოფი შეაჭამა. „ღმერთმა დასწყევლა გველი: წყველ იყო შენ, მუცლითა შენითა ხვილოდე დედამიწაზე და მიწას ჭამდე შენს სიცოცხლეში“¹. გველის ფენომენზე წარმოდგენილია აჭარელთა შეხედულება, ე. დავითაძის ნაწარმოებში. ცხადია, ინტერესს მოკლებული არაა, როგორია ეს დაწყველილი არსება რაიონის ფოლკლორში. თემაზე მუშაობის დაწყებამდე წავიკითხე ქ. ხ. პოეზია, ტ. I, ქართული ფოკლორი ტ. IV, ვ. ნოღაიდელის „ნარკვევები და ჩანაწერები“ ტ. I და III, ემენ დავითაძის, სოფლის აღმაშენებელი, ნაკრები გამოცემა (1985 წ.) და სოფლის აღმაშენებელი, ტომი I (1990 წ.), „ქართული ხალხური ზღაპრები“. მათში გველზე საკმაოდ რაოდენობის ტექსტი იყო. ესენია: „გველი და კაცი“, „სიზმრის ახსნა“, „გველების ხეწიფე“, „გველი ხრელსა მიძრებოდა“, „გველვაჟი“, „ადამიანი და გველი“. გველი დახატულია როგორც ბრძენი – (სიზმრის ახსნა), როგორც კარგი აღმზრდელი შვილისა („გველი და კაცი“), როგორც ბოროტი („გველი ხრელსა მიძრებოდა“, „გველვაჟი“) და ა. შ. სამწუხაროდ, ჩვენს რაიონში დღემდე შენაკრებ ფოკლორულ მასალაში გველზე ჩაწერილი ნიმუშები ნაკლებია. ამიტომაც ავირჩიეთ ჩვენ ამ ხარვეზის შევსება.

საკმაოდ დიდია ქედის რაიონი. იგი მრავალი სოფლისაგან შედგება. ბევრი, თითქმის ყველა, ფეხით შემოვიარეთ და ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა: ყველა სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში გველთან დაკავშირებით რომ საუბრობენ, იტყვიან: „პირი ქვისკენ მიქნია და გველი დევნახე“, „ცხრა

მთას იქეთ გადამჩქვანდეს და ბაღანას გველმა უკმინა“, „ირალოლსუნ და გველის პერანგი დევნახე ახორი ბაგახე“, „ცხრა ლემსი და ცხრა ვედრაი ნაცარი იმის თვალში და გველების შიშიმგონე იქ გავლა მეშინია“, „იმიისი ქოქი ამეილო ღმერთმა და გველი შამოსულიყო იმათ სახში და კრაოტის ქვემ დასხმარკლულიყო“, „ღუმმანს შეეყაროს და გველმა შემხდა“, სიძულვილით მას „უხსენებელს“ ეძახიან. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ანდაზებში, იდიომურ გამონათქვამებში გველი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. ჩაწერილ მასალას დავაკვირდი და ფუნქციის მიხედვით ასე დავალაგე:

1. სიმბოლიკა პატრიოტიზმისა
2. სიმბოლიკა გონიერი აღმზრდელისა
3. სიმბოლიკა ბოროტისა და კეთილისა
4. სიმბოლიკა ამაგის დაუფასებლობისა და უმაღურობისა

I სიმბოლიკა პატრიოტიზმისა

„სულთან სულეიმანს ერთ უღმეშა ტყის ადგილზე ქალაქინა გეეშენებია. ბძანა, რომ ტყის ყველა სურიელმა სამი თვის გამოვლობაში აქიდან გაკალიბდით, ტყენა გადავწვა, ქალაქ ვაშენებო. სამი თვის მერმენ გადაწვა მართლა. ცხენზე შეჟდა და ამთვალეირებს გადამწვარ ტყეს. ყველა სურიელი გაკალიბულიყო და ნაცრი ღვიდარში მარტო ერთი გველის ჩონჩხი გდია. გული დაწყდა სულთან სულეიმანს, ჰამან ამ ერთმა ვერ გეიგონა ჩემი ბძანებაო. ღმერთს შეეხევეწა, სული ჩუუდგი გველსო. გერჩექ, ღმერთმა სული ჩუუდგა.. სულთან სულეიმანმა ყველა სურიელის ენა იცოდა და კითხა: ჩემი ბძანება შენ ვერ გეიგონე? გველმა უთხრა: ეს პირველაი მე გეგონე, მარა ცეცხლში დაწვა ვირჩიე სხვაგან წასლასო. “(მთქმელი ალიოსმან ზაქარაძე, 80 წლის, მცხოვრები სოფელ ხარაულაში, წერა-კითხვის მცოდნე, მოსმენილი აქვს თავისი მამის, ზექერია ზაქარაძისაგან, 90 წლის, წერა-კითხვის უცოდინარი).

ანალოგიური დედაზრისაა, მაგრამ განსხვავებული სიუჟეტისაა სოფელ დოლო-

¹ ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, 1990 წ., გვ. 9

² ქრესტომათია, IX კლასის სახელმძღვანელო, გვ. 249..

განში საუკუნეს მიახლოებული ალი საფარისიდან ჩაწერილი თქმულება: „ერთ კაც სოფელი რაცხაზე გედემტერა. მიატია ყველა და ღუნის ქენერში, ტყეში მივდა. იქნა გეგეტებია ერთოდალი ფაცხა, რომ ემცხოვრა. გათენებამდი ღმერთ ეხვეწა, რომ ამ ალიგზე თუ რამე სურიელა, შენი ენით მიახინე და გააქციე, ხვალ გადავწვანა აქავრობა და მეორე ცოდვა რამესი არ ჩამადენიოვო. გამთენიოს ტყეს მიცა ცეცხლი და ხედავს, ერთი გველი ისხრიკვის ცეცხლში, არ გარბის. კაცი შეშა ცეცხლში, ღარმი მანაც დებრუწა, წამოკრა წალდი და გველი გედექნია. ამოშიმინდა გველი და ისვენ ცეცხლში შეშა. კილო გექნია, კილო შეშა. კაცი დაფიშმანდა, ეს რა არისო. ახლა მეორე ცოდვას ვიდევო. გველმა მიხდა, კაცი წუხსო, ენა ამეიღა და უთხრა: ეს შენი ცოდვა არაა, შენ გადამარჩინე დაწვას. მე ღმერთის ბძანება მესმოდა თელ ღამეს, მარა აქიდან წასლა არ მინდა. აქ დევბადე, აქ გევზარდე, სხვაგან წასლას და შეჩვევას აქ მოვკდე მირჩენიაო. მე მიკვირს, შენი ადგილი რომ დატიე, აქ რაფერნა იცოცხლო“¹. (მოქმელი ფადიმე კონცელიძე, 101 წლის, მცხ. სოფ. ცხმორისში, წერა-კითხვის უცოდინარი). ფადიმეს ნათქვამი მოგვაგონებს ს.ს. ორბელიანის ივავ-არაკში მყვარის („იხვი და მყვარი“) სიტყვებს, როცა ეუბნება იხვს: „მე სამკედროს ვერ დაგტოვებო. შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ“. იხვი კი ამბობს: მაგისტანა სამკედროს სიყვარულს ჩემულად სიარული სჯობიაო“¹.

II სიმბოლიკა-გონიერი აღმზრდელისა

ერთ ყორეში გველს სამი შვილი ყავდა, ორი მუუკდა. ერთი ღარჩა. მერაყიმგონე ღარმი გველმაც მოკდა. გველია და შვილის სიკდილი არ იცის? ესეც არ მომიკდესო, განოხდა, ერთ სახში უსკურაში ძე ამოსლიპა, წევდეს და აჭამოსნა შვილს. მის მისლამდინ ღარე ჩემეინგრა და ის შვილიც ღარმი მეიჭყლიტა. ისე კი გვერდები ძალვან ღუუშავდა. რომ მოიდა გველი, შვილმა უთხრა: იგირ იმ სახლიდან, წუუშვორა თავი, კაცმა გამეიარა,

მე ვთბებოდი მზეში, თხილის წყლებით მიბრაგუნა. შავასტარ ყორეში, თვარამ სულს დამაშპენდაო. დაანახია დაშლეპილი გვერდები. გველმა ჰამანნა წევდეს იმ კაცის დასაკებულათ, რომ დენინახა ჩამონგრეული ყორე, ეს რა არისო. შვილმა ვეღარ დამალა, დოღრი უთხრა. ამ ყორემ დემეცაო. გველმა კიბილებით დაჭამა შვილი-ასე მალე ამღონი მომატყვილე, რომ გეიზრდები, ღუნისა დააქციე, კილამ კაცი დამაჭმევიო.“ (მოქმელი ენვერ ნაკაშიძე, 80 წლის, ზენდიდი, პენსიონერი).

თქმულებაში დედა გველი გონიერი აღმზრდელია, არ აჩვევს შვილს ტყუილს და შვილს სწორ გზაზე აყენებს. სიუჟეტით ეს ჩანაწერი ჰგავს ქართულ ხალხურ ზღაპარს „გველი და კაცი“. ორივე გველი სჯის თავიანთ შვილს ტყუილისათვის, ოღონდ, ისაა განსხვავება, რომ იქ კაცს შემოხვდა გველის წიწილა. აუქნია ჯოხი, სოროში შერეკა, სხვა გამვლელმა არ დახოცოსო, შვილებმა კი მოატყუეს დედა, რომ კაცმა გვეცმაო. დედამ დაადგინა სიმართლე და ღამის დაწვეობა ცემით. იმ კაცს კი სიკეთის სანაცვლოდ ყველა ფრინველისა და ცხოველის ენა ასწავლა. (მოქმელი ხასან ბარამიძე, 75 წლის, მცხოვრები სოფელ ხუნკუდაში, საშუალო განთლებით).

III სიმბოლიკა ბოროტისა და კეთილისა

„ერთი სოფლის დასაწყისში გავლა საშიში იყო. ყორე იყო აქ, ადამის ღროინდელი, გველებით სამსე. ერთმა კაცმა წუუკიდა ღინემითს და გედექნია ყორეში. გველები აწივლდენ, ღუნია გექანა. ამეიჟლიტა ყველაი, ერთი პაწაი გველი, არც ემჩნეოდა, ცოცხალი გადარჩა. ქვებსშუა იყო. კაცი რომ წევდა, იმანაც ამოსლიპინდა და წევდა სხვაგან. იზარდა, იზარდა, გახდა კლავისიხოშრე. იმ კაცის სახში ჩამრა შვალამიხან ბუხრი თავიდან მაშინ, როიცხა ყველას ეძინა. დაკბინა ყველაი-ქალი, ბაღნები, კაცი. დავლივით გასივდენ და ერთ საათში ყველაი მოკდენ. ამფერია, ჰე, ხუსუმეთის გადახდა იცის“¹. (მოქმელი ჯელილ ჩხიკვაძე, 70 წლის, სოფელი ქელა, პენსიონერი).

¹ ქრესტომათია, IX კლასის სახელმძღვანელო, გვ. 249.

„ერთმა ქალმა ოთხი თვის ბალანა მიეწვიტა-ბევრი მყავს და ამასაც ვერ გავზღდი, სიფუხრეაო. კაცმა არ მიმიხდესო, შორ პლაკეში გადააგდო. იქ გველები იყვენ სამსე. რა ჩამოვარდაო, შეხედეს და გაშავებული ბალანა ნახეს. დაზავდენ ყველამ. ზოგმა სული ჩუებერა ყიაში, ზოგმა პირი ულოკა, ზოგმა-თვალი, ზოგმა-ყური. ბალანას სული ჩუედგეს, გაზარდეს.

გვედა ეფეიჯა ხანი, ასე 5-6 წელი. იმ ქალმა ნახა სიზმარში, რომ მისი ბალანა იმ პალკეში ცოცხალია და გველები ესევიან. იფიქრა, ცოცხალი თუა, ერთი ვნახავო. მივდა, გუდუუხნდა და ხედავს, გველებში გაწოლილა 6 წლის ლამაზი გოგო. ამოსისინდა ერთი გველი, შამიეხვია ქალს კისერზე და დაამპუნა სული. ასე გუდუუხნდა გველმა სამაგიერო შვილის მოკლისთინ. (მთქმელი ზია ძნელაძე, 74 წლის, სოფელი ორცვა, საშუალო-ტექნიკური განათლების, პენსიონერი).

„კაცმა ტყე გაკაფა, ცეცხლი ვეღარ ჩააქრო, დეწვა ქალი, ბალნები და მანაც მოკდა. ერთი ბალანა დარჩა მარტვაი, იეთიმი, რამე არ აქ. ჰანა წვედეს, რანა ჭამოს. მიდის გზაში და ტირის. შვა გზაში შეხდება ერთი გველი. მას წელი აქ გადაწვეტილი. ხანდენხან გეექანება. ბალანამ უყურა, უყურა, შეებრალა, გამაა იქეთ, გამოტეხა ჯოხი, წუუქნია, წუუქნია და ერთმანეთს მიატყუბა. გველმა იკანკლა, ისხრიკა და სონინი გასტორდა. ახლა ბალანას შეეშინა, არ გამოემესხრიკოსო, გარბის და უკან-უკან იხედება, ხომ არ მომდევსო. რათ მინდოდა, რომ გადავატყუებე, ახლა მომდევს, შემჭამოსნაო. გველმა ეს გეივონა, წამეაასისინა თავი და ბალანას უთხრა: შენ ხელებზენა გაკოცო, რამდენმა გეიარა, ზოგმა ქვა შამომკრა, ზოგმა კი აჯალი დამაყარა-მომკდარაო, ზოგმა დამწვევლა. შენ კი სიკდილ გადამარჩინე-ბზი ჩასლამდინ ასე ვიმწვალე-დი და მერმენ მოვკლებოდიო. შენ რომ ჩემთვინ კაი მოგინდა, მეც მინდა კაი გეიკეთო. წამომყევ, ნუ გეშინიაო. გასლიპინდა. წაყვა ბალანა, ერთი კილდი ძირში მიიყვანა, ჩამრა-ამოდრა მიწაში. გააკეთა დიდი ღრუტუნაი, ჩაახედია ბიჭ შიან – დიდ ჯვალში სავსე ალთუნნი იყო. ასე გაამდიდრა გველმა იეთიმი. „კაი საქმის შეფასება, შვილო, გველმაც

იცის”-ამგვარი შეგონება-სენტენციით დაასრულა თქმულება 102 წლის მუნთარა ხარაძემ (სოფელი ხარაულა, წერა-კითხვის უცოდინარი).

„დანდაკ სიცხეში ძმებმა წამოიდენ ყანი-დან, მიემშიენ. შვა გზაში მოიდენ და ხედავენ, მათკენ გველი მოშიშინებს ენადაგებული. ერთმა თონი ტარი გააშიშლა, მიორე ხელზე ეწიკებოდა, არ დაარტყა, ცოდვაა, მაგასაც სული აქ, ღმერთის გაჩენილიაო. იმან კი ძმაც მოკლა და გველიც. ყველა გველს, ერთ ყორეში ბულობენ, უმფროსი ყავთ. იმან რომ მოიდა და ერთი გველი ეკლო, მის ნაკვალევ წაყვა, მიაგნო და გააცოცხლა, ის კდარი ძმაც გააცოცხლა. მოკლული რომ გააცოცხლა, იგირ ის ღუუდარაჯდა იმ კაცს, აქ გამეიარსო. გეჩქე, აგრილებიხან წვედა ის კაცი ყანაში. ბუძგი ძირიდან გადმოშა ის გველი, დაღჯნა კაცი და დაამპუნა სული. ხუსუ-მეთი გამუუტანა. მისი გამონაცვალი კანი იმ ძმას შამუახვია. ის ბიჭი გახდა უცფათ ჭკვის კოლოფი და იმ ქვეყნის უმფოსად დანიშნეს. (მთქმელი უსუფ დაიასამიძე, 76 წლის, სოფელი გულები).

„ერთი ქალი დამქრივდა და ძუძუთაი ბალვი დარჩა. ვინნა ღუუთესოს ყანა, ვისნა ღუუტიოს ბალვი. სახში არვინ ყავს. მერაყიმგონე ჩამეუღვერთა. გამოკონდალა ბალანა, წეილო ჯორკო და მივდა ყანაში. ბალანა დაღვა ჯორკოზე, მიღვა ყანი ქენერში და მან უსულმუუთქმელი მუშაობს. თან თხრის, თან ტირის, ორთალული ექანება. მივდა, ბალანას ჩუედვა ძუძუ, რომ ჯირეკი ქერქიდან თავი გამოყეს წვიტმა გველებმა, პირ აფჩენდენ. ქალმა უყურა, დააჭყირდა ბევხან და გულში გეირუნია: ბელქინდა ესენი ჩემი ბალვივით იეთიმები დარჩენ და შიანო. გამეიწველა ძუძუში ძე და ღუუსხა გველებს, კილო გამეიწველა, თხმელი ჟვერი მუამგვალა და ღუუდვა. ამოსლიპეს გველებმა და ჩაყეს ქერქში თავები. მეგემ ახლოს მათი დედაა და ხედავს ყოლამფერს. ქალ მიეძინა, გამოშა გველი და ეილულისთვის ენაზე აკოცა, მარა არ დაშამა. ქალი ხედავს, რომ რაცხაების ხმა ესმის, ტყის ყველა სურიელისა, ყველაი იძახდა: მაგ ჯირეკი ქვემ ერთი კოლოფით ოქროა და მეიხმარე. შენმა ენამ გაგაზენგილაო. ქალმა

მიხდა ყველამფერს და გულში თქვა; რაც ინსანი გველს მოკლავს, ღმერთმა სიკდილიხან გველის სურათზე ააყენაო”. (მთქმელი ზებურ ლომინაძე, 76 წლის, მცხოვრები სოფელ აჭუცაში).

„ერთ კაც ბუხრი ქენერში სექვზე მიეძინა. ქალმა დეინახა, რომ ჭიტიხანში გველი გამაა. მიხდა, რომ კაც უკბინაო. გამუალვიდა, კაცი დავლივით გასივდა. ქალმა დეიწყო გველის წყევლა. კაცმა უთხრა: ნუ წყევლი, მაგის წესი მაგია, ვერ დათესავს, ვერ მოხნავს, ვერ მოუვლის, აბა, რა ჭამოსო. ახლა ჩემი სისხლით გაძლება, მე მოვკები, მაი დარჩება, ბოლოს მაგიც მისი დღე დაღვეითმოკდება. დუნიას ხომ ვერ გამიეკრება. მეგემ გველმა გამოცადა, რას იტყვიანო – არც გასივებულა და არც მომკდარა. იმ დამეს ის ქალი დაკბინა და მოკლა. მიხდა კაცმა, გველმა უკბინა ქალ, მარა არაფერი უთქმია.

ხუთი დღის შემდეგ გველი კაცის სურათში შევდა. იმ კაცის სახში გველზე ჩამუუგლო ლაპარაკი. კაცმა უთხრა: ბეთს ნუ ამბობ გველზე, ცოდვას ნუ ხდისო. გველკაცმა წეიყვანა ის კაცი და უღუუთლელი სიმდიდრე ჩააბარა., გველიძრო კანი და ეჩვენა: მე ის გველი ვარო” (მთქმელი აბდულ მახარაძე, 73 წლის, სოფელი აჭუცა)

IV. გველი – სიმბოლიკა ამაგის დაუფასებლობისა და უმაღურობისა

„ვანშობიხან ჟდარან ერთ სახში სუფრაზე და ჭამენ. კაც ლუკმა გუღუუშა ყიაში, წყალს დაამა მაშრაფით, შესვასნა, რომ ნერჩზე ხედავს თმის ბეწვია. გაღმუუქცია საინში და ნახა, რომ ეს გველი ბარტყია. რანა ექნა, შეებრაღა მოსაკლეღაი, ჩასვა ვედრაში, დაახურა თავი. ასვამდა ძეს. 2-3 თვეში გახდა ღიღი გველი. გველი იყო, მარა კაცმა რომ ზარდა, შუუყვარდა და გასაღებღაი შეებრაღა. მემრე ვედრაში აღარ დეეღა და გუუშვა სახში. დამეი ძინარე კაცს შამუეხვია კისერზე, დაკბინა და გასიპა. ქალმა უთხრა: ჰა წვღა ამხელა ემეგი, ასენა გექნაო? გველმა უთხრა: ვინც გინდა ის იყოს, ჩვენ სისხლით ვიზღებითო”. (მთქმელი მერიემ მანველიძე, 90 წლის, წერა-კითხვის უცოდინარი, სოფელი ჯალაბაშვიღები).

გველის მოქმეღება შინაარსით მოგვაცონებს ს.ს. ორბელიანის იგავს „კაცის გაზრდიღი ლომი”. კატამ რომ ლომის ლეკვი გაზარდა და ამ უკანასკნელმა ამაგის დაუფასების მაგივრად შეჭმა დაუბირა. ორივეს დედაზრი ერთია: არას კაცს კარგის მოქმეღებისათვის კარგი არ უქნიაო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ჩიქოვანი-ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952 წელი
2. ქართული ფოლკლორი, ტ V
3. ი. გოგებაშვიღი- „რჩეული ნაწერები”, 1940 წელი
4. მ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე-ქართული ხალხური პოეზია, 1931 წელი
5. ქართული ხალხური პოეზია, ტI
6. აკ. შანიძე-ქართული ხალხური პოეზია, ხევისურული, 1931 წელი
7. ჯ. ნოღაიღელი-ნარკვევები და ჩანაწერები I და II ტ.
8. ე. დავითაძე, სოფლის აღმაშენებელი, (ნაკრები გამოცემა), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985 წ.
9. ე. დავითაძე, სოფლის აღმაშენებელი, ტომი I, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1990 წ.
10. ქართული ხალხური ზღაპრები
11. ძველი აღთქმის საღვთო ისტორია, 1990 წელი
12. მითოლოგია-VIII კლასის სახელმძღვანელო
13. ჰოროსკოპების კრებული- შემდგენელი ა. გრიგოლაშვიღი
14. შ. ნიჟარაძე-ქართული ენის აჭარული დიალექტი

ქართული ჩასაბერი საკრავები (გუდასტვირი ჭიბონი)

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში საკრავიერ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არსებობს მოსაზრება, რომ „ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, შედარებით განუვითარებელია, მაგრამ ეს შეხედულება მხოლოდ მაშინ არის სიმართლესთან ახლოს, როცა საკრავიერ მუსიკას ვადარებთ სასიმღერო ფოკლორს” (მესხი თ. 2005, გაბისონია თ. 2005, გვ. 48).

ადამიანის ხმას ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ამა თუ იმ ხალხურ საკრავს. ქართული მრავალხმიანი სიმღერების სიმდიდრემ და განვითარების მაღალმა დონემ ერთგვარად დაჩრდილა ქართული საკრავიერი მუსიკა. ქართულმა სიმღერამ საკრავი თანმხლებად უფრო შეითვისა, თუმცა თვით საკრავიერი მუსიკა საქართველოში დიდი ტრადიციებით და მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოირჩევა.

საკრავი წარმოადგენს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ძეგლს, ამიტომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხალხის კულტურის ისტორიაში.

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა სხვადასხვა ჯგუფის საკრავები: სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი, რომელთაც თავიანთი გასაზღვრული ფუნქცია ჰქონდათ ყოფაში.

თანამედროვე ეთნომუსიკოლოგია ეროვნულ საკრავებად მიიჩნევს ჩასაბერებიდან: მრავალღეროვან ლარჭემ-სონარს, ერთღეროვან თვლებიან სალამურსა და პილილს, გუდასტვირის ქართლურ, რაჭულ, ფშაურ, მესხურ და აჭარულ სახეობებს; ერთღეროვან და ორღეროვან უგუდო სტვირებს, ლითონის ჩასაბერ საკრავს-სანკერს.

სიმებიანია-ფანდური, ჩონგური, ჭიანური, ჩანგი.

როგორც ცნობილია, ჩასაბერი ჯგუფის ყველაზე განვითარებულ ნაირსახეობას გუდასტვირი, აჭარაში – ჭიბონი წარმოადგენს.

ჭიბონის სახელწოდებისათვის.

აკადემიკოს ნიკო მარს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დროს საყურადღებო ცნობები მოეპოვებია ჭიბონის, როგორც ტერმინის გასარკვევად. იგი წერს: „საკვირაო დღეს, პარასკევს, ადგილობრივი მუსულმანები იკრიბებიან საყდართან სალაყბოდ და სათამაშოდ. ერთ ასეთ დღეს, ჩემს იქ ყოფნის დროს, როგორღაც მოვიდნენ გუდასტვირით, თულუმიტ, ანუ ქართულად „ჭიბო”, როგორც ეს არის მიღებული იმერხევეში”. შემდეგ განაგრძობს: „ქორწილის დროს, როცა სასიძო და მაცერები შევლენ ეზოში, მაცერები ასტეხავენ თოფის სროლას, გამართავენ ცეკვას, „სამას”, „ფერხულს”, „ქუმშუბს”, და სიმღერას. უკრავენ ასევე გუდაზე, თულუმიტ ანუ ჭიბონზე”-ო.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ჭიბონი აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნეში გუდასტვირის ერთნაირად ცნობილი სახელი ყოფილა და „უეჭვლია, ამაზე უწინარესაც ყოფილა გავრცელებული” (ი. ჯავახიშვილი, 1938).

რადგან სულხან-საბა ორბელიანი ჭიბონის განმარტებისათვის გუდასტვირს იყენებს, საფიქრალია, რომ მას უწინარესად ჭიბონი მიაჩნია. მის ამ განსაზღვრას ნათელს ჰფენს აგრეთვე ნიკო მარის ცნობა, რომელშიც ავტორი გუდასტვირის ნამდვილ სახელად ჭიბონს მიიჩნევს. და ბოლოს, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება – მყარ საფუძველს იძლევა იმისას, რომ

თვით სიტყვა(ტერმინი) „ჭიბონი“ უფრო ადრინდელი წარმოშობისაა, ვიდრე გუდასტვირი და, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, დღესაც არსებობს გუდასტვირი ჭიბონის სახელწოდებით, გვაფიქრებინებს, რომ გარკვეული ხანიდან სახელწოდება ჭიბონი გუდასტვირმა შეცვალა.

ტერმინ „ჭიბონი-ს“ წარმოშობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ქართული გუდასტვირის ფორმებს შორის ყველაზე განვითარებული აჭარული ჭიბონია, იგი მიეკუთვნება მსოფლიოში ერთ-ერთ საბერვლიან სასულე საკრავთა ჯგუფს.

გერმანელი მეცნიერის კურტ ზაქრისა ზრით, ამ საკრავის სამშობლო ეგვიპტეა, მისი ვარაუდით, გუდიანი სტვირი ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულში უნდა იყოს აღმოჩენილი. პირველი მკვლევარი, რომელმაც შემოგვინახა პირველადი ცნობა აჭარში ჭიბონის არსებობის შესახებ, ფრანგი ორინეტალისტი ჟან მურიე იყო.

ქართული წერილობითი და ზეპირი გადმოცემითი ყველა ცნობის მიხედვით ჩანს, რომ გუდასტვირი წინათ მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მას, ერთი მხრივ, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამ სამოცი წლის წინათ ამ საკრავის გამკეთებელნი სწორედ დასავლეთ საქართველოში ყოფილან, სადაც გუდასტვირი უკვე კარგა ხანია მივიწყებულია; მეორეს მხრივ, ეს დასტურდება ამავე საკრავის რაჭაში და მეტადრე, საქართველოს ისეთ სამხრეთ-დასავლეთ თემებში არსებობით, როგორც მესხეთი და აჭარა, სადაც მას ჭიბონი და ჭიბონი ეწოდება. სახელი, რომელიც სულხან საბა ორბელიანსაც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. იმ დროს, როდესაც გუდასტვირი მას არ მოეპოვება. თეიმურაზ პირველს რომ გუდასტვირი თავის თხზულებაში „ლეილ-მაჯნუნთან-ში“ მოხსენებული არაა ქონდეს და თვით სულხან-საბა ორბელიანი ამ საკრავის სახელს

თავისი მოგზაურობის აღწერილობაში არ ხმარობდეს, შესაძლებელია გვეფიქრა კიდევ, რომ ჭიბონი ამ საკრავის უფრო ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული, ამასთანავე, უფრო ადრინდელი სახელიც კი იყო, მაგრამ ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ისევე როგორც გუდასტვირი, ჭიბონიც აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნეში ამ საკრავის ერთნაირად ცნობილი სახელი ყოფილა და უეჭველია ამაზე უწინარესადაც იქნებოდა გავრცელებული (ჯავახიშვილი, 1938).

ისტორიულად ჭიბონი მთელ აჭარში იყო გავრცელებული, მაგრამ მთიანი აჭარის პრიორიტეტი ინსტრუმენტის გავრცელების თვალსაზრისით, უწინაც და დღესაც საკმაოდ იგრძნობა. როგორც დღემდე არსებული, ისე ჩვენ მიერ შეკერილი ცნობები ამ მოსაზრებას ნათლად ადასტურებს.

მოპოვებული მასალების მიხედვით, ჭიბონს აჭარში ძლიერი ოჯახური ტრადიცია ჰქონდა. თავიანთ მასწავლებლად მეჭიბონეები უმეტესად მამას, ბიძას, უფროს ძმას, თავიანთ უახლოეს ნათესავებსა და მოყვარეებს ასახელებენ. ზოგიერთი ოჯახის მოხუცმ ეჭიბონეებს თავიანთი მეჭიბონე ბაბუებიც კი კარგად ახსოვთ. ყველა ოჯახში მეჭიბონე ახალგაზრდები ჭიბონს დამოუკიდებლად სწავლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად აჭარაში მეჭიბონე დიდი მოწონებითა და საზოგადო სიყვარულით სარგებლობდა, მეჭიბონეობა, ზოგიერთის აზრით, მაინც სათაკილოდ იყო შერაცხული და ერთგვარად დამამცირებლად ითვლებოდა. ზოგიერთი ოჯახი სამარცხვინოდაც კი თვლიდა, რომ თავისი შვილისათვის ეს ხელობა ესწავლებინა.

ჭიბონისადმი ანტიპატიურ დამოკიდებულებას ზოგჯერ მუსიკოსის მოხეტიალე ცხოვრებაც იწვევდა. მაგრამ ამავედროულად, ფოკლორისტულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აჭარული“ მესტვირული ტრადიცია ადგილობრივი ხასიათისაა. ამ კუთხისმ ესტვირეები არ ეწეოდნენ მოხეტიალე ცხოვრებას.

აჭარელი მეჭიბონეების ტრადიცია მართლაც ადგილობრივი ხასიათისაა. ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ ის ფაქტები, ამ კუთხის შემსრულებლები აჭარის ფარგლებს ოდესმე თუ სცილდებოდნენ.

აჭარის მეჭიბონეთა ძირითად ბირთვს ნახევრადპროფესიონალები შეადგენდნენ. გარდა იმისა, რომ ისინი თავიანთი ინსტრუმენტებით გარკვეულ შემოსავალს იღებდნენ. ძირითადად მესაქონლეობას ან მიწათმოქმედებას მისდევდნენ და ის იყო მათი ცხოვრების მთავარი წყარო. შეიძლება გამოვყოთ მოყვარულთა ჯგუფიც, რომელიც მხოლოდ გართობისთვის უკრავდა. რაც შეეხება ეჭედემ სურმანიძეს, იგი შეიძლება პროფესიონალ მეჭიბონეთა რიცხვს მივაკუთვნოთ.¹

აჭარაში ჭიბონის ტრადიციის საკითხის გარკვევისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ სხვადასხვა შრომითი პროცესის დროს მუსიკალური ინსტრუმენტის გამოყენებაზეც. ხულოს რაიონ სოფელ რიყეთში მცხოვრები მთქმელის

რამიზ მემედის ძე გორგაძის სიტყვებით: „ჭიბონი ნადის დროსაც იყო, მარა შესვენების დროს, დუუკრავდა და ვისამებდით, ვიმღერებდით”. (მსხალაძე, 1968).

ქედის რაიონის სოფელ მერისის მკვიდრის, 80 წლის ყემბერ ასლანის ძე დოლიძის ცნობით: „ძველად ნადობა იყო. ყანაში ორი კაცი დავლი-ჭიბონით მოვიდოდნენ. ეს ორი კაცი დანიშნული იყო დამკვრელებათ. ნადი მუშაობდა და ისინი დუუკრავდნენ-ერთ ყანას ერთპირად ადამხობდნენ. ყეიღე ბევრი თუღლი იყო (ბევრნაირი), ეტყოდნენ: ეს ყეიღე დუუკარ, მეჭიბონე დუუკრავდა და მედავლე ააყოლებდა. ძველად სიმღერას ეტყოდნენ – ორპირ სიმღერას, ერთი დეიწყებდა, მერე მეორე მხარე გააგრძელებდა. ნადშე მეჭიბონეს და მედავლეს სხვა ქირა არ ქონდა: მათი ქირა ის იყო, რომ უკრავდა ჭიბონს” (მსხალაძე, 1968).

როგორც ვხედავთ, თითქმის მთელ აჭარაში ჭიბონი ძველთაგანვე გამოიყენებოდა შრომითი საქმიანობის დროსაც.



¹ იხ. ემენ დავითაძე, აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია, ბათ., 1993, გვ. 125-129.



ჩაღმა ჩაყრილო ვენახო

ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, დელამიწაზე ვაზის 4000-მდე ჯიში არსებობს, მართო საქართველოში კი აღრიცხულია 500 ადგილობრივი ჯიში, ამასთან ისიც გვაქვს საამაყო, რომ ჩვენი ქვეყანა ვაზის სამშობლოდაა მიჩნეული.

ეს დასკვნა ძველია და სადავოდ აღარავინ მიიჩნევს.

ვაზის უძველესი რეგიონია აჭარაც და ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ქედის რაიონი.

ქედის რაიონის არქეოლოგიური შესწავლა უფრო აქტიურად გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და ამ საქმის მესვეურნი არქეოლოგები-ა. კახიძე და შ. მამულაძე არიან. აქტიურად მუშაობს ქედელი მკვლევარი ვ. ფარტენაძე. სწორედ ვ. ფარტენაძემ წარუდგინა ა. კახიძეს და შ. მამულაძეს 1994 წელს ზუნდაგის მოსაფერეთას ბრინჯაოს ნაკეთობანი. უსაზღვრო იყო ქედელთა სიხარული, როცა შევიტყვეთ, რომ აღმოჩენილია ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული, ბრტყელი ცული, სამაჯური, მასიური რგოლები, აბზინდა, წაღლები, ეჩოსებრი იარაღები და ბრინჯაოს ზოდები. საამაყოა, რომ ისინი ძველიწელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულს განეკუთვნებიან, ანუ 3000 წელზე მეტი ხნისანი არიან. ჩამონათვალშია წაღდი, რომელიც მეცნიერთა მიერ გააზრებულია, როგორც ვაზის სასხლავი საშუალება. ამაზე საუბარია ა. აფაქიძის ნაშრომში „საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე“ (თ ბ.1956 წელი) და ბათუმელი მკვლევარის ა. დავითაძის წიგნში „ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან“ (ბათუმი, 1974 წელი).

1957 წელს სასკოლო ექსკურსიის დროს, მახუნცეთში, საშუალო სკოლასთან

ახლოს მკვლევარ შ. ვარშანიძეს მიუგნია კლდეგორაში გამოკვეთილი საწნახლისათვის, რომლითაც შემდგომში სხვა მკვლევარებიც დაინტერესდნენ.

საწნახელი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი საყურძნედ არის განკუთვნილი, ხოლო მეორე აუზია, რომელიც მთავარ ნაწილს სადინართ უკავშირდება. იგი ფერდა კლდეშია გამოკვეთილი. მისი სიგრძე 2,6 მეტრია, სიგანე – 0,98 მეტრი. საწვეწვე განყოფილების სიგრძე 0,87, სიგანე 0,46, კედლის სიმაღლე 0,61 მეტრია.

მახუნცეთის საწნახელი მსგავსია ზენითის საწნახლისა (ქობულეთის რაიონი), რომელიც დიდმა მეცნიერმა დ. ხახუტაიშვილმა უფლისციხის საწნახლების ერთტიპიურად ჩათვალა.

მახუნცეთის საწნახელი ძვ.წ. აღ. III-II საუკუნეებითაა დათარიღებული.

ამ საბუთის მიხედვით, ქედაში მევენახეობა 2300 წლისაა, წაღდის მიხედვით 3000 წლის. მსგავსი საწნახელი დანდალოში გასული საუკუნის 50-იან წლებში იპოვეს, აქუცაში კი ჟურნალისტმა ს. დიასამიძემ მიაგნო 15 წლის წინ. მკვლევარმა ა. დავითაძემ 1964 წელს ბზუბზუში მიაგნო მარანს, რომლის სიგრძე 4,9, სიგრძე – 3,15 და სიმაღლე – 1,82 მეტრია.

ახლა ქვევრებს არ იკითხავთ? ქედაში არ მოიძებნება სოფელი, სადაც ქვევრს არ წასწყდომია აქაური გუთნისდედა. სხვა რაღა საბუთია საჭირო, რომ ქედაში მევენახეობის პრიორიტეტულობა ვაღიაროთ? გვაქვს მევენახეობასთან დაკავშირებული მიკროტოპონიმიკა: ვენახები, ნავენახარი, ჩხავნარი, მისკიეთა, კოლოშნარი, მათენაური, ჯანივრი, ჯანჩხი და ა.შ.

* * *

ხარობდა და ძლიერდებოდა უძველესი ღროიდან მალღარი ვაზი აჭარაში ოსმალთა შემოჭრამდე. მარტო ისლამის მიერ ღვინის წყაროების სამოთხის ატრიბუტად გამოცხადება და ამქვეყნად მისი აკრძალვა არ გამხდარა ოსმალთა მიერ ვაზის აჩეხვის მიზეზი. უპირველესად ვაზი ქართველთათვის ეროვნული კულტურა იყო და თვითმყოფადობის ყველაზე უტყუარი ნიშანი.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველს ჩვენს მხარეში ჩაუწერია ლეგენდა, რომელიც ოსმალთა მიერ ვაზის აჩეხვასთანაა დაკავშირებული: „სამჯერ გაგვიჩვენეს ვენახი თურმე. ერთხელ რომ გაჩეხეს, მეორე წელს ახალი ბაგა ჩაყარეს გლეხებმა, ორი-სამი წლის შემდეგ გაჩაღდა რთველი და ავარდა სიმღერა.

უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ
ჟამი არასდროს იწირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს,
ცუდია, რასაც იჭირვებს.

ახლა მეორეგან გამოხმაურებიან:

მიყვარს ვენახი ხევანი,
ხშირი სმა, ხილის ძლევაანი,
ყურძნისა მწიფე მტევანი,
ტკბილი ხმა, ღვინის ლევაანი.

ხევანი თურმე მალღარი ყურძნის გაშენებაზე მიაჩნებოდა. — განმარტავდა ნ. კეცხოველი.

დააყენეს ზედაშე ძველი წმინდანების სახელზე და ახლა ზედაშის მოხდის დროს წამოიწყეს სიმღერა, ჩააბეს ფერხული და მთიდან მთაზე გადასძახეს, სოფლიდან სოფელში.

ოსმალებს სიმღერა არ მოეწონათ. წამოუარეს ვაზს, ისევე აჩეხეს, შემდეგ ნაკენახარი გუთნით გადახნეს, ამოძირკვეს, მაგრამ ცოტა მაინც გადარჩა ყრუ სოფლებში, იქიდან ჩამოიტანეს, გურიაში გადავიდნენ ბილიკებით და იქიდანაც ჩამოიტანეს...

ისეთი დღე დაგვიდგა, ორი წლის განმავლობაში ოჯახში ერთ ფინახურა ღვინოს ვერ იშოვიდა კაცი და ოჯახი ვაზს ვერ აქნიდა ქალი... კიდევ ახარეს, კიდევ გაშენდა, მაგრამ ისე ვეღარ, ბევრგან ბზარი შეეპარა თურმე მას და გაზაფხულზე ატირდა, ატირდა მთელი გულით, რადგან ასკერების გუნდი კიდევ გამოჩნდა, ჩეხავდა ვაზს...

წინათ ვაზი არ ტიროდა, ნუშთან, ვაშლთან, ბალთან ერთდ იცინოდა, ყვავილიც ჭახჭახა ჰქონდა, მაგრამ როცა უღიერად ექცეოდნენ, უნატრია, ყვავილის ფერი დამიკარგე, რომ არ ვჩანდე მწვანე ფოთლებშიო. განგებამ ესეც შეუსრულა, მაგრამ მტევანი ვეღარ დამალა ვერც ფოთოლმა და ვერც განგებამ.

მესამედ რომ აჩეხეს, კარმიდამოს ტყრულში ღობე შემოავლეს, მაგარი და მალღალი. კარწინ დარგეს მარტო ტყემალი, ვაშლი და სხვა ხილი, სოფლურად მოილაპარაკეს და ყველა სოფელმა თავის ტყეში გაიტანა ყველაზე მოსავლიანი ჯიში, ჩამოურიგა რცხილას, უხრავს, ნეკერჩხალს, წაბლს და შეჭლადა, კარგად შემინახეო. ძირი თურმე სულ ცრემლით მოურწყეს. ოსმალთა ტყეში ვერ შედიოდა, ემინოდათ, ტყის ძმები არ ასვენებდნენ.

ვაზმა და ხემაც იგრძნო ცრემლის სითბო, გემო, სიყვარული და ორ წელიწადში ტყეში მალღარები გაჩნდნენ, დაიტვირთნენ გაჭინკული მტევნებით, თითო ისეთი იყო, „ვერ ეტეოდა გოდრის პირსა“.

სოფელში კვლავ ცამდე ავარდა სიმღერა:

მასპინძელო, მხიარულო,
მარნის კარი აჭრიალე,
ტკბილი ღვინო მოგვიტანე,
ყელი ჩაგვიმაჭრიანე.

გაცოფდნენ თურმე დამპყრობლები, ვენახი აღარ აქვთ, რა ამღერებთო? დაადეს ახლა ხარკი სიმღერას, გაჭირდა საქმე, ქართველმა კაცმა ღვინო დალიოს და არ იმღეროს, როგორ იქნება? დაიბეგრა ვაზიც, მისი პროდუქციაც. შირას (ყურძნის ტკბილი წვენი. — თ.ა.) გამოსაღები თურმე მე-17 საუკუნეში ორი ათას ანჩას უდრიდა“.

ამაღელვებელია ნ. კეცხოველის ეს ჩანაწერი, მაგრამ უფრო საოცარი ისაა, რომ ბატონმა ნიკომ ფეხით შემოიარა აჭარის ტყეები, გვანცასა და ჰერანგას ფერდობები და აქ უამრავი გახიზნული ვაზი უნახავს (ნ. კეცხოველი, მეცხრე მთაც გადავიარეთ, თბ. 1976 წელი).

* * *

115 წლის წინათ აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ეთნოგრაფმა თელო სახოკიამ და უამრავი საინტერესო მასალა შემოგვინახა აჭარის წარსულის შესახებ.

„მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ დარგისთვისაც (საუბარია მევენახეობაზე – თ.ა.) ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ 100 წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასლა მოწმობს, რომ მეურნეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი ჰქონია“. – წერდა თ. სახოკია „მოგზაურობანში“.

მევენახეობა ქვემო აჭარაში უფრო უკეთ ყოფილა მაშინ განვითარებული: „ქვემო აჭარაში კი, რომელიც გურიაზე უფრო დაახლოებულია, მევენახეობა, შედარებით სანიშნო დღეშია: აქ ყურძენს ცოტაოდენი ფული შემოაქვს აჭარელის ოჯახში: ბათუმი ახლოსაა, აქეთ და იქით ეზიდებიან გასაყიდად, ფუთს მანეთად და ხან მეტად ჰყიდიან. ღვინოს, თუნდაც გასაყიდად, არც აქ აკეთებენო.“

და მაინც, საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწყებულია ქელაში მეღვინეობის აღდგენა და იგი დაკავშირებულია ქვემო აჭარის უფროსის თანამემწის სიმონ იოსელიანის სახელთან.

ცნობილი პატრიოტის, მაზრის უფროს თოფან-ბეგ შერვაშიძის თანამემწეს დაუყენებია ღვინო პირველად, 300 კოკა დაავაყენო, უხარებია თელო სახოკიასათვის.

17 სახის ყინვაგამძლე ყურძენი აღურიცხავს თელო სახოკიას ჩვენს მხარეში: ადესა (თეთრი და წითელი), ბუდემური (თეთრი), ბურძგლა (წითელი), ბროლოა (აღრეული და თეთრი), ბუტკურა (წითელი), ვანური (თეთრი), კლარჯული (თეთრი, წითელი), მათენაური (წითელი), მეკრენჩხი (წითელი), მწვანე (თეთრი), შხუმი, ჩხავერი, ცხენის ძუძუ (წითელი), ჭოდი, ხარისთვალა (წითელი), ხოფათური (თეთრი), ჯანიში.

ქელელი გულა დიასამიძისაგან თ. სახოკიას „ყურძნის ლექსი“ ჩაუწერია:

ვენახმა თქვა: მე ვარ გრძელი
ზამთარ გამონარები,
მევისხამ, მევიყვავილებ,
რომას უკან დავეყუდები.
ქე მოვა მომკრეფელი,
მოაქვს ჭრელი გიდელი;
მოვიდა ძირში, ზედ ამოვიდა,
ერთი წამომწვავდა ხელი.

წამწიკვა კისერი,
სულ მთელსა მომწყვიტა წელი,
ამწია და ძირს ჩამიშვა,
ჩამყარა თელი გოდორში.
ამწია და შინ წამილო
ჩამბარგა მთელი ჯარაში,
ზევიდან ყაზახი შემდგება,
ქვემ ჭიჭინაში მივძრები.
ორ ყურ ქვაბში მომაქცევენ,
უცეცხლოდ წამოვდუღდები
ხანდახან კაი ბიჭი ვარ,
ხანდახან წამოვბუნძულდები“.

დიდია ამ სტრიქონების ეთნოგრაფიული მნიშვნელობა, მაგრამ უფრო მეტია ნათქვამი ქვეტექსტით. მოგზაურს ერთი მეღვინე შეხვედრია მხოლოდ, მაგრამ დამღვეიც ხომ ის ვერ იქნებოდა მარტო, – უთუოდ სხვანიც იქნებოდნენ. სხვაც კაიბიჭდებოდა და „წამობუნძულდებოდა“ კიდევც.

* * *

პოეტ ემენ დავითაძეს საინტერესო გათვლა აქვს წიგნში „სოფლის აღმაშენებელი“, რომელიც 1985 წელსაა გამოცემული. ამ დროისათვის ხულოში ვენახი 14 ჰექტარი ყოფილა, შუახევეში – 3 და ქელაში – 55.

გათვლის მიხედვით, უკეთესი მდგომარეობაა ქელაში, ამიტომ ხუმრობით ქელას „აჭარის კახეთს“ ეძახდნენ, (მაგრამ იმასაც დასძენდნენ ხუმრობით: აჭარაში რომ ყურძენი მოჰყავთ, იმდენს კახეთში ჩიტები ჭამენო).

თუმცა მარტო სიმცირეში არაა პრობლემა. მეტის გაშენების საშუალებაც არ არის, მთავარი ისაა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ქედლებმა წალდის დანიშნულება აშკარად გაამრუდეს და თვითონ მოუქნიეს ვაზს ასაჩეხად.

80-იანი წლების ბოლოს 1000 ტონაზე მეტი ყურძენი ქელის მარანში იწურებოდა და ამის ნახევარი, ალბათ, ოჯახებში, მომდევნო 10 წელიწადში კი საკოლმეურნეო პლანტაციებიდან 10 პროცენტზე ალარ შემორჩა.

მე მაშინ, მექმნილი მდგომარეობით შემოთვალემა, რაიონულ გაზეთში ავტებე განგაში, თუმცა ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. გატყდა მაშინ ქელელი გლეხი და

შეშინებულმა ისე მოიქნია წალდი, პატრიოტიზმი აღარ გახსენებია.

უწინ წინაპრებმა ტყეებში გადაძალეს ვაზი, მეჩეთების ორნამენტებშიც კი შეაპარეს ვაზის თემა. ამაზე პოეტს პოემაც კი შეუქმნია (ემენ ღავითაძე, „ვაზის გახიზვნა“, ბათ., 1985 წ.).

ისეთი სისუსტე, რაც ჩვენმა მევენახეებმა 90-იან წლებში გამოიჩინეს, ალბათ, არასოდეს ჰქონიათ. იგივე ნ. კეცხოველი წერდა, რომ წყაროების შესწავლით, გურიაში ითვლებოდა ვაზის 60 ჯიში, სამეგრელოში-55-მდე, აჭარაში-50-მდე, აღწერის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აჭარაში გადარჩა-40, გურიაში-20, სამეგრელოში-14. სასიამოვნო სინამდვილეა: აჭარაში ყველაზე მეტი იყო ხელის შეშლა-იძულება და მაინც ყველაზე მეტი ძველი ჯიში გადარჩა!

დღეს, როცა ვაზი ისევ მკვიდრად იკიდებს ფეხს, აღარ ღირს ტირილის გაგრძელება, უბრალოდ მინდა შევახსენო ქედელებს და არა მარტო მათ ზოგი რამ:

აჭარაში 1934 წლამდე დაბლარი ვაზი საერთოდ არ ყოფილა. მცირემიწიანობის გამო, მაღლარს მიუშვებდნენ თხმელაზე, ლეკზე, ცხემლაზე, ტენიან პირობებში ეს უკეთესიც იყო, მაღლარი უკეთ მწიფდებოდა და ღვინოც უკეთესი გამოდიოდა.

ემენ ღავითაძე ცნობილი აგრონომის შ. ნუცუბიძის აღწერის მიხედვით ზემოთ დასახელებულ წიგნში: „სოფლის აღმაშენებელი“ ასახელებს ჩვენში გავრცელებულ ჯიშებს: ალმურა, ბუტკო, ბროლა, ბათომურა, ვაიოს საფერავი, თეთრა, კაიკაცისშვილისეული, თეთრი ლივანურა, კიბურა, კოლოში, მისკიეთა, მეკრენჩხი, მტრედლოფერა, მახათური, მათენაური, შავი ლიკანურა, შავშურა, საწურავი, ჯავახურა, ხოფათურა, ჩხუში, სირისთვალა, ქორქაულა, ტყისყურძენა, ჭეჭიბერა, ტავიმურთა, ბუდეშური, ბურძგლა, ვანური, კლარჯული (თეთრი, წითელი), ჩხავერი, ცხენის ძუძუ, ჭოდი, ხარისთვალა, პოვნილი, ჯინეში, ჭყუში, ლივანურა, ჭოპაკური. 30-იანი წლებიდან გაშენდა: ცოლიკაური, ციცქა, საფერავი, ალიგოტე, კრახუნა, ჩინური.

შევადართო და დაფიქრდეთ, რამდენი ჯიშია კვლავ აღსადგენი!

* * *

დასასრულისთვის პატრიოტულ-ჰეროიკული სათქმელი შემოვინახე:

ვაზისადმი ქედელთა სიყვარულის ჰიმნია სიმღერა „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, რომლის სამი ვარიანტია ცნობილი.

პირველი:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო,
მოგნახავ და გაგაცოცხლებ,
შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალე.

მეორე:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს,
მამაპაპურო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო.
მოგნახე და აგაყვავე,
შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალე.
ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წახვალ რომ არ მოგნახო.

მესამე:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?
ჩემო გაზრდილო ვენახო
სად წადი და რომელ მხარეს?
მამაპაპურო ვენახო
სად წადი და სად მოგნახო?

ეს ვარიანტები შეტანილია „აჭარის ხალხური პოეზიის“ პირველ ტომში (თბ. 1969),

I-II ვარიანტი ჩაუწერია თ. მამალაძეს მერისში 1952 წელს, III ჩაწერილა ქელაში – 1958 წელს.

მღეროდნენ და მღერიან ამ ვარიანტებს ქელაში (და არა მარტო აქ). არავინ იცის მათი შექმნის დრო. ალბათ, ოსმალთა მიერ აჩეხვას მოჰყვა ტირილიანი სიტყვები: სად წადი და სად მოგნახო! მოგნახავ და გაგაცოცხლებო! – თქვეს სხვებმა. მოგნახე და აგაყვავე, შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალეო! – მიუძღერეს მოგვიანებით.

რამოდენა ტკივილს და სიხარულს იტევს ეს გასაოცარი სტრიქონები და სიმღერა.

არა, ქედელებს არ გვაქვს უფლება, არ ვახართ ვაზი. კარგია, რომ ბოლო ათწლეული ოპტიმიზმის საფუძველს გვიქმნის!

იმასაც ამბობენ, ქელაში ღვინის ქარხანა უნდა აშენდესო!..

მთაში ტაძრის საძირკველი აკურთხეს

აჭარა-გურიის ქედის ერთ განშტოებაზეა თაგინური და გომის მთა. აქ ზაფხულს ორი რეგიონის 1000-დე ოჯახის წარმომადგენლები ატარებენ. 1989 წლის სტიქიურ მოვლენებს განრიდებულმა ძმაგულელმა ასლან მახარაძემ საცხოვრისი გურიაში შეიძინა, იგი წინაპრების ადათ-წესებს არ ივიწყებს. ადრე თუ პირუტყვს ზაფხულობით სხალთა=ხინანის მთებში მირეკავდა, ახლა თაგინური აირჩია. გურიიდან სოფელ გომის გამოვლით აჰყავს პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე. მან შუახვევის რაიონის სოფელ ხაბლაშვილების მკვიდრთა იაილაში მთის სახლი შეიძინა. „მთის მეზობელს“ (ასეთი ტერმინია ყველა იაილაში) ყველა ემადლიერება.

ასლან მახარაძეს მთაშიც და ბარშიც ახალი მეზობლები ჰყავს. მის მსგავსად გურიაში 6000-მდე ოჯახი სახლობს, რომელთა ადრინდელი საცხოვრისი აჭარის მთიანეთი იყო.

აჭარისა და გურიის მკვიდრთ მთა და ბარი რომ ერთი აქვთ ეს კურორტების იმერ მთისა (თაგინური) და ბახმაროს მაგალითებზე ჩანს. რამდენიმე წლის წინათ კურორტ ბახმაროში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ლოცვა-კურთხევით, შემოქმედელი მთავარ ეპისკოპოსის მიტროპოლიტ იოსების აქტიურობით, მართლმადიდებლური სამლოცველო იკურთხა.

ასეულობით გურიის მკვიდრი და მათი მეგობარი ზაფხულს გომის მთაზე ატარებს. მათ აქ პატარა სამლოცველოც არ ჰქონდათ. სულ მალე ეს ნაკლი დაძლეული იქნება. შემადლებულ გორაზე, საიდან-

აც გურია და ქალაქი ფოთი ხელისგულივით მოჩანს, მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობა იწყება. შემოქმედელი მთავარ ეპისკოპოსის, მიტროპოლიტ იოსების ლოცვა-კურთხევით გომის მთაზე ტაძრის საძირკველი გაიჭრა. ეს პროცესი ეპარქიის მღვდელმსახურებმა აკურთხეს. — შარშან გაჩნდა იდეა, რომ მთა ღომაზე, ჯვარად წოდებულ მინდორზე, რომელიც წინაველას ქედის კალთაზე მდებარეობს, ხის სამლოცველო დაგვედგა. აქ ბოლნელი მთავარ ეპისკოპოსის, მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით ექვსი წელია ჯვარობის დღესასწაული იმართება, მაგრამ ჯვარის აღმართვით დაკმაყოფილდით.

გომის მთის სიახლოვეს შარშანწინ, შემოქმედის ეპარქიიდან აჭარაში ჯვარი გადმოვასვენეთ „ჯვარმინდორობის“ ზემის სალოცავი და-

ვადეთ, იქაც ჯვარია აღმართული. მთაში სამლოცველოს გაჩენაც მახარებს, მაგრამ გომის მთაზე ტაძრის აგების შემდეგ აჭარის სოფლების მკვიდრი მართლმადიდებლები და მეც აქ მოვილოცავთ= გვითხრა შუახვევის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ტარიელ ებრალიძემ.

ტაძრის მშენებლობაზე წილის გაღებას აჭარაში მომუშავე ბიზნესმენები აპირებენ.



არქეოლოგიური გათხრები შუახევის რაიონის სოფელ წაბლანაში

შუახევის რაიონის სოფელ წაბლანის მოსახლეობამ გადაწყვიტა აეშენებინათ ეკლესია. ამ წამოწყების ინიციატორი გახლავთ ამ სოფლის მკვიდრი შალვა ველიაძე, რომელმაც არაერთგზის მოგვმართა თხოვნით ჩაგვეტარებინა სადაზვერვო სამუშაოები ეკლესიის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევის მიზნით. ბუნებრივია, იგი მოქმედებდა საპატრიარქოსა და სხალთის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით. მიუხედავად იმისა, რომ საველე სამუშაოებისათვის სათანადო დაფინანსების წყარო არ არსებობდა, ჩვენ მაინც დაუჭირეთ მხარი ამ წამოწყებას, მოსახლეობის ინიციატივას და ყოველგვარი სასყიდელის გარეშე 2009 წლის 1 ივნისიდან 12 ივნისამდე ვაწარმოეთ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი სოფ. წაბლანაში.

გათხრების ობიექტად შერჩეულ იქნა სოფელ წაბლანის მიკროუბანი „ნათლისმცემლის გორა“ – ნაციმციმელი. ხალხის გადმოცემით ამ ადგილებში ადრეც ყოფილა ეკლესია. მართლაც, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ „ნათლისმცემლის გორა“-ზე გარკვეული მონაკვეთი საგანგებოდ იყო მოსწორებული-ნიველირებული.

წინა წელს ტ. ებრალიძის, გ. ღუმბაძისა და შ. ველიაძის მონაწილეობით მოხდა ამ ადგილის JPS კოორდინატების ფიქსირება. 2009 წლისათვის კი ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის ერთობლივმა ექსპედიციამ განახორციელა საინტერესო წინასწარეული საველე სამუშაოები.

წაბლანა მდებარეობს შუახევის რაიონში, უჩაბზის ხეობაში, მდინარე ბოგილისწყლის მარცხენა სანაპიროზე, შუახევის რაიონული ცენტრიდან 14 კმ-ის მოშორებით, ზღვის დონიდან 1220 მ სიმაღლეზე. თვით გასათხრელი ობიექტი კი, სოფლის ცენ-

ტრიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 300 მეტრზე. „ნათლისმცემლის გორიდან“ შესანიშნავად მოჩანს სოფლები: ტბეთი და გოგაძეები, ჯაბნიძეების ნაწილი, კერძოდ, ე.წ. „გორა“, ასევე მოფრინეთი, სამოლეთი, ლაკლაკეთი, ოკისი, ცინარეთი (მათ შორის ციხე) და მეჭყერთა. ამ ადგილებიდან იშლება უფრო შორეული თვალსაწიერი. ესენია: შუახევის თემის სოფელი სხეფი, ჩანჩხალო, თვით ჩანჩხალოს ციხე და ნაწილობრივ ნიგაზეული. ასევე ითქმის ბარათაულის თემის სოფელ წანკალაურის მიმართაც. აქვე გადიოდა უძველესი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ უმთავრეს მაგისტრალბთან. მისი უახლოესი მონაკვეთებია: დანდალოს ხიდი, კავიანის ციხე, ცინარეთის ციხე, ნათლისმცემლის გორა, ჯვარიმინდორი, წმინდისერი, ნაჭიშკრევი (აქვე ყოფილა საბაჟოს მსგავსი პუნქტი). საქარავნო გზა გადადიოდა შავშეთის ქართულ სოფლებში. ესენია: დიობანი, კარჩხალოს გადასასვლელი. მდ. ბოგილისწყლის სანაპიროდან დაწყებული სოფლის მიკრო ტოპონიმებია; ფარცხი, ნალომვარა, ახო, უყვი, ნათლისმცემლის გორა, კოლოტაური (პურის კალო), გომპარა, შეიშები, საწურბლია, ნაყანვარი, ეწნარი, ნაიფნარი, ნახიზნევი, ქათამურა, ნაბოსტნურევი, საყავრია, სასვენნი, მთა ღომა (წინაველა). „ნათლისმცემლის გორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დასტურდება ქრისტიანული ტოპონიმები: ელიას მთა, ჯვარიმინდორი, საყენდრია (ნასაყდრალი), წმინდა გორა, ჯვართილელე, მერიახევი და სხვა. ახლა თვით გათხრების შესახებ.

ბორცვის მოსწორებული ფართობი დაახლოებით 200 მ². პირველ რიგში მოვახდინეთ გასათხრელი ტერიტორიის აგეგმვა. თხრილი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. მისი სიგრძეც და სიგანეც 12 მეტრს შეადგენდა. კვადრატების ზომა იყო 4X4 მ. დავიწყეთ ერთდროულად

9 კვადრატის შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ გვყავდა 4 მუშა, პირველსავე დღეს გამოჩნდა სამხრეთი კედლის საძირკვლის დასაწყისი. ასევე ითქმის აღმოსავლეთი კედლის მიმართაც. მოვიპოვეთ კეცის, ქვევრის და დოქის ნატეხები. არის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტიც.

ინტენსიური სამუშაოები გაგრძელდა მომდევნო დღეებშიც. ჩვენი მასპინძელი შალვა ველიძე საკმაოდ საქმიანი პიროვნება გამოდგა, რომელიც უჩაბბის თემის მოსახლეობაში აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობს. ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობით მონაწილეობა მიიღეს არა მარტო წაბლანის, არამედ მოფრინეთის, სამოლეთის, ლაკლაკეთისა და ცინარეთის ენთუზიასტებმა. ამას ემატებოდა თვით წაბლანის არასრული საშუალო სკოლის უფროსკლასელთა და პედაგოგთა სავსე სამუშაოებში ყოველდღიური ჩართვები.

აგეგმილი თხრილი საკმაოდ ზუსტი გამოდგა. მასში მთლიანად ჩაჯდა საყდრის გეგმა (სურ. I/1,2). პირველ ხანებში მოიხსნა ჯაგანარი. დიდი სიძნელები შეგვიქმნა წიფლის ძირებმა. ვიყენებდით ელექტრო ხერხს. ამის შემდეგ დავიწყეთ მიწის თხელი ფენების, შრეების აღება. მალე მთლიანად გამოიკვეთა სამხრეთი კედლის საძირკვლის კონტურები. საფასადო ნაწილს მიუყვება უხეშად დამუშავებული, მშრალად ნაგები მოწითალო, კაჟისებური მოყვანილობის ქვები. ზოგიერთი მათგანის სიგრძე 1,1 მ-ია, სიმაღლე 45 სმ. არის სხვა სახის ქვებიც. ზოგან სიცარიელეა – საძირკვლის ქვები ამოვარდნილია. თავდაპირველად აგებული სამხრეთი კედლის სიგრძე 7,5 მ ყოფილა, სისქე 0,75 მ.

სამხრეთი კედლის გარეთა მხარეს თოთქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება საკმაოდ კარგად დამუშავებული ქვების რიგი. როგორც ჩანს, იგი საყდრის ფრონტალური ნაწილის საწყის საფეხურს წარმოადგენდა და შესაბამისად, თითოეული ქვაც საგულდაგულოდ იყო დამუშავებული (სურ. I/1,2).

მსგავსი ფილები დაგებული ყოფილა საყდრის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ. ესენი უფრო პატარა ზომისანი არიან.

გათხრების პირველი ეტაპის დასრულები-

სთანავე გამოიკვეთა საერთო სურათი. აშკარა იყო, რომ ჩვენ საქმე გვქონდა დარბაზული ტიპის საყდართან, რომელიც დამხრობილი იყო აღმოსავლეთისაკენ. სიგრძე 7 მ, ხოლო სიგანე 6 მ. ე.ი. თითქმის კვადრატული მოყვანილობის. შიდა სივრცის ზომები იყო 5,8X4,2 მ. აქედან აფსიდის სიგანე 1,5 მ. ხოლო თვით დარბაზის სიგრძე 4,3 მ. აფსიდა გამოყოფილი ჩანს დარბაზისაგან. დასავლეთ კედლიდან 1,6 მ სიგრძეზე შემორჩენილი იყო პატარა ზომის ქვები-ზღურბლი. გარდა ამისა, აფსიდა დარბაზთან შედარებით 17 სმ-ით მაღლა მდებარეობდა. დარბაზი მთლიანად მოგებული ყოფილა ქვის ფილებით. ერთგან, კერძოდ, ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო ინსიტუ მდგომარეობაში, დანარჩენ ნაწილში სკოლის მოსწავლეებს ადრე „ეწარმოებინათ გათხრები“ და ფილებიც ამოეყარათ.

დასავლეთი კედლის საძირკვლის სისქე 0,7-0,8 მ-ია, სამხრეთის 0,6-0,8 მ-ია. განსხვავებულია აღმოსავლეთი კედლის ზომები, აქ შემორჩენილი ქვები ვერტიკალურადაა დაშენებული, რომელთა სისქე 0,25 მ-ია. შემორჩენილი დასავლეთი კედლის სიმაღლე 50 სმ, სამხრეთი 50 სმ, ჩრდილოეთი 50 სმ, აღმოსავლეთი 45 სმ.

ჩანს, რომ შემორჩენილია ოთხივე კედლის საძირკველი მთლიანად. შესაბამისად მიკვლით დასკვნამდე, რომ ამ საძირკველზე ხის საყდარი ყოფილა დაშენებული, რაც პირველი შემთხვევა ჩანს აჭარისწყლის ხეობის საკულტო ძეგლებისათვის.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როგორც ჩანს, საემარისი არ აღმოჩნდა არსებული ფართობი, რის გამოც სამხრეთ კედელთან მიუმატებიათ დამატებითი ნაგებობა ე.წ. ეკვდერი. მისი ზომებია: 3,0X7,5 მ. მთლიანობაში უკვე ეკლესიას მიუღია ახალი განზომილებანი: 9,0X 7,5 მ (სურ. I/1,2).

წაბლანის საეკლესიო ნაგებობის ქრონოლოგიის, აქაურ მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობის და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავსე სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ მცირერიცხოვან, მაგრამ საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიურ მასალას. როგორც წესი, სჭარბობს კერამიკული ნაკეთო-

ბანი. გვხვდება ქვევრების, ღერგების, ქოთნების, კეცების, ჯამების და სხვათა ნატეხები.

ქვევრებს ჰქონიათ მასიური ქუსლიანი ძირი, თანაბრად მომრგვალებული ტანი, ფართო, არცთუ ისე მაღალი ყელი და შესქელებული ქობა. ქვევრების ტანის ნაწილი სადაზღაპირიანია; ზოგჯერ მხრების არეში წრიული ქედებითაა დაფარული. კეცი ღია მოყვითალო, ზოგჯერ მოყავისფროა. გამოწვის ხარისხი დამაკმაყოფილებელი. მსგავსი ქვევრების მთლიანი ნიმუშები თუ ნატეხები მრავლადაა აღმოჩენილი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო თუ საეკლესიო ნაგებობების შესწავლისას და საკმაოდ კარგად თარიღდება XI-XIII საუკუნეებით (მაშულაძე, 1993:61-62).

წაბლანის კერამიკულ ნაწარმში რამოდენიმე ცალი სამზარეულო ჭურჭლის ნატეხიც გვხვდება. პირველ რიგში აღსანიშნავია ქოთნები. აქვთ მოშავო მოყავისფრო ფერი, კეცი, ძლიერ გამჭლევებული თიხა. მასალა ფრაგმენტულია, მაგრამ პირის, მხრის, ტანისა და ძირების მიხედვით ფორმებზე მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა მაინც შეიძლება. მათგან უნდა გამოიყოს ე.წ. მორჩისებრყურიანი ქოთნის ფრაგმენტები. ჩანს, რომ მსგავსი ყურები მეტწილად დაბერწილია ყელის არეში, ზოგჯერ პირთან ახლოს. ამ სახის ქოთანს პირი ოდნავ გადამლილი აქვს. აჭარისწყლის ხეობის სხვა თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ მათაც მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი ჰქონიათ. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ენეოლითის საფეხურიდან მოკიდებული ყურის მიძერწვის მსგავსი ტრადიცია არსებობას განაგრძობს შუასაუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში.

მოპოვებულია ყურიანი ქოთნის ნატეხებიც. დაცული ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ მათ ახასიათებთ პირის სიახლოვეს მიძერწილი მრგვალი თუ ოვალურგანივკვეთიანი ყური, არცთუ ისე მაღალი ყელი და საკმაოდ ფართო სწორი პირი. პარალელური მასალის მიხედვით ვიცით, რომ ამათ უნდა ჰქონოდათ ოდნავ მომრგვალებული ტანი და ბრტყელი, მასიური ძირი. ზოგიერთ მათგანზე შეინიშნება ქუსლის გამოყოფის ტენდენციაც. ქოთნების დიდი ნაწილი მორგვზუა ნაკეთები; ზოგიერთი ხელითაა ნაძერწი. წაბლანას მსგავსი ქოთნები

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო თუ საეკლესიო ნაგებობათა არქეოლოგიური კვლევადიების დროს (ჭვანა-ტაკიძეები, ცინისყელი, დარჩიძეების-გოგოლაურის, ვერნები, თხილვანა, სხალთა და ა.შ.) (მაშულაძე, 1993:61-69). მრავალრიცხოვანი პარალელი მოეპოვება თბილისის, რუსთავის, თელავის, იყალთოს, დმანისის, გუდარეხის, სიონის, მლაშების გორას, ძველი გავაზის, ჯავახეთის ახალქალაქის, ერწოთიანეთის, ჟინვალის, ფშავის არაგვის ხეობის თანადროულ ძეგლთა შორისაც (მაშულაძე, 1993:61-70. ლიტერატურა იხ. იქვე).

წაბლანის კერამიკულ მასალაში ყურადღებას იქცევს ჯამის ნატეხები. მათ შორის წარმოდგენილია პირგვერდის, მუცლის და ძირის ნატეხები. ესენი ერთიანდებიან პირმოყრილი ჯამების ჯგუფში. ერთ-ერთ მათგანს აქვს მომრგვალებული საკმაოდ თხელი ბაკო, რომელსაც პირსქემით აკეცილ გვერდზე ირგვლივ შემოუყვება წრიული ღარი. მას უნდა ჰქონოდა არც თუ ისე მკვეთრად გამობერილი მუცელი. ძირის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. მეორე ჯამის შიგნით ჩაკეცილი პირი გვერდისაგან ღარით არ არის გამოყოფილი. ტანის ნაწილის მიხედვით ჩანს, რომ იგი საკმაოდ მუცელგამობერილი და შედარებით ღრმა ჭურჭელი უნდა ყოფილიყო. არის ჯამის ბრტყელი ძირიც. მის გარე ზედაპირზე ამოკაწრვის წესით დატანილია ოთხკუთხედების, კვადრატების თუ სამკუთხედების გამოსახულებები. ჯამების კეცი ღია მოვარდისფროა. მსგავსი ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი აჭარისწყლის ხეობის თანადროულ ძეგლებზე, განსაკუთრებით-სამაროვნებზე. ასევე ითქმის საქართველოს სხვა ძეგლების მიმართაც (მაშულაძე, 1993:132-134; 1998:3-18, ლიტერატურა იხ. იქვე).

წაბლანაში აღმოჩენილ კერამიკულ მასალაში წარმოდგენილია კეცის ნატეხებიც. ისინი სხვადასხვა ზომისაა. მათ ახასიათებთ დაბალი, სქელი, ოდნავ გარეთ გადამლილი გვერდი, მომრგვალებული პირბაკო და ბრტყელი ძირი. ამათაც ეძებნებათ სათანადო პარალელები აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის. ფართოდ გამოიყენებოდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. დამზა-

დების ტექნოლოგიისა და ფორმების განვითარების თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ არ განუცდიათ.

წაბლანის საეკლესიო ნაგებობათა ნაშთების გათხრებისას აღმოჩნდა ერთადერთი მოჭიქული ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. მიუხედავად იმისა, რომ მის გარე ზედაპირზე ჭიქური საკმაოდ დაზიანებულია, მაინც შეიძლება შემკობის მოტივზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. დამახასიათებელია სუფთად განლექილი თიხა, სადა მოვარდისფრო კეცი. ჩანს, რომ იგი შედარებით მცირე ზომის თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხია. ჰქონია შიგნით ჩაკეცილი პირი და საკმაოდ მომრგვალებული ტანი. პირის არეში თეთრი ანგობით დაფარულ გარეზედაპირზე შესრულებულია ამოკაწრვით და კომბინირებული ამოკაწრვა-ამოფხეკის ხერხით სხვადასხვა სახის ორნამენტი. პირის გარეთა კალთას შემოუყვება წყვილი ხაზებით შედგენილი ნაკაწრი ზოლი. ზოლსა და ქობას შორის კი დატანილია გეომეტრიული მარყუჟების, სპირალების თუ სხვა სახის ორნამენტი. ჯამის ეს მონაკვეთი თავის დროზე დაფარული ჩანს მწვანე ფერის ჭიქურით, მისი დიდი ნაწილი ამჟამად აცლილია. ერთფრად (მწვანედ) მოჭიქული კერამიკა აღმოჩენილია აჭარისწყლის ხეობაში როგორც საფორტიფიკაციო, ისე საეკლესიო ნაგებობათა ტერიტორიაზე (მამულაძე, 1993:58-89). გავრცელებული ჩანს დასავლეთ საქართველოში (სოხუმი, ბაგრატიის ტაძარი, ბათუმის ციხე, უქიმერიონი, ციხისძირი, ციხე სულორი და ა.შ.) ძეგლებზე (მიწიშვილი, 1976:10, 14). ასევე ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში, კერძოდ კი, ქერსონ-ესში (Якобсон, 1959:172:173), ტმუტარაკანში (Якобсон, 1959:278), ამიერკავკასიაში ორენყალა (ჩუბინაშვილი, 1936:81-83), შუა აზიაში (მუნ ჩაკ-თეფე) (Гайдукевич, 1947:167-168) და სხვა. ისინი ყველგან XI-XII საუკუნეებითაა დათარიღებული. ამოკაწრვით მოხატული და ერთფრად (ყვითელის გარდა) მოჭიქული ჯამები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა და სხვა ძეგლებზე (მიწიშვილი, 1969). განაგრძობენ არსებობას XIII-ს პირველ ნახევარში (მიწიშვილი, 1969:25).

დასავლეთ საქართველოს ამ სახის კერამიკა შესწავლილი აქვს მ. მიწიშვილს (მიწიშვილი, 1976:16). წაბლანაში აღმოჩენილი ერთფერში მოჭიქული ჯამიც ექცევა დასავლურ-ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების ტრადიციების ზოგად სფეროში, რომელიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს. გვაქვს ხარის რკინის ნალის ნატეხიც. ჰქონია ჩლიქის ფორმა. მასზე შემორჩენილია ორი კვადრატული და ერთი წრიული სალურსმნე ნახვრეტი.

წაბლანის ეკლესია დარბაზული ტიპისაა. აჭარისწყლის ხეობაში დღემდე შესწავლილი საეკლესიო ნაგებობათა უმრავლესობაც სწორედ ამ ფორმისაა, რომლებიც ფართოდ ჩანს გავრცელებული აჭარაში, გურიაში, იმერეთში, აფხაზეთში, ქართლში, და ა.შ.. ნიკო მარი მსგავს ეკლესიებს შავშურ-იმერხევეურსაც უწოდებს (Март, 1922:7,29,33,35,89,93...).

დარბაზული ტიპის ეკლესიები წამყვანი ჩანს ადრეული შუასაუკუნეებიდან (V-VI სს) თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე (ბერიძე, 1974:26). გაჩენის დღიდან გუმბათიანი ტაძრების თანამგზავრებადაა მიჩნეული (Чубинашвили, 1971:39).

არქეოლოგიური გათხრებითა და დაზვერვებით დასტურდება, რომ ამ ტიპის ეკლესიები აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში არსებობდა. მათთვის, ისევე, როგორც წაბლანის ეკლესიისათვისაც დამახასიათებელია წაგრძელებული სწორ კუთხედი, რომელიც შიგნით აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. აფსიდა (სხალთის გარდა) სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. მათი სახურავი ორფერდა უნდა ყოფილიყო. შესასვლელები ჩვეულებრივ სამხრეთით ან დასავლეთით აქვთ, თუ მოზრდილებია ორივეგან. მათი შინაგანი სივრცე უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო.

ამ ტიპის ყველა ძეგლი ერთნაირი არაა. ყველა მათგანი თავისი დროის ნიშნებს ატარებს. აყვავების ხანის ძეგლები (სხალთა, ვანაძეები-აგარა, ვერნები და სხვა) უფრო დახვეწილია და ყოველთვის იგრძნობა შესრულების მაღალი სტილი და მანერა. ისინი შეიძლება თამამად დავაყენოთ ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლების გვერდით. ამ ტი-

პის ეკლესიათა ერთი ნაწილი სოფლის ან კარის სამლოცველოები უნდა ყოფილიყო. ესენიც ყურადღებას იქცევენ მშენებლობის დახვეწილი მანერით.


წაბლანის და მათ შორის აჭარისწყლის ხეობის შესწავლილ საეკლესიო ნაგებობათა უმრავლესობას აქვს სამხრეთის მინაშენი. იგი სრულყოფილი სახით თითქმის არცერთ ძეგლზე არაა დაცული. საქართველოში X-XI საუკუნეებიდან თქვენ ტაძრის თითქმის

აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (ბერიძე, 1942:105).

წაბლანის ეკლესია თავისი მშენებლობის სტილით, აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით წინასწარეულად XI-XII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ძეგლზე ჯერჯერობით სამუშაოები დასრულებული არაა. დარწმუნებული ვართ ეკლესიის გარშემო განლაგებული სამარხების შესწავლისა და გათხრების ბოლომდე მიყვანის შემდეგ ბევრი ახალი მასალა იჩენს თავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
2. ვბერიძე. სავანე (XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი). - ქართული ხელოვნება, №1, თბილისი, 1942.
3. შამუღაძე. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
4. შამუღაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების სამაროვნები, ბათუმი, 1998.
5. მამიწიშვილი. ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან, თბილისი, 1976.
6. მამიწიშვილი. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (XI-XIII სს), თბილისი, 1969.
7. გ.ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1936.
8. Гайдукевич В.Б. Работа Фархадской археологической экспедиции в Узбекистане 1943-1944 гг. - КСИИМК, вып.9,1947.
9. Марр Н.Я. Ардаган, Карс, Санкт-Петербург, 1922.
10. Чубинашвили Г.Н. Зедазени, Кликис Джвари, Гвиара.- Картული ხელოვნება, №7, серия-А, Тბ.,1971.
11. Якобсон А.Л. Средневековый Херсонес (XI-XIV вв.).- МИА №17.
12. Якобсон А.Л. Раннесредневековый Херсонес.- МИА №63, М-Л, 1959.



სურ.1



სურ.2



საღმრთო გადმოცემები წაბლანის ეკლესიის შესახებ

სამყაროს სიცოცხლისუნარიანობა მის მრავალფეროვნებაშია. ბუნებისა და ადამიანის თანხმობა სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორია ყოველი კაცისა და ერისთვის, მარადიული არსებობისთვის ბრძოლის საქმეში. კაცობრიობისთვის მარადიული ღირებულებები ზეეროვნულია. იგი სამყაროს მთავარ მიზეზთა კანონზომიერებასთან – ღმერთთანაა წილნაყარი. ყოველივე ცოდნა და რაც მთავარია, საკუთარი პიროვნებისა და სამყაროს შექმნება რწმენის გარეშე შეუძლებელია. ნიშანდობლივია, რომ ზეეროვნული ფასეულობების დაცვით ქართველმა ერმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში და დღესაც ქართველი ერის მისია განუზომლად დიდია ქვეყნად მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების დამკვიდრებისათვის ბძოლის გზაზე.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა იყო ის საძირკველი, რაზეც აღმოცენდა ეროვნული სულიერება, ქართული მენტალიტეტი და ქართული ხასიათი? ეს იყო ჩვენი ურყევი რწმენა, სულის უკვდავების რწმენა, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაზეა აღმოცენებული. ქართული სახელმწიფოებრიობის ბალავარი ხომ ეროვნულ კულტურაზე – ქრისტიანულ რელიგიაზეა დაფუძნებული. ერის სულიერი ერთობა, ქვეყნის მთლიანობის, მისი ეკონომიკური სიჯანსაღისა და მარადიულობის ნიშანია. ჩვენი დიდი წინაპრები სულიერი ერთობის შენარჩუნებას თვლიდნენ უზენაეს ფასეულობად მთელი ისტორიის მანძილზე. ტრადიციული რელიგიურ – ქრისტიანული მრწამსის აღდგენა კი აჭარისთვის დედა სამშობლოსთან – სვეტიცხოველთან სულიერი

თანხმობის მირონცხებულობის ბუნებრივი დაბრუნებაა.

ქართული ფენომენი – ქართველთა სულიერი ერთობა ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის ამოსავალი საზომია. ამ ნათელი იდეის ღვთიური მადლმოსილება წინაპართაგან უცილობელ ჭეშმარიტებად გადმოგვეცა: „ჩვენ ძალად გამუსლიმანებული ვართ და ისევ ბუნებრივად გაკქრისტიანდებით“. აჭარელი კაცი ეროვნულ სარწმუნოებას ქრისტიანობას დაუბრუნდება. საბედნიეროდ ჩვენს თაობას ცხოვრება და მოღვაწეობა გვიხდება ისეთ ეპოქაში, როცა ცოდნისა და რწმენის გამთლიანებას ჭეშმარიტების გზაზე მიყვევართ. ისტორიულ არქეტიპში დაბრუნება ეს საწყისთან ანუ ღმერთთან დაბრუნებას ნიშნავს. ღმერთში მყოფობა კი ღვთიური მადლმოსილების წილხვედრილობაზე მიგვანიშნებს.


ამ მარადიული ფასეულობების აღდგენისთვის ჩვენი წინაპრების მიერ დანატოვარი სულიერი და მატერიალური კერების არსებობაც ადასტურებს. ერთ-ერთი ასეთი საკულტო კერის ნაშთია შუახევის რაიონის სოფელ წაბლანის ნაეკლესიარი, რომლის საძირკველი აღმოჩენილი იქნა 2009 წლის ივნისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული სავლე სამუშაოების შედეგად. ესპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან კახიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა მამულაძე,

ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ტარიელ ებრაღიძე და მხატვარ – ფოტოგრაფი გიორგი დუმბაძე.

აღნიშნული ექსპედიციის მოწყობას წინ უძღოდა სოფელ წაბლანაში ჯვრის აღმართვა და საყოველთაო ნათლობა: 2007 წლის აგვისტოში ნათლისცემელზე აღმართული ჯვარი აკურთხა სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურმა მამა – გიორგიმ.

მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონისა და ბოლნელი მთავარეპისკოპოსის, (წარმოშობით ჩვენი რაიონის სოფელ სამოლეთიდან), მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით სოფელ წაბლანას და წაბლანელებს ახალი სიცოცხლე დაუბრუნდათ. ნათლობის დღე 2007 წლის 1 ნოემბერი ისტორიულ თარიღად ჩაიწერა.

ნათლისცემლის გორაზე, ისტორიულად დადასტურებულ ნაეკლესიარზე, მღვდელმსახურებმა საყოველთაო წირვა – ლოცვა აღავლინეს. იმ დღეს 30-ზე მეტი წაბლანელი მონათლა. ნათლობის მაღლი და ექო მთელი უჩაძბის თემს გადაედო. ეს იყო ბრწყინვალე დღე 400 წლის ისტორიის მანძილზე.



ჭიჭიკო ბერიძე

წაბლანაში ნათლისცემლის გორაზე ეკლესიის არსებობის შესახებ პირველად მისი ადგილმდებარეობა გვაცნობა ჩვენი სოფლის მკვიდრმა, ჭიჭიკო ბერიძემ. იმჟამად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ნათლისცემის

გორაზე ნაეკლესიარი ტყით იყო დაფარული. იგი გვიამბობდა მის პაპისგან მოსმენილს: ჟამთა სიავის გამო ეკლესია როცა დანგრეულა, ნაეკლესიარზე დიდი წიფლის ხე გაზრდილა, იგი სამშენებლო მასალის გამო მოუჭრიათ. იმ ხის ძირზე კვლავ

გაზრდილა რამდენიმე წიფლის ხე. ეკლესიის ნანგრევებიდან შემორჩენილი ყოფილა გათლილ-დამუშავებული თეთრი და შავმურა ქვები. მოსახლეობას აღნიშნული ქვები გამოუყენებიათ სოფლის ცენტრში ფორენგის ასაშენებლად (სადაც გადმოდინებოდა ღარაზე წყალი) და ბუნების ასაშენებლად. მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსიფიკატორული გავლენით (რუსეთის იმპერია ყოველი ძალით ებრძოდა საქართველოს ტერიტორიულ და სულიერ ერთიანობას) დაიწყო ჯამეების მასიური მშენებლობა აჭარაში. ასე გაჩნდა მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენს სოფელში ჯამე, რომლის საბალავრე და საძირკვლის შემოსაშენებლად გამოუყენებიათ ეკლესიის ქვები. მათ შორის ორი დიდი ზომის თეთრი ქვა დღესაც ინარჩუნებს პირვანდელ ფიზიკურ სახეს. გადმოცემით ჩვენს წინაპრებს ეკლესიის ასაშენებლად გამოუყენებიათ ადგილზე დამზადებული თეთრი, წითელი და შავმურა ქვა. სამშენებლო ქვა უშუალოდ ამოულიათ ამჟამად საცხოვრებელი უბნის-კოლოტაურის აღმოსავლეთის ფერდზე და ნაიფლარის (ნაიფქლარის) მიდამოში.

ხალხის მეხსიერებაში ეკლესიის ადგილსამყოფელი „ნაციმციმელის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამის შესახებ თავის დროზე ჭიჭიკო ბერიძის ბაბუას უთქვამს: „ ხალხო ამ ადგილს ნათლისმცემელი ჰქვია და არა ნაციმციმელიო” თუმცაღა ნაციმციმელის სახელწოდება ეკლესიის არსებობას უკავშირდება. მზე როცა ამოვიდოდა და ეკლესიას მიაშუქებდა, ეკლესია მზის სხივებზე ციმციმებდა, ამიტომაც აღნიშნულ ადგილს მეორე სახელწოდებაც დაერქვა.

წაბლანაში ნათლისმცემლის გორაზე შუასაუკუნეებში არსებულ ეკლესიას განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონია მისი ადგილმდებარეობის გამო. ამას ისიც ადასტურებს, რომ ისტორიულად ქართველი ხალხი ეკლესია-სამლოცველოებსა და ციხე-საყარაულოებს ყველაზე მაღალ და უაღრესად მოსახედ ადგილზე აგებდა. ამას ქვეყნისთვის სტრატეგიული დანიშნულებაც

ჰქონდა. ზემოთ აღნიშნული ეკლესიის ახლოს მოგაკებულ ადაგილზე, დასავლეთით (ამჟამად ტყითაა დაფარული) იყო სასტუმროს მსგავსი ნაგებობა. ეკლესიის აღმოსავლეთით შუა საუკუნეებში გადიოდა ძველი სავაჭრო-საქარაუნო გზა. აღნიშნულ ტერიტორიაზე იყო სამჭედლოც. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებში, როცა ამ ძველი სამეურნეო გზით მოსახლეობა სარგებლობდა, სავალი გზის იმ მონაკვეთში, სადაც ნათლისცემის გორა ჰქვია, ცვიოდა – წიღები.

ხალხის გადმოცემით ვინმე – ქოსიშვილს, წაბლანაში მომავალს, ნათლისცემის გორაზე შემოღამებია და გზა არევია. გზის ძებნაში ფეხი ქვევრში ჩავარდნია. ამ ქვევრში ოქრო ყოფილა. კაცს უფიქრია გათენდება და ოქროს მერე ამოვიღებო. მეორე დღეს ნათლისმცე-



არქეოლოგიური გათხრები 2009 წ.

მის გორაზე კვლავ მისულა. ოქრო ვეღარ უპოვია. „ქვევრით დიდი სიმდიდრეა დამარხული ნათლისცემელზეო“ – ამტკიცებდნენ უხუცესები. (სხვათა შორის არქეოლოგიური საძიებო სამუშაოების დროს მხოლოდ ქვევრის სახურავი იქნა აღმოჩენილი). ნათლისცემელზე გადანახული ოქროს არსებობის ვერსია ნათლად მიუთითებს ეკლესიის მნიშვნელოვან როლზე ქვეყნის და განსაკუთრებით ამ მხარის მოსახლეობის სულიერ და კულ-

ტურულ ცხოვრებაში.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, როცა სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობდა, სოფლის ცენტრის დასავლეთით, მიწის ნაკვეთში, ოთხი დიდი გათლილი ქვა აღმოჩნდა საძირკვლად ჩადებული. უხუცესმა შულები მუთიმემ ეს ქვები და მისი საძირკველი ტრაქტორისტს არ მოაშლევინა ერთი მიზეზის გამო: „წინაპრებისგან გამიგონია სოფლის ცენტრში საყდარი იყო, ეს ქვები კი ამის დასტურიაო“. გადმოცემით ამ საყდრის დასავლეთით მიწის ნაკვეთზე (რომელიც დიდი ხანია იელის ტყით არის დაფარული) და ნათლისცემლის ეკლესიის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიწის ფერდზე არის უხსოვარი დროის ქრისტიანული სასაფლაოები, რომლის საცნაურობა წინა თაობებისთვისაც უცნობი იყო.

ნათლისმცემლის ეკლესიის შესახებ ასეთმა ლეგენდამ ჩვენამდე მოაღწია. ოსმალთა დამპყრობლები, როცა სოფლის სანახებში შემოჭრილან ნათლისმცემელზე, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მოძღვარი (სასულიერი პირი) დახვედრია. ოსმალთა ასკერებს ახალგაზრდა მოძღვარი, სახელად - თუნა შიგ ეკლესიაში შეუბყრიათ და სარწმუნოების შეცვლა მოუთხოვიათ. თუნას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწ-

ევია, ოსმალთა ასკერებს თუნა სოფლის ბაღში (ცენტრში) მოუყვანიათ სიკვდილით დასასჯელად. ნაძალადევად ხალხიც შეუკრებიათ. თუნა, განაჩენის აღსრულებამდე ოსმალებს ხელიდან გასხლტომია და ბარტყავლებისკენ გაქცეულა. ოსმალთა ასკერები თუნას ფეხდაფეხ დასდევნიან. თუნა სოფლის ბოლოს მდებარე ქარაფა კლდიდან გადამხტარა. – თუნამ რწმენის შეცვლას სიკვდილით თავგანწირვა არჩია. ზვარაკად შეწირული თუნას ცხედარი

თანასოფლელებს (მალულად) ძველი ნასაყდრალის სამხრეთით მდებარე სასაფლაოზე გაუსვენებიათ, ხოლო იმ კლდეს – თუნას კლდეს (თუნის ყარალოღს=თურნის ყარალოღს) უწოდებენ დღესაც.

წინაპრებისგან გაგონილი – საფლავზე „ზეციური ნათების“ შესახებ ზექერია ველიაძემ ასეთი თქმულება მიაძმო: სოფლის ცენტრში მცხოვრებ დაუდს(დავითს), იქვე ახლოს სამხრეთით მდებარე სასაფლაოდან ერთ-ერთ საფლავზე ზეციური ნათება შეუნიშნია. საღამო ჟამს, როცა არემარეს ღამის ბნელი დაადგებოდა, ერთ-ერთ საფლავს ღამის წყვდიადში ზეციური ნათელი მოიცავდა, ეს პროცესი ხშირად მეორდებოდა, – მომდევნო ღამეებშიც.



ეკლესიის საძირკველი

დაუდი(დავითი) გაოცებული ცნობისმოყვარეობით და თანაც შიშის განცლით ამ მოვლენას მუდმივად აკვირდებოდა. იმდენად შეიპყრო საფლავზე ზეციური ნათების ახლოს ნახვის სურვილმა, რომ შიშის გრძნობას სძლია და ერთ ღამეს ზეციური ნათელის გამოფენისას, სასაფლაოსთან მივიდა და მონუსხულივით მიაჩერდა. იმ საფლავს, რომელიც ნათელში იყო მოცული, მან მწვანე მოლზე დაინახა კაცი გადაშლილი წიგნით ხელში – ლოცვას ალავეუნდა. ამ მოვლენის ცხადად ხილვის შემდეგ

აღნიშნულ საფლავს – შეიდის(წმიდანის) საფლავს უწოდებენ. სამწუხაროდ, ჟამთა სვლამ დღემდე ვერ შემოგვინახა, თუ რომელია წმიდას საფლავი წინაპართა განსასვენებელზე.

ხალხის მესხიერებას დღემდე შემორჩა ნათლისმცემლის ეკლესიასთან დაკავშირებული ქრისტიანული ტოპონიმები: ელია წმიდა, სავარდებო, ელიას მთა, ჯვარიმინდორი, საყენდრია (ნასაყდრალი), წმიდა გორა, (ქრისტიანული წმინდანის საფლავი), ჯვართიღელე, მერიახვეი და სხვა. ამ ტოპონიმებთან დაკავშირებული მითების შესახებ უზუცუესები მოგვითხრობენ: ელიას მთაზე ორი და შემომდგარა. ამ მთაზე ორი გათლილი ქვა იყო აღმართული, ერთი მეტრის შუალედის

დაშორებით, ამ ორ ღამ ეს ქვები შეაერთა, როცა ქვები სიბრტყით დააწყვეს ერთ-ერთ მათგანს ხელის თითი მოემწყვდია, სისხლი გამოდინდა (სისხლი სიყვარულის წამალია) და ქვები გასისხლიანდა. შემდეგ ამ ქვებზე შემდგარან და რასაც მათი თვალი გასწვდენია, ქვეყნისთვის გამოუხედავთ. აღფრთოვანებულან ამ ღამაში აყვავებული (ყვავილი ღვთაებრივი სიმბოლოა) ქვეყნის

ხილვით. ამ ორ დას ამ მშვენიერი ქვეყნის დანახვის მერე უთქვამთ: „ამ ღამაზე ქვეყანაში რომ ჩავიდეთ, ღმერთთან გამოცხადება დაგვაგვიანდებაო, სანამ ამ ქვეყნად ღვთისწიერი კაცი იქნება, აქ მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება, ომი არასდროს მოხდებაო“. (უდავოა ის განსაზღვრება, რომ მითის სიმბოლოთა მიღმა იმალება ღრმა რელიგიური ჭეშმარიტებები).

ზემოთ აღნიშნულ ქრისტიანულ ტოპონიმს ჯვარიმინდორს – ჯვარის სახელწოდება აქვს. უშუალო სიტყვა ჯვარი დაკა-



გათხრებში ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ

ვშირებულია ქრისტიანული სარწმუნოების შინაარსის მქონე ჯვართან. ამ ჯვარმინდორზე შემორჩენილია ქვის ნამოსახლარები. ჯვარმინდვრის სამხრეთ ფერდზე აღმართულია ვულკანური წარმოშობის მწვერვალი, მწვერვალზე არის ქრისტიანული წმინდანის სასაფლაოს დამადასტურებელი ნაშთები (რუსმა მესაზღვრეებმა ოქროს ძიების გამო საფლავი გათხარეს და წმინდანის ძე-

ბას სთხოვდნენ. შემდეგ ამ მწვერვალზე იძინებდნენ იმის იმედით, – სიზმარს ვიხილავთ უკეთესი მომავლის განჭვრეტით.

წმიდა მამები გვასწავლიან: მიხედე ყოველსა სოფელსა და იხილე მადლი მისი. მიხედე ეკლესიასა და იხილე იგი მისი; ყოველი იცის და ყოველსა დაითმენს და ყოველსა უძღვის

ლები გაფანტეს), ქვის დიდი ლოდი და აკლდამის მსგავსი მიწის თხრილი. მწვერვალს ხალხი წმინდა გორას ეძახის. შუამთობაზე და სხვა დღესასწაულების დროს ხალხი (მომლოცველები) ამ წმინდა გორაზე ადიოდა და ლოცულობდა. წინასწარ მიჰქონდათ შვიდი კენჭი ქვა, ამ კენჭებს დიდი ქვის ლოდზე დააწყობდნენ და ღმერთს შეევედრებოდნენ – ქვეყნისთვის მშვილობასა და კეთილდღეობას



**ხარო, კმასავით მხრიანო,
მამასავით საზრუნავო...**

(ერთი ღლე სოფელ გოგიეთის გომანის მოიალალებთან)
(ეთნოგრაფიული მოთხრობა)

ბევრ რამეზე თხზვა მომწვეია ჩემი „სოფლის აღმაშენებლის“ მრავალწიგნეულის შექმნისას, ამგვარზე კი პირველად მიმიღვა კალამი, – ეს, ხარ-მეხარეობა (მეხრეობა), რომელსაც მე ჩემი სოფლის, – გოგიეთის მაგალითზე, მის მთა-ბარობაში გავეცანი პირველად და მაგალითადაც ახლა სწორედ ამას ვიღებ.

ხარი მთის სოფლის მთავარი გამწვევი ძალაა ოდითგან, ჰოდა, მე რომ ახლა მის სიკეთე-გამომდგარობაზე ლაპარაკი დავიწყო, ალბათ მთელი წიგნიც კი არ ეყოფოდა ამ საქმეს. ერთს ვიტყვი მხოლოდ, – იგი როგორც ზოგადად ქართულში, აქაც აჭარაშიც, ბიბლიურ, ღვთიურ, მითიურ, ზღაპრულ, ლეგენდურ არსებადაა მიჩნეული და მასზე მრავალი თქმულება-გადმოცემაც არსებობს, რომელთა დიდი ნაწილი მე „სოფლის აღმაშენებლის“ სხვადასხვა წიგნებში გადმომიცია კიდეც.

იქიდან ერთს გავიხსენებ მხოლოდ: მთიანეთ აჭარელთა უხსოვარზე-უხსოვარი რწმენა-წარმოდგენით დედამიწა ხარის რქაზე დგას და ბრუნავს, ხოლო მიწისძვრა სხვა არაფერია, თუ არა სიმძიმით დაღლილი ხარის მიერ მისი ერთი რქიდან მეორეზე გადანაცვლება და ამით გამოწვეული შექანება-შეკანკალება... ახლა ეს ვიკმაროთ ან კი მეტი რა უნდა დაუმატოს კაცმა ამას...

საზოგადოდ, მთიანეთ აჭარაში ხარი არა უბრალოდ პირუტყვად, უფრო „ოჯახის წევრად“ მიღებული ცხოველია, მისი მარჩენალობა კი ერთ სიტყვაში გამოუხატავს მთიელ აჭარელს, – მას აქ მოფერებით „მამას“ ეძახიან. „მამაი“ – ასე მოიხსენებენ

და ეს იგივე სიტყვა „ხარის“ – სინონიმადაა ქცეული მთის დიალექტში. „მოდი მამა, მოჰ, მოჰ!“ – ასე მიმართავენ და გასძახებენ ხოლმე მას. ვფიქრობ ამით ყველაფერია ნათქვამი, რაც ამ დამოკიდებულებაზე უნდა ითქვას, აღარც იმ გამორჩეულ პატიობაზე მოვეყვები, რასაც მისდამი იჩენენ აქა საერთოდ უფრო კი დიდ და გრძელ ზამთარში მისი ბაგაზე ბმულობისას. მე უფრო ამჯერად ხარის ზაფხულობით მოვლა-შენახვაზე მინდა მოვეყვე და ისიც არაამომწურავად, რადგან, როგორც ვთქვი, თემა თავისი ზღვა მასალით მეტად დიდი და ამოუწურავია.

მთის ყოფა-ცხოვრების და რელიეფურობის გამო აჭარაში ხარი ყველა ოჯახისთვის აუცილებელი საყოლი პირუტყვი იყო და ამაღვე რჩება დღესაც, შეძლებულ ოჯახს იგი ორი და მეტი ჰყავდა და ჰყავს, ანუ ერთი ან რამდენიმე „უღელი ხარი“, ხოლო ამის ვერშემძლეს თითო მაინც ანუ „ცალუღელი“. ამის მიხედვით აქვთ ოჯახში სათრევი საშუალება – მარხილიც თუ საგორავი საშუალება ურემიც, – ესეიგი „წვილუღელა“ და „ცალუღელა“ ურემ-მარხილი. სახნავში, გუთანში კი მას, განხვავებით ცხენისაგან, მუდამ წვილად აბამენ, ცალუღლად კი არა, ამიტომ ხშირად „ცალუღელანნი“ შემეზობლებულ-შეამხანაგებულად აბამენ და ასაქმებენ თავიანთ ხარებს. წვილი ხარის მფლობელი ოჯახი კი მთიანეთ აჭარაში შეძლებულ და შემძლე ოჯახად ითვლება. გრძელი, თითქმის ოთხთვიანი ზაფხულის განმავლობაში სოფელი, რომლის კომლთა რიცხვი ადრე

თითქმის 200-ზე მეტი იყო და ახლა ამის ნახევარიც კი აღარაა, ხარებს ხან მთა „ჩირუხში“ ანუ იალალზე აგზავნიან, ხან კიდევ სოფლის თავში, 3-4 კილომეტრის დაშორებით არსებულ ალპური ყვავილებით მდიდარ მთა-სადოვარ „გომანში“, რომელსაც სხვაგვარად „იათალსაც“, (თურქ. ყატაკ-სა-წოლი) უფრო ვრცლად „ხარი-იათალსაც“ უწოდებენ, რაც ნახევრად არაქართულია და არა ძველითგან, უფრო მოგვიანოდან მოდის, ძველითგან მას მხოლოდ ქართულად „სა-წოლი“, „ხარის საწოლი“ ერქვა და დღე-საც ასე უნდა ვუწოდოთ და უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ცხადია, აქ ხარ-მეხრეობის პროცესის მხოლოდ ერთი – ხარების წოლის, მათი დასვენების ციკლის არეკლ-ვითაა გაჩენილი.

როდიდან გამოიყენება წმინდასერის მთის (ზღვ. დონ. 2464 მ.) გადმოღმა, ეს ალპური ყვავილებით მორთული, ტაფობივით ჩავარდნილი, გაშლილი მიდამო ამ საქმისთვის არავის ახსოვს, ალბათ და რა თქმა უნდა, აქ კაცისა და მიწათმოქმედება-მეურნეობის გაჩენის ხნიდან... ჩვენ კი ამჟამად უფრო მისი ჩვენამდე მოღწეული ფორმის რაობაზე მიგვიწვდება გულ-ხელი: ზაფხულობით, სეზონის დადგომიდანვე, ასე, ივნისის დასაწყისიდან ან ამ თვის 15-იდან აჰყავთ ხარები აქ, როცა სოფელში საგა-ზაფხულო საქმეებით დაღლილნი მართ-ლაც რომ საჭიროებენ დასვენებას. ლაღობა მათი კი 25 აგვისტომდე ან სექტემბრამდე გრძელდება. ეს სამთვიანი სულის მოთქ-მა („სულის შეღება“. მთიელთა გამოთქ-მაა) სავსებით საკმარისია, რომ მომავალ ამ დრომდე ძალმოკრებილმა მარჩენალებმა ისევ ემსახურონ მადლიერსა და მზრუნველ პატრონს, რომელიც მათ მშობლად და ძმად უფრო თვლის, ვიდრე პირუტყვად. ამჟამად აქ 150-მდე ხარი იყრის თავს, საკუთრივ სოფელ გოგიეთიდან და სხვა ახლო-მახლო სოფლებიდან, რომელთა მწყემს-მეხრედ სულ ცოტა 3-მწყემსი (მეხრე) მაინც გამოიყოფა სოფლიდან. ამ და სხვა სოფლის მკვიდრ-ნიც გამოთქმა „მეხრე“-ს ნაკლებად იყენე-ბენ, რაც ძველთაგან-ძველქართულია, ისინი

მას ახლა ახალ, ზოგად სახელწოდებას, – „მწყემსს“ ანაცვლებენ, რაც მოსაქმეობის კონკრეტულ „პროფილს“ ვერ ასახავს, ვერ გამოხატავს **[მეხრე-(მეხრისა)-ხარის** გამ-რეკი. **ღამის მეხრე-მეხრე**, რომლის მოვა-ლეობასაც შეადგენდა დღე გუთნის ხარების გარეკვა, ღამე – ხარების ძოვება. მეხრეო-ბა (მეხრეობისა) – მეხრედ ყოფნა, მეხრის საქმიანობა (ქ ე გ ლ, ტ-V, სვ. 234, თბ., 1958 წ.). არსებობს გამოთქმა დღის მეხრეც, – ძვ. მეხრე, 12-14 წლის ბიჭი, რომელიც მხ-ოლოდ დღისით აძოვებდა გუთნის ხარ-კა-მეჩებს, ხვნის დროს კი უღელზე იჯდა და ერეკებოდა მათ. ბუთანზე ერთი იყო, ერეე-ბოდა ერთი ალო. **ღღის მეხრეობა** – ძვ. ღღის მეხრის მოვალეობა. ღღის მეხრედ მუშაობა (ქ ე გ ლ, ტ.III, სვ. 1245, თბ., 1953 წ.)] როგორც ვხედავთ, ძველად ეს პროფესიაც იყო, რაშიც ნატურის (ჰური) სახით გარკვეული გასამრჯელო იყო დაწე-სებული და უმეტესად მას ყმაწვილები ითავსებდნენ. გჰასამრჯელო მეგუთნეს ანუ გუთნის დედას მეტი ეძლეოდა, მეხრეს კი ცოტა. ილიას ერთ ნაწარმოებში ვკითხუ-ლობთ: „ალოში გუთნის-დედას მეტს არ-გუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმი-ტომ რომ გუთნის-დედა მცოდნეა, მეხრე – კი არა“...

როგორც ვთქვი, ზოგადი გაგება აქვს სიტყვა-სახელ მწყემსს [მწყემსი (მწყემსი-სა) 1. ვინც მწყემსავს (მეცხვარე, მენახირე, მეჯლოგე), ესაა პირი, ვინც მწყემსია რისამე, უვლის, – პატრონობს (სადოვარზე გაშვე-ბულ პირუტყვს) ქ ე გ ლ. ტ. V, სვ. 1227, თბ., 1958 წ.]. მწყემსის განმარტებისას მოხმობილ არცერთ ტექსტურ მაგალით-ში ხარი, კამეჩი, გამწევი ძალა, საერთოდ ხსენებული არ არის, სახელდება ზოგადად პირუტყვი ან წვრილფეხა პირუტყვი – თხა, ცხვარი], ამგვარად, სიტყვა-სახელი მეხრე ერთადერთია, რომელიც კონკრეტულად გამ-წევი ძალის მეურვეს გულისხმობს ამასთან, მომწყემსვის ასპექტშიც. თანაც, არა მაინცა და მაინც ხარს, არამედ კამეჩსაც, მაგრამ არა ცხენს და მისთ.

ეს გრძელი მსჯელობა ერთი კონკრე-

ტული ვითარების გამო დამჭირდა: ამ სოფელში არის ცალკე უბანი, **მეხრიები**-ს სახელწოდებით. ზოგი უბანზე მის მირქმევას სიტყვა **მანარებელს (მანარობელს)** უკავშირებს, აქედან კი ღვთის მსახურს და ღვთისმსახურებას, ხოლო ამის გავლით ღვთისმსახურების კერას, რაც არასწორია.

„მეხრიებ-მეხრეებს“ და „მანარებელ-მანარობელს“ მსგავსიც კი არაფერი აქვთ ერთმანეთთან გარდა ასო... **ხ**-სი, ხოლო მანარებელ-მანარობელის მეხრიებ-მეხრეებ-ად გადაქცევა ეტიმოლოგიურად ქართული ენის რაგინდარა მიმოქცევით შეუძლებელია. სხვა საქმეა უბანს „მწყემსიები“ რომ ერქვას, სიტყვა-სახელ მწყემსს კი გააჩნია ერთ-ერთი გაგება, რასაც მართლაც მივყავართ ზოგადად ღვთისმსახურებასთან (და არა კონკრეტულ რომელიმე ღვთისმსახურ-თან): **მწყემს-ი (მწყემსისა)** – . . . 2. ეკლ. მოძღვარი, მღვდელი. გადატ. ღმერთი (ქ ე გ ლ, ტ. V, იქვე, სვ. 1227), მაგრამ უბანს ხომ მეხრიებ-ი (მეხრეებ-ი) ჰქვია... აქედან გამომდინარე, მხოლოდ ორი ვერსიის დაშვებაა შესაძლებელი: უბანს მეხრიებ-ი ეწოდა: 1. იმის გამო, რომ წარსულში აქ პროფესიონალი (დასპეციალებული) მეხრეები ცხოვრობდნენ, რომლებიც ხვნა-თესვის დროს სოფელს ემსხურებოდნენ (ძველი, ვიწრო გაგება); 2. იმის გამო, რომ უპირატესად ამ უბანში მცხოვრებთა შრომითი პრიორიტეტი იყო საზოგადოდ გამწვევი ძალის (ხარი, კამეჩი) მწყემსობა და მათ შორის სამთვიან ზაფხულშიც (შედგომი, ფართო გაგება), ან ორთავე მიზეზით, ერთად.

მწყემსობა მწყემსად ყოფნა (მეხრეობა) ამ სფელში დღეს სურვილის მიხედვით და, ცხადია, ამ საქმის ცოდნითაა განპირობებული. გომანში მწყემსები (მეხრეები) ღამეს საამისოდ დადგმულ ოდა ქოხში ითევნ და დღისითაც იქ აფარებენ თავს, დრო და დრო მორიგეობითაც სამთავან რომელიმე მათგანი ბარში ჩამორბენს, საოჯახო-სამეურნეო საქმის მოსავლელად, მაქსიმუმ 1–3-დღით და ისევ უკან ბრუნდება, თანაც უკან ხილეულს და სურსათსაც წაიმძღვანებეს. მწყემსები ერთმანეთთან შეწყობილად არიან,

კარგად იციან თავთავიანთი მოვალეობა და ურთიერთშენიშვნას იშვიათად საჭიროებენ. გრძელ ღამეებში ამბებს ჰყვებიან, ხუმრობენ, მელექსეობენ, შაირობენ და ასე გაჰყავთ გრძელი დღეები და „თეთრი“, ღამისთევანი – ღამეები. მათი მოვალეობა მოკლე და კონკრეტულია: საიალადოდ ჩაბარებული ხარები რიცხვით უნაკლო და მოვლილ-ნაიალადევი უნდა ჩააბარონ თავთავიანთ პატრონებს, რაც მთის ნადირ-მტაცებლიან, ტყით გარშემორტყმულ გარემოში არც თუ ისე ადვილი და ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა. ხარ-კამეჩების მეურვეობა აქ დღეს არ დასტურდება, წარსულში კი ალბათ ესეც არ იქნებოდა გამორიცხული. გასამრჯელოდ კი ისინი, შეიძლება დაუფარავად ითქვას, სიმბოლურ ანაზღაურებას ყაბულდებიან: 1-ხარზე სოფლის გარეთა, მეზობელი სოფლების ამბარებლისაგან („ამბარესაგან“) 50-ლარი, ხოლო სოფლის შიგნითაგან (სამეზობლოსგან) 30-ლარი. თუ ამ თანხას 3-თვეზე ანუ 90 დღეზე გავანაწილებთ, ძნელი არ არის, გამოთვლა, რა „დახლი“ დაუდგება თითოეულს საიალადო სეზონის ბოლოს: ასე ითქმის, ალბათ ქალამნის ფული... მათთან გასაუბრებით კი შევიტყვით, რომ თითოეულ მწყემსზე ეს თანხა 150–120 ლარსაც არ აღემატება.

– ნუთუ გიღირთ ამისთვის ზაფხულის 3 თვის „გამოღამება?“ – მათივე გამოთქმით ვკითხე მე მათ. პასუხი რომ არ ველოდი, ისეთი მივიღე:

– სოფლის ხარი, ვისიც არ უნდა იყოს იგი, იგივე შენი ხარია, საშუალება რომ იყოს, ამასაც არ ავიღებდით, ისე ვიმწყემსებდითო, – თითქმის ერთდროულად როგორც ერთი პირიდან წარმოთქმული, ისე მომესმა სამთავე მწყემსის (მეხრის) ბავიდან. კითხვა აღარ დამისვამს, ყველაფერი უთქმელადაც ნათელი იყო!

ხარ-მეხრეობა, ხარ-მწყემს-მეხრეობა ვაჟაკური პროფესიაა, არანაკლებ ვაჟაკური და შრომატევადი, ვიდრე ცხვარ-მცხვარეობა. იგი განსაკუთრებულ გამძლეობას, ამტანობას, გამჭრიახობას და, რაც მთავარია, მზრუნველობა-ჰუმანურობას მოითხოვს. და

რომ ეს ასეა, ახლა პირდაპირ ამ რთული საიალალ-სამწყემსური საქმის ერთი დღე-ღამის „განაწესს“ მოვიტან, რომლის 90-დღეზე „გადამრავლება“ და დასკვნის გამოტანა მკითხველსაც არ გაუჭირდება...

მწყემსები, როგორც წესი, მთებზე მზე შემოსცინებს (შემოთენდება) თუ არა, ფეხზე დგებიან, ეს დრო კი აქ 6-ის ნახევარი, 6-საათია. მათ განკარგულებაში საათნახევარი – ორი საათია, ამ დროში ჩაცმა-დახურვა, გაპარსვა-„გალამაზება“ ანუ ესთეტიკა უნდა მოასრულონ, შემდეგ ის-აუზმონ და საგზალიც (ზარმელი) გაიმზადონ (თუ ბანაკიდან შორს წასვლა უწევთ), რომელსაც ბარიდან ადრევე ამოტანილი მარაგიდან ხარჯავენ და დრო და დრო ივსებენ კიდევ. 7.30-8.00 სთ-ზე ხარები, რომლებიც აქამდე წვანან, ფეხზე დგებიან. 8-სთ.სადგომიდან, „საჩინედან“ უშვებენ და საძოვარზე მირეკავენ, რომელიც ხარის საწოლს (სადგომს) ირგვლივ არტყია და რადიუსით თითქმის 3 – კილომეტრამდეა. მწყემსები (მეხრეები) ამ სივრცეს მორიგეობით და მომჭირნეობით იყენებენ, მათი ერთი, რომ ვთქვათ, რიგ-რიგობით „ინარჯავენ“, რათა მოძოვილმა ბალახმა კვლავ ამოსვლა, „ამოყრა“ მოასწროს და სეზონის ბოლომდე საბალახოდ იყოფინონ. დღის 3-საათამდე ხარები ნაყრდებიან, შემდეგ მათ თავისებური შაძახილით ერთ ადგილზე შეკრებენ („მოჭუჭკავენ“) და ასვენებენ. ხარები ამ დროს იქვე, გომანის ცივ წყაროზე, გადგმულ ავაზანში რწყულდებიან, რის მერე ისინი, როგორც ერთი, ყველანი მდელზე წვებიან, ისვენებენ და მსხვილფეხებისთვის დამახასიათებლად ძოვის დროს სტომაქში დაგროვილ ბალახის მარაგს ხელმეორედ ამუშავებენ „ამოიცონინან“. ამისთვის მწყემსებს 1-საათი აქვთ დათმობილი. ამ ხნის მანძილზე თვითონაც ნაყრდებიან, იქვე, გომანის ცივ წყაროზე წყალს აყოლებენ და საქმეს უბრუნდებიან. როგორც ხარ-მეხრეობის წესი და კანონი, ისინი ამ დროს სხვა სასმელს არ ეტანებიან და მიაჩნიათ, რომ ეს პროფესიის ღალატი და შეურაცხყოფა, უფრო მეტიც, –

„ცოდვა საქმეა“, საამისოდ უფრო საღამოს და ღამის დროს „ამჯობინებენ და ისიც ფრიად გამონაკლის, აუცილებელ შემთხვევებში (ვთქვათ, რომელიმე მწყემსთაგანის დღეობაზე, სადღესასწაულო თარიღებში და სხვ.) იმ ერთსათიანი დასვენების შემდეგ ხარები ნელ-ნელა თვითონ დგებიან ზეზე და ისევ საძოვარს ეფინებიან. მწყემსები-ვით თითქოს ისინიც უფროთხილდებიან, საძოვარს, არ „ზიანქრობენ“, დინჯად მიიძოვენ და მიიწევენ წინ. ბალახობა კიდევ 3 საათს გრძელდება და საღამოს 6-ზე მთავრდება. მწყემსების თითო, ერთდაგვარი „დაყენებუ-ლი ხმით“ შეძახილი, – „აბა, ჩამო მამა ჩამო შინისაკენო!“ – და ისინიც ფერღობებიდან მორჩილად ძირს ჩამოიკრიბებიან და გზაში დგებიან. ერთ საათში მათთვის განკუთვნილ შეღობილ მოედანზე შედიან, მიდგებ-მოდგებიან, მომარჯვდებიან, ისევ წვებიან, ისვენებენ და „ამოცონინას“ მოჭყვებიან. ამ დროს მწყემსები მათ ზუსტად გადათვლიან, სიმშვიდისკენ მოუწოდებენ, ჭიშკარს უკეტ-ავენ და ოდა-ქოხში შედიან. შეღამებამდე, უფრო 8-საათამდე ვახშობენ, მერე ცოტას ერთობიან, დასვენების პერიოდისთვის განკუთვნილ დროს რიგ-რიგობით ინაწილებენ და თითოეული თავის „ღამის შემოვლის“ ჟამს იზუსტებენ, მერე წვებიან და იძინებენ. მწყემსის ნამდვილი მწყემსობა (მეხრეობა) სწორედ რომ ღამით იწყება: ნადირ-მტაცებლის დღევანდელ ხელშეუხებლად დაცულ პირობებში იშვიათი არ არის ამით გათამამებულების „ხართა სამფლობელოსთან“ დაუპატიჟებელი „სტუმრობები“, მაშინ კი ხარებს ერთბაშად შფოთვა ეწყებათ, დამშვიდებულნი და მწოლარენი ზეზე დგებიან, შიშ თუ მუქარაშერეული ქადილობით გამკივანად გაჰბლავიან, ფშვინავენ, ერთმანეთს ელექებიან და იმ ღამეში ერთბაშად ხარის საწოლი შავ აბობოქრებულ ზღვას, ზღვის ტალღებს ემსგავსება. სწორედ მაშინ სჭირდებათ მათ ადამიანის, პატრონის მწყემსის (მეხრის) შეხმაურება, შეხმიანება, „მხარდაჭერა“ და შეგულიანება, რომ დამშვიდდნენ, დადრკენ, ღობე არ გაარღვიონ და უთავბოლოდ არ დაიფანტ-დაიქსაქსონ.

საერთოდაც ღამის სიბნელე განსხვავებით კამერებისგან, ხარებს უფრო აფრთხობთ, ამინებთ და აწუხებთ, ამიტომ უნადირობის დროსაც კი მათ გათენებამდის სჭირდებათ „თავს დაველა“, შეხმინება და დამშვიდება-დაშოშმინება. ამას კი მწყემსები (მეხრეები) რიგრიგობით და ღამისტეხით უნაკლოდ და დაუზარებლად ასრულებენ, – ეს სამწყემსურზე მათი ერთგვარი „ფსიქოლოგიური“ ზრუნვა-მზრუნველობაცაა, რათა ხარს შინაგანი სიმშვიდე და წონასწორობა, მისი ღვთისგან ბოძებული „უწყინარობა“ რომ შეუნარჩუნდეს.

დასასრულ, ისიც ვთქვათ, რომ, დროგამოშვებით, მწყემსებს ხარის სადგომ-საწოლის დახვეტა-დალაგებაც უწევთ, რათა მაღლიანი პირუტყვი თავს სუფთა გარემოში სუფთად და მოვლილად გრძნობდეს. ამ ყველაფრის ფონზე კი თითოეული მწყემს-მეხრის ღამის ძილი საშუალოდ 4-5 საათს არ აღემატება. შემდეგ „სამუშაო“ მეორე დღე და ასე, 90 დღე-ღამის განმავლობაში. ხარების მწყემსებს, საქმეში, როგორც წესი, განსხვავებით მეცხვარეებისგან, „პროფესიონალი“ ძაღლები არ ეხმარებიან. ხარი ვერ იტანს, ვერ ჰგუობს ძაღლს, არც მის მეურვეობას თითქოს „არ კადრულობს“. ერთი სიტყვით, ძაღლი და ხარი ვერ მეგობრობენ, პირიქით კი უფროა მათი ურთიერთობა, – ხარი რქენს ხოლმე ძაღლს სადაც შეხვდება და „სადაც წეწევა“ და დღემდე არავინ იცის რატომ და რისთვის. არც ღამ-ღამობით მისი ყეფა ეხატება მაინცა და მაინც გულზე, ამიტომ ხარ-მეხრეობაში ძაღლ-მწყემსობის ინსტიტუტი არ ფუნქციონირებს და მწყემსებს უმისოდ უწევთ ხოლმე თავის გატანა, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ყოფასა და მოვალეობას. მეტადრე ღამით, რაც მუდამ და ყოველთვის უსაფრთხო ან მთვარე-ვარსკვლავებიანი როდია! შესაშურია ყოფა მწყემს-მეხრისა დარიან მთაში, მაგრამ მთა რის მთაა, რომ ზოგჯერ და, თანაც, არც თუ იშვიათად, კოპები არ შეიკრას და კოკისპირული წვიმა ან სეტყვა, ზოგჯერ მჯილის ოდენაც ძირს არ დაუშინოს... ეს აქ ისე მოულოდნელად იცის და ხდება, რომ მწყ-

ემს-სამწყემსური თავის შეფარებას ვერც კი ასწრებს. ან კი სად უნდა შეაფარონ ტიტველ მთა-მდელოზე... ჰოდა, ტანზე აშრებათ ხოლმე ოდა-ქონში დაბრუნებამდის სველი სამოსი და მოსიარულე ბუნებრივით ოხშივარებიც ასდით, მაგრამ რას იზამენ, ითმენენ და სძლებენ, რადგან, როგორც იტყვიან, ასეთია ბელი მწყემს-მეხრისა! ხშირად ავდარს სიცივეც ახლავს, თანაც ისეთი, ხშირად ტონიან ხარსაც რომ კანკალი იტანს და ისინი ამასაც ეგუებიან, რადგან მარჩენალი ხარი, მათივე ენით თუ ვიტყვით, „მამაი“, სათუთად მოსავლელი და მოსათავებელია, თავისას კი არაფერს ჩივიან. სტიქიის დროსაც გუნებაარეულ ხარებს ცალკე უნდათ დამშვიდება, რადგან ისინი ფრთხებიან, სწუხან, ფეთდებიან ელვისა და ჭექა-ქუხილისაგან... წვიმა აქ კოკისპირული არა და უფრო „ქვაბისპირული“ კი ეთქმის ისეთი იცის, რომლის დროსაც მწყემსსაც და მოსამწყემსსაც დარისა და მზიანი ამინდის გამონათების იმედი ასულდგმულებთ...

მიუხედავად დატვირთული დღიური საქმისა, მწყემსები ძირითად სამწყემსო საქმეს „გარე საქმესაც“ ათავსებენ-ხოლმე: ისინი რიგრიგობით ამზადებენ ადგილზე სახმარ და ოჯახში გამოსაყენებელ შეშა-კვარს, კევ-ფისეულს, განსაკუთრებული მასისგან მთაში გაჩენილ ე.წ. „თვითნაბად“ სალეს ქვებს („მასათებს“), აგროვებენ მინდვრისა თუ ტყის სოკოს, გარეულ ხილ-კენკრეულს, წყავსა თუ მოცვს, ბალახეულ-მხალეულს, ისეთს, როგორცაა იშვიათი სამკურნალო-საკვები დანიშნულების და ღირებულების „დვალურა“, „სვინტრა“, ძირხვენები – წამალ-დიდი პოტი-ღვერა, სამკურნალო ალაპური ყვავილეულობა, – უკვდავასა თუ სხვა სახისა და სახეობისა. სასიამოვნო სამკურნალო დანიშნულებისაა მოცვის ჩაი, რომელიც მთაში საყოველთაო მოხმარების საგნად ითვლება. ყველაფერ ამით, მწყემს-მეხრეები ბარიდან ატანილი და გამოზოგილი სურსათით და საამისოდ, საგანგებოდ გადანახული მოცვის ღვინით თუ ხილის მაგარი არაყით, როგორც თვითონ იტყვიან, – აქ „მთის წვერზე“ – დაუზარელი მასპინძლები არიან

სხვადასხვა სოფლებიდან ამაველ-ჩამავალი მთიბაგების, მეშეშეების, მეზობელი მთა-იალ-ალების მწყემსებისა თუ ზამთარ-ზაფხულ აქ თვალფხიზელ გუშაგებად მდგარი ქართველი მესაზღვრეებისთვის, რომლებიც თვითონაც, თავის მხრივ, მწყემსებს თავიანთ სანდო მხარად და „დამხმარე ძალად“ თვლიან. სწორედ ესეცაა და ამაშიცაა მწყემს-მეხრეთა ცხოვრების რომანტიულობა.

კარგა ბლომად ვთქვით მწყემს-მეხრეებზე, თითქმის არაფერი კი თვითონ სამწყემსოზე, ანუ თვითონ ხარებზე სამეხრეოზე, არა და, ეს ეთნოგრაფიული მოთხრობა-ნარკვევი კი უფრო იმისთვის დაიწერა, რომ სწორედ მათმა თვისებებმა მოხიბლა ამ სტრიქონების ავტორი... საილალოდ წაყვანილ პირუტყვთა რაოდენობაში ყოველი 100-დან 90-ბულა-ხარია, 10 კი მუშა (გამოკოდილი) ხარი. მთაში პირველის ყოლა უფრო ავტორიტეტული და მეურნეობრივად პრაქტიკულია (მწარმოებლობა, სახორცედ უფრო ხარისხიან-ვარგისიანობა, ავტორიტეტულობა და ა.შ.).

ზაფხულის ხარ-მეხრეობა თავდაპირველად ადამიანისა და პირუტყვის ერთგვარი „ურთიერთშეგუებით“ იწყება. შეგუება ორგვარი: ერთი მხრივ მწყემსებისა და ხარების ურთიერთ გაცნობა-შეთანაწყობა, მეორე მხრივ თვითონ ხარების ურთიერთშეგუება, ურთიერთგაწესრიგება: თავდაპირველად ხარები და უფრო კი ბულა-ხარები ერთმანეთს მწყემსებს, „ამოძკრაობენ“, უფშევენ, უქშენ და ახლოსაც არ იკარებენ, მათ ეს ჩვევა იალალზე ამოსვლიდან 1 კვირამდე გასდევთ, შემდეგ მწყემსებს ერგვიან, იშინაურებენ და უშინაურდებიან. მსგავსი დამოკიდებულება დასაწყისში ერთმანეთთან შეუჩვეველ ხარებს და ბულა-ხარებს ერთურთშიცა აქვთ, – ამას მწყემსები „გაცნობის“, „დამეგობრების“ პერიოდს უწოდებენ. ამ დროს ხარები და ბულა-ხარები ჭიდაობენ, ერთმანეთს ძალას უსინჯავენ, ცდიან, ამასაც მწყემსები „ხარების არჩევნებს“ ეძახიან, რომლის დროსაც ისინი თავიანთ შორის ყველაზე ძლიერს, სამეთაურო პერსონას ანუ ბულა-ხარს გამოავლენენ და ირჩევენ.

ეს ხდება ბევრი გაწვევ-გამოწვევის შემდეგ, საბოლოოდ ერთ რომელიმეს უძლიერესად აღიარებენ, ცნობენ და სრულ მორჩილებას უცხადებენ, რის შემდეგაც იგი ხარების მეთაურად „თავიბაშად“, ითვლება და ყველა ხარი თუ ბულა-ხარი მას მორჩილებს: საითაც იგი წავა, იქ გაჰყვებიან, მის ერთ „შეკვიანებაზე“ კი სმენად იქცევიან, ისუსებიან. ეს „არჩევნები“ ფრიად სპეციფიკური პროცესია, ერთგვარი თავდაუზოგავი შეჯიბრი, ხარების ნებაყოფილობითი შერკინება, ჭიდაობა, „დუელი“, რომელიც განუმეორებელი სანახაობაა და მასთან სპეციალურად თვალსერიისთვის გამართული რაგინდარა ხართა შეჯიბრი ახლოსაც ვერ მივა. ისინი ამ დროს თავგანწირვით ერთმანეთს, ბრდღვინავენ, მიწას ტორავენ, თავკისერზე იყრიან და აყრიან ერთმანეთს, რქებით ჩხვერენ კორდს, ყნოსავენ, გეშს იღებენ არავინ იცის რაზედ და რისას, და, ასე, ჯერ გარე-გარე აფრთხობენ და აშინებენ მეტოქეს, ხოლო როცა ეს არა სჭრის, მაშინ კი თავგამეტებით ეკვეთებიან ურთიერთს. საათობით გრძელდება ხოლმე დუელი, ხან ერთი მისჩინავს უკან მეორეს და ხან პირიქით, ბოლოს რომელიმე მათგანი მარჯვობს და დამარცხებულიც ბოლმიანად ტოვებს ასპარეზს, თუმც ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც ეგუება მარცხს და ისიც სხვებთან ერთად მეთაურად აღიარებს გამარჯვებულს. ყოველივე ამას კი კაცებივით შესცქერიან დანარჩენი ხარნი თუ ბულა-ხარნი და საბოლოოდვე დუმილით „გვირგვინს ადგამენ“ და მორჩილებას უცხადებენ მომავალ მეთაურსა და „მბრძანებელს“. მბრძანებლად სავალდებულო არ არის ბულა-ხარობა, ზოგჯერ ამ პატივს ხარიც, გამოკოდილი ხარიც ეუფლება. ამწლევანდელს ეს პატივი ბულა-ხარ „კაბიას“ – ერგო. მე მასთან სამახსოვრო სურათიც გადავიღე. მწყემს-მეხრეებმა გაიხსენეს ერთი შემთხვევა, როცა შერკინებულმა ხარებმა, სახელად „მურეშამ“ და „სანთელამ“ საათობით იმდენი იჭიდავეს, სანამ ერთ-ერთმა მათგანმა – „სანთელამ“ ხრამის პირს არ მისჩინა მეორე, – „მურეშამ“. საათზე მეტ ხანს ტონიან ხარს, ჩათვლით და მიმატებით იმისი

ძალწოლისა, გამძლავრებია „მურემა“, ბოლოს, ხრამიდანაც თავი მარჯვედ დაუღწევია, მერე, აგრე არ უნდაო, მეტოქისთვის იქით შეუტევია, უძლევია კიდეც და „მეფობაც“ დაუსაკუთრებია! დღესაც აღფრთოვანებით იკონებენ ზღაპრული ძალის მქონე ფალავნის მარჯვეობას ისინი და ჩემს წინ მათი გაუზვიდებელი თხრობით, ცოცხლდება, იხატება ის სურათი...

სულ სამიოდ თვიანია გამარჯვებულის მეფობა, მაგრამ ეტყობა ეს მათთვის მარტო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაც როდია, – უმთავრესი სხვაა: თავიბაში ამით ერთგვარ „მოვალეობასაც“ იღებს საკუთარ თავზე: დამღამობით იგი, როგორც წესი, განსაკუთრებით ფხიზელია, დილაძდე სულ ცოტა სამჯერ მაინც დგება (თუ იგი ნამდვილად „გამომდგარია“), მწოლარე სამწყსოს („სამეფოს“) გარს უვლის, სამჯერ აკივანებს, ადგილზე ბრუნდება და წვება. როგორც მწყემსები მიმარტავენ, ამით იგი ღამის შიშისგან ამხნეებს თავის „ქვეშევრდომებს“, თავის ლაშქარს. განსაკუთრებით აქტიური და ფხიზელი იგი ნადირის მობედვისას ხდება, ერთთავად ბრდღვინავს, ქშენს, გაჰკივის და აფრთხობს გემით ნაგრძობს, ჯერ კიდე ახლოს მოუბედავ ნადირს, ხოლო დანარჩენები მის ირგვლივ ჯგუფდებიან და მეთაურთან ერთად ლაშქარივით ერთად იწევენ იქით საიდანაც ნადირი მოსულა. დილით, საძოვრისკენ მიმავალთ მეთაური, როგორც წესი, წინ მიუძღვის და ამაღასავით მიჰყავს საძოვრისაკენ. ბევრი რამ ამოუკითხავის ამოკითხვა შეუძლია დაკვირვებული კაცის გულსა და გონებას ხარმეთაურის ამ ქცევებში, რაც ერთი შეხედვით თითქოსდა გაუნათლებელ მწყემს-მეხრეებს, გამოტენილად უნდა ვთქვა, არ აკლიათ და სხვაზე ვარბიც კი აქვთ! ამიტომაც თვლიან ისინი ხარს ღვთიურ ცხოველად.

სხვა ბევრი დადებითიც მითხრეს მწყემსებმა მათზე, მაგრამ ერთი-ორი უარყოფითიც არ დაუმაღავთ და ამას მე ახლა არც თვითონ დავმაღავ: რაც უნდა გასაკვირი იყოს, ხშირად ხარებს ახასიათებთ აკვიატებული ვისამე „დამჯაბნელობა“, მწყემსების ერთ

თუ ვიტყვით, „უსამართლობა“, „მჩაგვრელობა“ სუსტთა დაბრიყვება (მათივე ენით – „დაბლაყვება“), რასაც, ცხადია, არ უწონებენ, უფრო უარესიც – შიგა და შიგ მამათმავლობა და ამის კიდეც უფრო უარესიც – პირთ მიცემ-ამღებლობა... მაპატიონ ჩემმა ნიშაებმა და ნიკორებმა, ჩემმა „წიქარებმა“, თუ ნაკლი არ დავუფარე, „ნამუსი“ არ შევუნახე, გავუტენე, სხვაფრივ ზნე-ბუნებით უზადლებს ეს ზადი არ შევუნახე, ჩემ უტყვე გმირებს, შევნიშნავ კი, რომ ეს ჩვევები უფრო ბულა-ხარებს ახასიათებთ ხან ერთმანეთის, ხან კიდეც და უფრო, დაკოდელი ხარების მიმართ, რაც, ცხადია, „არამამაკაცური“ და „არაჯენტლმენური“ და მას მე ზაფხულის „უდედაკაცობის“ ბრალად ვთვლი... თუმცა იმედია, ისინი ამას ოდესმე მოიშლიან და თავიანთ ღვთიურ წარმომავლობას არღა შეიბღალავენ...

მე თითქმის აღარაფერი დამრჩა სათქმელი, როგორც ხარ-მეხრეობის და ხარ-მწყემსობის არც ისე დიდ მცოდნეს, მაგრამ არც თუ ისე მთლად დილეტანტს, რადგან ახლობაში თავადაც მიმწყემსია. თხრობა კი ამაზე იმით მინდა დავასრულო, რომ ის ერთი დღე, რომელიც მე სოფელ გოგიეთის თავზე ზღაპრულ დეკაკაცივით წამომდგარ მთა წმინდასერის გადმოღმა, გომანში, ხარებთან და მწყემს-მეხრეებთან გავატარე, მათგან მორთმეული ღარიბული სუფრითა და იმ ცეცხლივით არაყით, დაუვიწყარ მოსაგონრად დამრჩა, რომლითაც წამოსვლისას ჩვეულებისამებრ, მე როგორც თავიანთ ერთ რიგით „სტუმარს“, გამიმასპინძლდნენ და გამომამგზავრეს.

სუფრაზე, რომელზეც მათ სოფელ გოგიეთის წარსული, მათზე წინა ძველი მწყემს-მეხრეები, – ახმედ ბოლქვაძე (ჯუნჯური დედე, ეს ზედსახელი მას ზედმიწევნით სიღინჯის გამო მიერქვა. ე.დ.) ახმედ ბათაძე, მუნხამედ ჯიბლაძე, ვეზირ დავითაძე, ნოდარ ვახტანგიძე („დივე“-დევი, ეს ზედსახელი მას გოლიათი ტანის გამო მიერქვა ე.დ.), ენვერ გურგენიძე, ბაირამ ფუტკარაძე და ზოგიც ახლები: ვაჟა ბეჟანიძე, რიზმან ზოიძე, თემურ დავითაძე გაიხსენეს და აღ-

ღვერძელეს (შეუნდონ მათ და მეპ ატიოს მეც, თუ ვინმე მათ გამორჩათ და მეც აქ ისინი ვერ მოვიხსენიე, ნაკლის გამოსწორება კი ყოველთვის შეიძლება!


[ხარების ზნე-ჩვევასა და ხარ-მეხრეობაზე მომიყვან და ჩემი ცოდნა შემივსეს და გამივრცეს: ბათაძე ნოდარ (ალი) ახმედის ძემ (იმხანად მწყემსად მყოფმა) - 52 წლისამ, დავითაძე ქაზიმ მუსტაფის ძემ (იმხანად მწყემსად მყოფმა) - 49 წლისამ, დავითაძე არმაზ ქაზიმის ძემ (იმხანად მწყემსად მყოფმა) - 18-წლისამ].

2013 წელი, აგვისტო.

სამწუხარო შენიშვნა: 2014 წლის აგვისტოში სოფლად ასულს მეტად საწყენი ამბავი დამხვდა: სოფელში იმდენი ხარი უკვე აღარ დარჩენილა, ხარ-მეხრეობა შემდგარიყო, მიზეზად კი ტექნიკური პროგრესი, - მინიტრაქტორების შემოტანა დასახელდა... კეთილი საქმე გაკეთდა, რამაც, ცხადია, მთიელის ჯაფა გააიოლა. მაგრამ მე ერთბაშად მთელი ისტორიით გავდარიბდი... ნუთუ ხარის საწოლს („იათაღს“) ამიერიდან თავისი ბინადრები აღარ ეყოლებიან?! ალბათ... ალბათ... რას იზამ, დროს თავისი მიაქვს და თავისიც მოაქვს, მეურნეს კიდევ ნაკლები ოფლით მეტის მომკობა ურჩევნია. მე კი, ერთად აღებული მთელი ამ ღუნის ტრაქტორების საამო გრუხუნს, მითიურ რქაზე დედამიწაშედგმულ ღვთიური ხარი-წიქარას,

გინა „სანთელასა“ თუ „მურემას“, გინა კიდევ იმ უკანასკნელი ხარ-ბულა-მოჭიკანის, - გომანის ბოლო მეფე-ბულის, - „კაბიას“ ერთი, ტანში ჟრუანტელ მომგვრელი, უცნაური შეკვივანება მირჩევნია და ღმერთმა ქნას, რომ არ იყოს იგი უკანასკნელი....

2014 წელი, აგვისტო.





კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და კერძი ქელაში

აჭარის წარსული და აწმყო სისხლს-ორცეულადაა დაკავშირებული საქართველოს მრავალსაუკუნოვან და მდიდარ ისტორიასთან.

აღრინდელ საუკუნეებში, განსაკუთრებით აღორძინების ეპოქაში, სამხრეთ საქართველო დაწინაურებული კუთხე იყო, მაგრამ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარა თანდათან ოსმალებმა დაიპყრეს. სამასწლიანი ბატონობის პერიოდში მათ ააოხრეს და გააჩანაგეს კუთხე, მოსპეს მისი მატერიალური, სულიერი და კულტურული ძეგლები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდ ქართველ მამულიშვილებს არასოდეს დაუკარგავთ საქართველოს გამთლიანების იმედი. არც აჭარლები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, ბევრჯერ აუჯანყდნენ მტერს ქრისტიანული სარწმუნოების დასაბრუნებლად და ეროვნულობის დასაცავად.

1878-79 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დედამშობლოს დაუბრუნდა. ქართული ეროვნული სულით გაჟღერთილი პატრიოტები დაუღალავად იღვწოდნენ აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების, მის მოსახლეობაში ეროვნული თვით შეგნების გაღვიძების, ქართული საქმის აღორძინების, ქართული სკოლების, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გასასწრაფად.

მართალია, ოსმალებმა ვერ შეძლო ქართული კულტურის, ქართული ენის მოსპობა, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ გააბატონა მუსლიმანური სარწმუნოება, რაც თავისთავად საკმაოდ ძლიერ ანტიქართულ ფაქტორს წარმოადგენდა. საქართველოსთან შეერთების შემდეგ დიდი მუშაობა იყო საჭირო, რათა ისევ აღდგენილიყო ქართული კულტურა. საამისოდ დაიწყო კიდევ ეროვნული შეგნების გარდამავებისაკენ მიმართული საქმიანობა, რომელიც არა ერთ დაბრკოლებას აწყდებოდა.

უბედურება ის იყო, რომ ქართულ კულტურას აჭარაში ახალი მტერი გაუჩნდა. ეს იყო რუსეთის მთავრობა, რომელსაც საკმაოდ გავლენიანი მოკავშირეებიც ჰყავდა ბეგებისა და ხოჯა-მოლების სახით, მაგრამ „ქართველი ხალხი, მისი მოწინავე ინტელიგენცია ძმურად უწვდიდა ხელს აჭარლებს და ცდილობდა, ყველაფერში დახმარებოდა მათ, კერძოდ, კულტურის მშენებლობის საქმეში“ (ვ. სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში, თბილისი, 1969, გვ.27).

ამიტომაც აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაწყებულ განახლებასთან ერთად დაიწყო მუშაობა კულტურის სფეროშიც.

ჩვენი კუთხის აკარგით დაინტერესებულ სხვა პატრიოტ მამულიშვილებთან ერთად ეკატერინე გაბაშვილი და დომინიკა ერისთავი წერდნენ: „ყოველ სოფელში, რომელიც მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გაეხსნათ ქართული სკოლა და სკოლაში მასწავლებლად გავგზავნოთ ქალები, რომლებიც თავს დადებენ, გულს გადაუშლიან, სულს აუყვავებენ მაჰმადიან ქალებს“.

ეხებოდა რა ამ თემას, აჭარისტანის ერთ-ერთ კონფერენციაზე ქედის რაიონის წარმომადგენელი ვ. ღუმბაძე აღნიშნავდა, რომ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობაში უფრო აქტიურად უნდა ჩაბმულიყვნენ პედაგოგები. სწორედ მათ უნდა გაეწიათ აგიტაცია ცოდნის მიღების აუცილებლობის შესახებ. ამიტომ კულტურის სფეროს პირველი მუშაკებიც პედაგოგები იყვნენ, განსაკუთრებით, ქალი პედაგოგები, რადგან ისინი ადგილობრივი ოჯახების დიასახლისებთანს წრაფად პოულობდნენ საერთო ენას. ასწავლიდნენ ჭრაკერვას, ეხმარებოდნენ საოჯახო საქმეებში და



უზუცესთა ქორეოგრაფიული
ანსამბლი „ანანური“

ვაჟთა ფოლკლორული
ანსამბლი „ელესა“



ვაჟთა ფოლკლორული
ანსამბლი „ბეთლემი“

მუსიკალური ბენდი





ჯგუფი „მოყვარე“

გოგონათა ანსამბლი
„აგუნდი“



ბავშვთა საესტრადო
ანსამბლი „აბაღელა“

კულტურული ცხოვრებაც ნელა მიიწევდა წინ. ამის შედეგი იყო ის, რომ 1923 წელს ქედაში გაიხსნა მუშათა და გლეხთა სამაზრო კლუბი.

პირველი ქალი მასწავლებელი, რომელიც ქედის მაზრის შრომის სკოლაში 1924 წელს დაინიშნა, იყო ქეთევან კონტრიძე. იგი ივონებს: „ქედის შრომის სკოლაში ვმუშაობდი 1924-30 წლებში. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები დაარსებული არც კი იყო, 1924 წელსვე შევასწავლე წერა-კითხვა უსასყიდლოდ... ქალებს ცალკე ვამეცადინებდი. მე და ჩემმა ქმარმა „არჩილ ქავთარაძემ, შვექმენით ჯგუფი და ვდგამდით წარმოდგენებს. სასცენო მუშაობაში მხარში გვედგნენ და მონაწილეობდნენ: ეუბ ნაკაშიძე, (ქედის მაზრის კომიტეტის მდივანი), ლუბა ჩაკვეტაძე, ლენა მენაბდე, გრიშა სურმანიძე, აიშე შერვაშიძე, ჯემალ აბულაძე, დაუთ დიასამიძე).

1925 წელს კლუბთან ჩამოყალიბდა დრამატული წრე. სცენაზე პირველად გამოვიდნენ ქედელები: შუქრი დევაძე, მურად ნაკაშიძე და აენი ბეჟანიძე, რომელიც ქედის სკოლის მასწავლებელი იყო.

1928 წელს კლუბისათვის ცალკე აგებული იქნა ფიცრული შენობა, რომელსაც „სანიმუშო კლუბი“ ეწოდა.

1938 წელს კლუბი გადაკეთდა მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლად, სადაც წელგამართულად მუშაობდა დრამატული წრე აჭარის დამსახურებული მუშაკის აბდულ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით. 50-იანი წლებიდან მასიურად დაიწყო საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩამოყალიბება. პედაგოგებად მუშაობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ლოტბარები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურული ლოტბარი ნესტორ ჯიბლაძე, რომლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა გუნდმა დიდი მოწონება დაიმსახურა რესპუბლიკური და სარაიონო მასშტაბით. ოდნავ მოგვიანებით ჩამოყალიბდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლიც, რომელსაც ლოტბარი აბდულ ბოლქვაძე ხელმძღვანელობდა. 60-70-იანი წლებიდან დაიწყო ქორეოგრაფიის აღორძინებაც. 1980 წლიდან კულტურის სახლში ჩამოყალიბდა 120 კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ლოტბარ ტარიელ მაღალაძისა და ქორეოგრაფ დავით ლოლობერიძის ხელმძღვანელობით.

მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლი 2007 წლიდან ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრად გარდაიქმნა. რომელიც აერთიანებს სარაიონო -საბიბლიოთეკო და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილებებს.

კულტურის ცენტრმა (დირექტორი შორენა კარანაძე) აქცენტი გააკეთა ფოლკლორული მიმართულებით მუშაობაზე. სადღეისოდ, ცენტრსა და მის დაქვემდებარებაში არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები და მუსიკალური ბენდი ქართული და აჭარული ფოლკლორის ნიმუშების მოძიებასა და აღდგენაზე მუშაობენ. ცენტრში ფუნქციონირებს სერთიფიცირებული ანსამბლები: ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ (ხელმძღვანელი ტარიელ მამალაძე), ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბეთლემი“ (ხელმძღვანელი იმედა ფარტენაძე, ქორეოგრაფი მზია ტუნაძე). ასევე გოგონათა ანსამბლი „იაგუნდი“ (ხელმძღვანელი ეთნომუსიკოლოგი ქეთევან ნაგერვაძე), მუსიკალური ბენდი (ხელმძღვანელი ირაკლი შარაძე), ბავშვთა საესტრადო ანსამბლი „აბადელია“ (ხელმძღვანელი მარინა ჯიჯვაძე), ვაჟთა კვარტეტი (ხელმძღვანელი ირაკლი სირაბიძე), ჯგუფი „მოყვარე“ (ხელმძღვანელი ჯემალ თურმანიძე). უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ანანური“ (ხელმძღვანელი მურად ბოლქვაძე).

გარდა ანსამბლებისა, კულტურის სახლი აერთიანებს 23 სასოფლო კლუბსა და 4 კულტურის სახლს, რომლებიც ცეკვისა და სიმღერის პარალელურად ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული ნიმუშების მოძიებაზეც მუშაობენ. სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში თავმოყრილია ხალხური რეწვისა და სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების ეთნოგრაფიული ნივთები. შეიკრიბა და გამოსაცემად მზად არის ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში შეგროვილი ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები, გაკეთდა ტურისტული გზამკვლევები, დაწესდა სახალხო დღესასწაულები: „შემოდგომა ქედაში“, „ნამეფვარობა“, „მერისობა“, „ხორუმობა“, „ფრიდონობა“.

ამჟამად ქედის კულტურის ცენტრი 120 თანამშრომელს აერთიანებს, რომლებიც აქტიურად ემსახურებიან საზოგადოების კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას.

ეკლესიები და ნაეკლესიარები ქედის რაიონში

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „აჭარელნი იყვნენ ძველად მხნე მუშა-კაცნი, მხვნელ-

რომლებზეც დაშენებული ყოფილა ჯამეები: დანდალო, ცხმორისი, აბუქეთა, კანტაური,



მთესველნი, სახლის მკეთებელნი, ეკლესიის მაშენებელნი. ვახუშტი ამბობს, რომ სამცხეში „არ მოიპოვება სოფელი, დაბა, აგარაკი, რომელსა შინა არ იდგეს საყდარი, ანუ ეკლესია თლილის ქვით ნაშენნი, ორი ან სამი, დიდი და მცირენი. სამწუხაროდ, დღეს ასე აღარ არის და აჭარის სოფლებში თითო ნაშთსაც იშვიათად შეხვდება კაცი, ისიც დანგრეულ-დაქცეულს“.

1895 წლისათვის ქედის შემდეგ სოფლებში ყოფილა ნაეკლესიარები,

ნავანები, ვაიო, ახო, გობრონეთი, კინძაკარაში, ალიქოლღები, სილიბაური, ნამონასტრევი, ორცვა, კორომხეთი, ორთა-ხოხნა, დერე-ხოხნა, ბზუბზო, ზუზოფელი, გულები, სალორეთი, ზედა მახუნცეთი, ზუნდაგა, ბაბუჩაშვილები, ბელტური, დოლოგანი, ჭინიკაძე.

სოფლებში: აქუცა, ღოღაძე, ქედა, მერისი, შავაბურა, ზვარე, საფარა ყოფილა ნასაყდრალეები და ამაზეც ჯამეები დაშენებული.



ამჟამად ქედის მუნიციპალიტეტში არსებობს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია დაბა ქედაში, ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და სოფელ გულების ზემოთ, ქალაყურის მთაზე, გულების ნაეკლესიარი, რომელიც აღდგენილია დეკანოზ სერაფიმეს მიერ 2001 წელს.

ქედის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლები

დანდალოს ხიდი

რეგიონი: ქედა

ტიპი: საინჟინრონაგებობა-თალიანი ხიდები

თარიღი – XI–XIII ს. ს.

მისამართი: მდინარე აჭარისწყლის სოფელ დანდალოს მონაკვეთი



დანდალოს ხიდი მდებარეობს ქედის რაიონში, დანდალოს ტერიტორიაზე. ამ ხიდის მონაცემები ასეთია: ხიდის სიგმა 34,5 მეტრი, სიგანე თავბანდთან 2,8 მ. ბურჯის სიმაღლე 4,6 მ-ს შეადგენს, სიგანე კი 4,55 მ. კამარის ქუსლის სიგანე შეადგენს 1,1 მ-ს, ლავგარდანის სისქე მერყეობს 10-14 სმ შორის.

იური სიხარულიძეს მიაჩნია, რომ სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასეთი ფორმის ხიდის აშენება გაცილებით რთულია, რამდენადაც დატვირთვები არათანაბრად ნაწილდება.

დანდალოს ხიდის მარჯვენა ბურჯი პირდაპირ კლდეზე დაშენებული, მარცხენა ბურჯი კი, ალბათ, მალის შემცირების მიზნით წყალშია შეჭრილი.

მასუნცეთის ძვის თალიანი ხიდი

რეგიონი: ქედა

ტიპი: საინჟინრო ნაგებობა-თალიანი ხიდები

თარიღი – XI–XIII ს. ს.

მისამართი: მდინარე აჭარისწყლის სოფელ მასუნცეთის მონაკვეთი



მასუნცეთის თემი მდებარეობს ქედა-ახალციხის სამარშრუტო გზის 30-ე კილომეტრზე, ზღვის დონიდან 110 მეტრზე. აქვე მდებარეობს მასუნცეთის ქვის თალიანი ხიდიც, რომელიც გადებულია მდინარე აჭარისწყალზე. ეს ხიდი გამოკვლეული და აღწერილი აქვს პროფესორ იური სიხარულიძეს, სადაც ვკითხულობთ: სიგრძე 24 მ., მარცხენა მისასვლელის სიგანე შეადგენს 1,75 მ. ხოლო მარჯვენა მისასვლელისა- 2 მ. ხიდის მისასვლელის შესაბამისად, მისასვლელების სიგანეები ასეთია: 3,24 მ და 3,70 მ. ამ ხიდის სიგანე ცვალებადია და 2 მ-სა და 2,2 მ-ს შორის. ხიდის თალის სიმაღლე წყლის დონიდან შეადგენს 6 მ-ს, ხიდის თალის სიგანე თავბანდში 0,7 მ-ია, ქუსლში კი-1,6

მ. ხიდის ბურჯებად გამოყენებულია კლდე, რომელთა სიმაღლე განსხვავებულია და ამოშენებულია ქვებით.

ხიდის ასაგებად ოსტატებს გამოუყენებიათ ფლეთილი ქვები, მეცნიერი ი. სიხარულიძე ამ ხიდის შესახებ გვიამბობს: „...ფოსოები მასუნცეთის ხიდს არა ქვს. მაღლის სიდიდის გამო ხარაჩოების აგება აქ აუცილებელი არ იქნება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხიდის მშენებლობის დროს მდინარეში ჩასობილი იქნებოდა დროებითი ხიმინჯები, რომელზედაც ეწყობოდა ხარაჩოები.“

მასუნცეთის ხიდს არ ეტყობა ის დახვეწილი ტექნიკა და სამუშაო სიფაქიზე, რაც კარგად შეინიშნება დანდალოს ხიდზე. მასუნცეთის ხიდს არ ქონია არც ლავგარდანი და არც მოაჯირი.

მიწის ხიდი


რეგიონი: ქედა

ტიპი: საინჟინრო ნაგებობა-თაღიანი

ხიდეები

თარიღი – XI–XIII ს. ს.

მისამართი: მდინარე ჭანჭახაღი, სოფელი პირველი მაისი



ამ ხიდის სახელწოდებას იური სიხარულიძე ასე განსაზღვრავს: „ხიდს მოსახლეობა მიწის ხიდს უწოდებს. ეტყობა, ეს სახელწოდება წარმომდგარა იმისაგან, რომ ხიდზე კირის ხსნარი ნიაღვრისეული მიწით არის დაფარული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ტალახით იყოს ნაგები”

მიწის ხიდი აგებულია მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, მდ.ჭანჭახაღზე, ვიწრო და კლდოვან ადგილზე, ქედის რაიონის სოფელ საღორეთის (პირველი მაისი) ტერიტორიაზე. ამ ხიდის სიგრძე სიმაღლესთან შედარებით მცირეა და უდრის 7 მეტრს, მაღლის სიმაღლე 2,3 მ-ია. ისარი შეადგენს 3,5 მეტრს. ხიდის საერთო სიგრძე 16 მ-ს უდრის, მისი სიგანე კი 2,6 მეტრი გახლავთ.

ხიდის ბურჯი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე და მისი სიმაღლე 4,46 მ-ს უდრის. ბურჯის სიმაღლე 1,16 მ-ია., სიგანე- 2,62 მეტრი. ხიდის ბურჯებს ეყრდნობოდა თაღი, რომელსაც წრიული ფორმა აქვს და აგებული გახლავთ გათლილი, სუფთა ქვებით.

ხიდის მისასვლელები ნაგები გახლავთ ფლეთილი ქვებით.

მიწის ხიდი შუა ფეოდალური ხანის ძეგლი უნდა იყოს”.

საღორეთის ციხე

რეგიონი: ქედა

ტიპი: საფორტიპიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი — XVI -XVII ს ს.

მისამართი: სოფელი პირველი მაისი



მაღალ სერზე, რომელიც თავს დაჰყურებს სოფელ საღორეთს (შემდგომში პირველი მაისი), შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელიც საღორეთის ციხეაა ცნობილი.

ეს ციხე აგებულია მაღალ, ციცაბო და კლდოვან ბორცვზე და მასთან მისვლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზით — ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. დღესდღეობით, ამ ციხისაგან შემორჩენილია მისი კოშკი, გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკის მონაშენი კედლის ნანგრევი (ჩრდილოეთით). ციხის ფართობი 200 კვ.მ. შეადგენს. კოშკი ოვალური ფორმისაა და მისი ფართობი შეადგენს 6 კვ.მეტრს. მისი სიმაღლე 2,5 მეტრია, კედლის სისქე კი მერყეობს 1,5-2 მეტრს შორის. ეს

კოშკი ჩაშენებულია გალავანში, რომელსაც ოვალური ფორმა გააჩნია. შედარებით უკეთესაა შემონახული კოშკზე მიშენებული გალავნის ჩრდილო ნაწილი. ჩვენამდე მოღწეული ამ გალავნის სიგრძე შეადგენს 7,3 მეტრს, მისი სიმაღლე კი 2,1 მეტრია. როგორც პროფესორ იური სიხარულიძეს მიაჩნია (რომელმაც თავის დროზე ეს ციხე გამოიკვლია), სწორედ ამ მხრიდან იყო შესაძლებელი ციხეზე მისვლა და გალავანი სწორედ აქედან უნდა ჰქონოდა. ამას ადასტურებს გალავანში გარედან დატანებული საფეხურები.

ციხე ნაგებია ჩვეულებრივი ფლეთილი ქვით, რომელიც, სავარაუდოა, რომ მახლობელი კლდეების ჩამონატეხი იყო.

ცივასულას ციხე

რეგიონი: ქედა

ტიპი: საფორტიპიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი – XVI–XVII ს.ს.

მისამართი: მდინარე აჭარისწყლის სოფელ პირველი მაისის მონაკვეთი



ცივასულას ციხე მდებარეობს ქედის რაიონში, აგარის ლელესა და მდინარე აჭარისწყლის შესაყარში. იმ ადგილს, რომელზედაც ეს ციხეა განთავსებული, „ცივასულა“ ეწოდება და ალბათ, სწორედ აქედან წარმოსდგება ამ ციხის სახელწოდებაც.

ციხეს მეტად სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია. მას მხოლოდ ერთადერთი მისასვლელი აქვს (ჩრდილო-დასავლეთიდან), რომელიც ვიწრო, საცალფეხო ბილიკით განისაზღვრება.

ციხე, რომლის ფართობი 400-მდე კვმ-ს შეადგენს, აგებულია კლდეზე, რომელიც სასირეს მთიდან ეშვება ჩრდილო-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს კლდე ჯერ დაბლდება, მერე კი მკვეთრად მაღლდება.

თავის მხრივ, ციხის ეს კოშკი წარმოჩენილია, როგორც ოვალური ფორმის ნაგებობა. მისი დიამეტრი 3,18 მ-ია, მცირე დიამეტრი კი – 2,6 მ. ამ კოშკს ჩვენამდე ძალიან დიდი დაზიანებით მოუღწევია-მისგან შემორჩენილი გახლავთ ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები, ნაწილობრივ – აღმოსავლეთის კედლის ზემოთა ნაწილი.

ამ კოშკის სიმაღლე შიგნიდან შეადგენს 4,5 მეტრს, გარედან კი მისი სიმაღლე 6,5 მ – გახლავთ.

კოშკის ჩრდილო კედელში დატანებულია ორი ფოსო, რომელიც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ კოშკი ოდესღაც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო.

კოშკს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში შემორჩენილი აქვს გალავნის ნაშთი. გალავანში საკმაოდ მოზრდილი ზომის ხვრელებია დატანებული, რომელთა ზუსტი დანიშნულება დღემდე არაა გარკვეული.

როგორც ჩანს, კოშკში, რომელსაც შესასვლელი ციხის ეზოდან ჰქონია, აღიოდნენ ხის მისადგმელი კიბით, რადგანაც აქ ქვის კიბის ნაშთი თუ კვალი არსად შეიმჩნევა.

ცივასულას ციხე აგებულია ფლეთილი ქვებით, ქვითკირით, ამ ქვების ზომები მერყეობს 23/17, 16/13, 23/5 სმ შორის.

ქვებისწყობაუსწორმასწორია, რაც ამ ციხის ხნოვანებასა და სიძველეზე მიუთითებს.

ცივასულას ციხის აგება, შეიძლება, თურქთა მოძალების ხანას, ანუ XVI-XVII საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

ზენდილის ციხე

რეგიონი: ქედა

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი – XVI-XVII სს.

მისამართი: სოფელი ზენდილი



აჭარისწყლის ხეობაში, ბათუმიდან დაახლოებით 40 კმ. მანძილზე, ქედის რაიონში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, დაბა ქედის მახლობლად სოფელ ზენდილში აღმართულია ციხე, რომელსაც ადგილის მიხედვით ზენდილის ციხე ეწოდება.

ამ ციხის მშენებლობაზე, მისი აშენების ზუსტ თუ მიახლოებით თარიღზე მემატიანეებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. ასე, რომ აქ არსებულ ნაგებობათა დათარიღება მხოლოდღა არქიტექტორულ-მხატვრულ ანალიზზე თუ იქნება დამყარებული, რომელიც ამ ციხის წარმოშობის ადრეულ საფეხურზე მიუთითებს. ასევე გამოყენებულ იქნა ცნობები ეგრის-აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ სიტუაციათა გათვალისწინებით.

ცხადია, აჭარისწყლის ხეობის მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ პირობებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ ტერიტორიის ათვისებაზე ჯერ კიდევ შორეულ

წარსულში, ლამის უძველეს პერიოდში.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან მოყოლებული და ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეებში იბერიას მეტად სტრატეგიული და მოხერხებული გასასვლელი გააჩნდა შავ ზღვაზე.

მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობებისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარისწყლისა და ჭოროხის აუზებს, სადაც VIII–IX საუკუნეებში ბათუმ-არტანუჯის სავაჭრო-ეკონომიური კავშირის მთავარი

ძარღვი გადიოდა.

სწორედ, ამასვე მოწმობენ და ამტკიცებენ ამ მდინარეზე დიდი ხნის წინათ V–VIII საუკუნეებში აშენებული ხიდები.

ცენტრალური არტერია, რომელიც შავი ზღვის აუზიდან იწყება და ჯერ მდინარე ჭოროხს მიუყვებოდა, ხოლო შემდეგ აჭარის ხეობითა და გოდერძის უღელტეხილით ძველ სამცხეში, შემდეგ ახლანდელ ადიგენსა და სამცხეში გადიოდა. სწორედ ამ გზით უკავშირდებოდა მოსახლეობა ერთმანეთს.

არსებობს ძველი გზები, რომლებითაც მექარავნეები აჭარის ქედებზე გადადიოდნენ და ბათუმის გვერდის ავლით პირდაპირ ქედაში ჩამოდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი გადასასვლელი ხინო-ზერაბოსელ-წონიარისით ქობულეთიდან ქედაში ჩამოდიოდა, აქედან კი უკვე გზა ოთხივე კუთხით ხსნილი იყო, როგორც მერისის, ისე გოდერძის უღელტეხილისკენ და ზღვისპირეთ აჭარისკენ.

ცხადია, ქელას როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, სათანადო დაცვაც ესაჭიროებოდა. ეს დაცვა კი წარმოდგენილი გახლდათ ზენდიდის ციხის სახით. სწორედ აქედან, ზენდიდის ციხიდან, შეედლოთ მეციხოვნეებს სათანადო მეთვალყურეობა გაეწიათ და მყარად დაეცვათ როგორც დაბა ქელა, ასევე ეს ცენტრალური სტრატეგიული გზაც.

ზენდიდის ციხეს მეტად მნიშვნელოვანი როლი ექნებოდა დაკისრებული აჭარის სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების, სახელდობრ კი, ბეგიაშვილების, ცივასულის, საღორეთის, ჩხუტუნეთის და სხვა ციხეების ერთიან სისტემაში.

ზენდიდის ციხე დაბა ქელის ცენტრიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული. ციხემდე არის როგორც სამანქანე, ასევე საცალფეხო გზაც. ციხე აღმართულია მთის წვერზე. ციხის მშენებლობა ზუსტად არ არის დათარიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი არქიტექტურული დეტალები ციხის წარმოშობის ადრეულ საუკუნეებზე მიგვანიშნებს.

ზენდიდის ციხეს არაწესიერი ფორმა გააჩნია და ეს ფორმა უთუოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობითაა ნაკარნახევ-განპირობებული. ციხის ზღუდეებში ჩართულია თითქმის ერთი ზომის ნახევრადწრიული გოლოლები-კარიბჭეები.

ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია ძლიერ დაზიანებული სახით. დანგრეულია და დაკარგულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, აღარსადაა დარჩენილი ქონგურებისა და საბრძოლო ბილიკების კვალი, რის გამოც გალავნის კედლების სიმაღლეზე შეიძლება გაგვანდეს მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდო, არამყარი მოსაზრება.

ციხის გალავნის კედლები საკმაოდ ციცაბო ფერდობის ზედა უკიდურეს ჰორიზონტალურ ხაზს მოყვება და არაწესიერ, წაგრძელებულ მრავალწახნაგს წარმოადგენს.

გალავნის კედლებში ჩართულია ორი შესასვლელი და ნახევარწრიული სამი გოლოლი, რომლებიც გალავნის კედლებიდან სამი მეოთხედით გარეთ გამოდიან.

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ჯერ-ჯერობით გაურკვეველი ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები და საძირკვლები.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი ერთ სწორ ხაზზე არ მდებარეობს, იგი ტეხილ წახნაგ-მონაკვეთებად მიუყვება რელიეფს. მისი საერთო სიგრძე 50 მ-ს შეადგენს. კედლის სიგანე მერყეობს 110-130 სმ. შორის. კედელი ეზოს მხრიდან სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი, მინიმალური სიმაღლე 20 სმ, მაქსიმალური კი – 110 სმ. კედლის აღმოსავლეთი ნაწილი ეზოს პირდაპირ 2,5 მეტრის სიმაღლეზეა.

გარედან კედლის სიმაღლე რელიეფის მიხედვით იცვლება. მაქსიმალური სიმაღლე 5 მ-ია.

ჩრდილოეთის კედელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის კუთხიდან დასავლეთით სწორი ხაზით მიემართება ჩრდილო-დასავლეთ გოლოლამდე. მისი საერთო სიგრძე 56 მ-ია. კედლის სისქე 125 სმ-ს უდრის. კედლის აღმოსავლეთის ნაწილი ეზოს ზედაპირიდან 2,5 მ სიმაღლეზეა და მთლიანად დაფარულია მარადმწვანე სუროს სქელი ფენით.

კედლის განივკვეთში შემორჩენილია ძეგლის ბუდეები, რომლებიც კედელს გრძივი მიმართულებით გასდევს. კედლის დანარჩენი სხვა ნაწილი (42 გრძივი მეტრი) ბოლომდე მთლიანად დანგრეულია და მის შუაში, გალავნის კედელზე დაშენებულია საცხოვრებელი სახლი, რომელსაც დაკავებული აქვს 11 გრძივი მეტრი.

დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში მოთავსებულია შესასვლელი ანუ კარიბჭე, შემორჩენილია ქვის წირთხლი ზღურბლის ქვაში ამოკვეთილია ლითონის კარის ქუსლის ბუდე ჩაღრმავებით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1–5 მ-მდე მერყეობს.

2001 წლის აგვისტო-სექტემბერში ბათუმის ბერძენიშვილების სახელობის კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ჯგუფმა ზენდიდის ციხეში გათხრება ჩაატარა. ციხის კედლები გაიწმინდა სუროსა და

ხავსისაგან – ციხის შიგნითა ტერიტორიიდან ამოიღეს ტონობით მიწა, გამოჩნდა ციხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ცენტრალური ოთახი, რომლის იატაკის ნახევარი დაფარული იყო ფლეთილი ქვებით და ნახევარიც – მიწით. გამოჩნდა კედლის ბოლოებში დატანებული წყლის საწრეტები. ასევე შეინიშნებოდა ნახვრეტები კედლების კუთხეებში, რომელიც სეისმური თვალსაზრისით იყო უთუოდ გაკეთებული.

ცენტრალური ნაწილის შესასვლელში აღმოჩენილ იქნა ორი ზღურბლი – ძველი და ახალი, რომელიც დროდადრო ციხის რესტავრაციაზე მიუთითებს. ცენტრალურ ნაწილში შეინიშნება ბუნრის არსებობის კვალიც და ამ მიზნით კედელთან ადგილიცაა დატოვებული.

გათხრებამდე, ზედაპირული დათვალიერებებით, ხსენებული ოთხი გოდოლი დანგრეულად ითვლებოდა, მაგრამ გათხრებით დადასტურდა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის გოდოლი თითქმის მთლიანად იყო შემორჩენილი.

ციხის ტერიტორიის შიგნით არის ჭა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. გათხრებისას აღმოჩნდა უამრავი ჭური, რომელთა ნაწილი დამტვრეული იყო, ზოგიერთი – მთლიანი. ციხეში წყალი შედიოდა თიხის მილებით, რომლებიც თიხის წარმოების მაღალ დონეზე მიუთითებს. ციხის ცენტრალური შენობის გვერდითა ნაწილში აღმოჩენილია რკინის ჭურვები (ორი ცალი), რომლებიც საბრძოლო დანიშნულებისაა. არქეოლოგთა დასკვნით, ზენდიდის ციხე გვიანფეოდალური ხანის ციხეების მიეკუთვნება, რომელიც იყო როგორც სტრატეგიული დანიშნულების, ისე საგვარეული ციხეც. ციხის გვერდით მდებარეობს მცირე ზომის საყდარი. გათხრებით დადგინდა, რომ იგი წააგავს წარმართული ხანის სალოცავსა და ქრისტიანულ საყდარსაც. მასალები ცხადყოფენ, რომ იგი აშენებულია ახ.წ. აღრიცხვის V–VIII საუკუნეებში. ეკლესიის სამი კედელი სრულადაა შემორჩენილი, აღმოსავლეთის კედელში არის ტრაპეზი და

ოთხი თარო-თახჩა. ეკლესიის შიგნით დაკრძალული იყო სასულიერო პირი. გვაძი დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით: გულხელდაკრეფილი, გულზე ჯვრით.

სამარხები აღმოჩნდა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. როგორც ყოველთვის, სამარხთა რაოდენობა ყოველთვის მეტია აღმოსავლეთით, რომელიც შემდგომ ვრცელდება სამხრეთისაკენ და დასავლეთისაკენაც, იშვიათად – ჩრდილოეთით. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაპოვია სამი სამარხი. მათ შორის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა მოჭიქული თიხის ჯამი-მერვე საუკუნისა, რომელიც მიცვალებულს პირზე ჰქონდა დაფარებული, რათა საღად შეენახა მიცვალებულის სახე, რომელიც ჯამით იყო დაფარული. მიცვალებული

დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით, თუმცა აქვე გვხვდება წარმართული რელიგიის გადმონაშთიც. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს მიცვალებულს პირზე დაფარებული თიხის ჯამი. მიცვალებულზე ნივთების ჩატანება წარმართობის დროინდელი გადმონაშთია. სამარხი თარიღდება მე-10-11 საუკუნეებით. აგრეთვე არცერთ აქამდე არსებულ ნაშრომში, რომელიც ზენდიდის ციხეს ეხება, არ არის ნახსენები ციხის სამხრეთში არსებული საიმედო გასასვლელი, რომლის ფუნქციაც უნდა ყოფილიყო, ალბათ, ციხის მომარაგება წყლითა და სურსათით“.

აგრეთვე აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და თიხის სასანთლე, რომელშიც შემორჩენილი იყო სანთლის ნამწვავი. აღმოჩნდა სამეურნეო დანიშნულების ობიექტი-თიხის ჭურები (სადულარა და შესანახი ჭურები).

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეკლესიას ფუნქციონირება დაუწყია მე-9 საუკუნეში და შეუწყვეტია თურქთა ბატონობის წინარე პერიოდში.

ზენდიდის ციხის არქეოლოგიური შესწავლა, და შესაბამისად ისტორიულიც, დასრულებული არ არის. გასათხრელია ციხის შიგნით არსებული ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შესაძლოა, თავის წიაღში უამრავ მასალას მალავდეს ამ ციხესთან დაკავშირებით.

გულების ციხე

რეგიონი: ქედა

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი – XV სს.

მისამართი: სოფელი გულები



ეს ციხე ქედის რაიონის სოფელ გულებიდან დაახლოებით 3-4 კმ-ითაა დაშორებული და მდებარეობს ამ სოფლის თავზე „საწუმპიას“ მაღალ კლდეზე. ციხეს ერთადერთი მისასვლელი გააჩნია დასავლეთის მხრიდან. იგი სხვა ციხეებთან შედარებით პატარაა, მისი ტერიტორია 70-80 მ 2-ს თუ შეადგენს. ჩვენამდე ამ ციხის მხოლოდ ერთ ნაგებობას მოუღწევია, რომლის ფართობი 14 მ 2-ს შეადგენს.

ამ ციხის შესახებ მეცნიერი და მკვლევარი, პროფ. იური სინარულიძე წერს: „ეს კოშკი უდავოდ სართულებიანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მისი დაზიანების გამო ამის საბუთის მოკვლევა არ ხერხდება. ციხის ტერიტორიაზე სხვა რამ ნაგებობის კვალი არ შეინიშნება, ციხე ნაგებია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე. შეინ-

იშნება უსწორმასწორო წყობა. ეს ქვები აქვე, მახლობლადაა მოპოვებული. თავისი მშენებლობის ტექნიკით, მისი გადაწყვეტით, ასევე აქ არსებული სათოფურები და სხვა ცნობების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ამ ციხის აშენება XVI ს. თარიღდება. როგორც გადმოგვცემენ, 1575 – 1576 წწ ამ ციხეში ყოფილან შეხიზნული სამცხის ათაბაგი ყვარყვარე და მისი დედა დედისიმედი“.

თურქთა ბატონობის პერიოდიდან, გულების ციხე სალოცავად გადაკეთდა ქრისტიანობის აკრძალვის გამო და ამის შემდგომ იგი მოიხსენება, როგორც გულების ქილისა (თურქული სიტყვიდან „კილის“-საყდარი).

გულების ციხის მფლობელები, ისტორიკოსთა ცნობით, არიან სამცხიდან გადმოსახლებული დიასამიძეები.



ლია მასარაძე

ქედის კულტურის ცენტრის
სპეციალისტი

გულების ციხე

(ტოპონიმ „გულების ციხის“ გაგებისათვის)

გაზეთ „ქელაში“ გამოქვეყნდა თამაზ (ზენონ) ჯაბნიძის წერილი „ღირს დაფიქრებად“, რომელშიც ავტორი სვამს კითხვას: რა დანიშნულება ჰქონდა იმ კულტურულ ძეგლს, რომელიც „საწუმპიას“ მთაზე მდებარეობს და ხალხი „ქილისას“ ეძახის.

შევეცადეთ ამ კითხვაზე პასუხი გავვეცა დიმიტრი ბაქრაძის წიგნის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ მიხედვით, რომელმაც მაშინდელ „ოსმალის საქართველოში“, აჭარაში, 1873 წელს „თურქთა ბატონობის პერიოდში, იმოგზაურა. მან აღნიშნული მოგზაურობა აღწერა და რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით 1878 წელს წიგნადაც გამოსცა.

მდიდარი ფაქტობრივი მასალა დოკუმენტურ წიგნში ისეთი მაღალი მეცნიერული დონით გადმოსცა და გააანალიზა, რომ მკითხველი დღესაც დიდი ინტერესით ეცნობა.

ბაქრაძე მასალებს გვაწვდის ქედისა და მისი შემოგარენის, განსაკუთრებით, გულების ციხის შესახებ.

მართებულია თ. ჯაბნიძის აზრი, რომ „კილის“ სიტყვა ჩვენში, მართლაც თურქულიდან უნდა იყოს შემოსული და „საყდარს“ აღნიშნავდა. საკუთრივ თურქული ენისათვის „კილის“ კალკია და ბერძნულიდანაა ნასესხები, რადგან ოტომანთა იმპერია მათ მიერ დანგრეულ ბიზანტიის ნანგრევებზე აღმოცენდა 1453 წლის შემდეგ. „საქრისტიანოს ბუდედ“ წოდებულ ბიზანტიაში კი მრავლად იყო დიდი თუ მცირე ზომის ეკლესია ან საყდარი. რა გა-

საკვირია, რომ ორი საუკუნის შემდეგ დაპყრობილ აჭარაშიც გადმოვიდა სიტყვა „ქილისა“, ოღონდ განსხვავებული ფორმით – „ქილისე“.

სწორედ დავით ბაქრაძეა ის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ქედელები ამ ტერმინს XIX საუკუნის 70-იან წლებში იყენებდნენ ეკლესიის აღსანიშნავად. ზემო აჭარაში მგზავრობისას ბაქრაძეს სოფელ საღორეთში (ახლანდელი პირველი მაისი) ვიდაც მუთაოლლისთან გაუთეგია ღამე (ცნობისათვის: მუთინოღლები დღეს დვალიძეებად იწოდებიან და მართლაც ცხოვრობენ პირველი მაისის თემში). მასპინძელთან საუბარში ბევრი რამ გაარკვია და გადაიტანა წიგნში. გთავაზობთ ციტატას ამ წიგნიდან: „იმ საღამოს საუბრისას ზოგი საინტერესო რამ გავიგე. სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა აჭარლების ეროვნებაზე, მათს ენასა და მათს ძველ ეკლესიებზე. ეკლესიას აჭარაში ყველგან ქილისეს ეძახიან. ეს დამახინჯებული ქართული ეკლესიაა“. საინტერესოა ასევე საიდან და ვისგან მომდინარეობს ტერმინი „გულების ციხე“. მიკვეთ დ. ბაქრაძის ზემოთ აღნიშნულ წიგნს: „სოფლებიდან განსაკუთრებით მაინტერესებდა ქედა, ერთადერთი დასახლებული ადგილი აჭარაში, რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს და რომელიც, მისი სიტყვით, „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა... მოსახლენი არიან ვაჭარნი“. ქედა სავაჭრო პუნქტია გარშემო მცხოვრებთათვის. აქ არის 20-30 დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვება ყავა, ჩაი და სხვა წვრილმანი. ქედა აჭარისწყლის

ორივე ნაპირზე მდებარეობს და ოთხი უბ-
ნისაგან შედგება: საკუთრივ ქედა, ასანური
(იგულისხმება არსენაული) და ორცვა მარ-
ცხენა და გულები მარჯვენა ნაპირზე. აქ
ვერაფერი საინტერესო ვერ მიმასწავლეს,
რაკი ვფიქრობდი, რომ ქედაში, რომელსაც
ვახუშტიმ ვერ კიდევ XVIII საუკუნის
დამდეგს განსაკუთრებული ყურადღება მია-
პყრო, რაიმე არქეოლოგიური ძეგლი უნდა
ყოფილიყო, გადავწყვიტე გამოძიებოთხა კაი-
მაკამ ხუსენ-ალასათვის, რომელთანაც, სხ-
ვათა შორის, ჯუდიჩიმ სარეკომენდაციო
წერილი გამომატანა და რომელიც ზაფ-
ხულს ციცაბო მაღლობზე ატარებს ორ-
ცვაში, თუმცა მუდმივი რეზიდენცია გუ-
ლებში აქვს. ძლიერ ცხელოდა და ძლივს
ავადწიე მასთან ცხენით, მეც დავიღალე და
პირუტყვიც გავასავათე. ხუსენ-ალამ მიმას-
წავლა და ისიც გაურკვეველად, ეკლესიების
ნანგრევები ზენდიდსა და გულებში”, თუმცა
გულებში ეკლესია რომ უკვე აღარ იყო, მა-
ლევე დარწმუნდა ამაში, თუ რატომ, შემდე-
გი ციტატიდან გაიგებთ: „ჩვენ დავბინავდით
ერთ მოხუცთან, გვარად დიასამიძესთან.
იგი ხელობით დალაქია, ახლანა ან მოსუ-
ლა ბათუმიდან, სადაც, ისე როგორც ბევრ
აჭარელს, აქვს სახლები და დუქნები და
სადაც ცხოვრობს შემოდგომაზე და ზამ-
თარში. დიასამიძემ ამიხსნა და ეს სხვებ-
მაც დაადასტურეს, რომ არც ზენდიდსა და
არც გულებში არავითარი ძველი ეკლესი-
ის ნანგრევები არ ეგულება; ასეთი ეკლე-
სიები, თამარ მეფის აშენებული, იყო ზემო
სოფლებში- დონდალოში (დანდალო), ჭვა-
ნასა და შვახევში. ისინი დიდი ხანია და-
შალეს და თუ მათი ნაშთი დარჩენილა,
უკვე ტყითაა დაფარული. მხოლოდ ერთ
სოფელში, სხალთაში შემორჩა ეკლესია.
ასეთი ეკლესია იყო ხულაში, მაგრამ მისი
ქვები ხიმშიაშვილებმა შენობებსა და თვით
მეჩეთებზე, ანუ ჯამეზე გამოიყენეს. „ჩემს
ახალგაზრდობაში, დასძინა მოხუცმა, ჩვენ
ვლოცულობდით მათს ნანგრევებში ძველი
ჩვეულებისამებრ, ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-
პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და
რომ ჩვენ თვითონ მოდემით გურჯები ვართ,

ახლა აჭარლებს მხოლოდ შიშსა გვრით
ის ადგილები, სადაც ოდესღაც ეკლესიები
იდგა, და ბევრი მათგანი ვერ ბედავს მი-
უახლოვდეს მათ”. იგივე მოხუცი ეკლე-
სიების მოუღწევლობის მიზეზად ასახელებს
იმას, რომ ეკლესიები ძირითადად ხისგან
იყო ნაშენები და დანგრევის შემდეგ თურქე-
ბი, ცხადია, ხელმეორედ აშენების უფლე-
ბას არავის მისცემდნენ. შესაძლოა, გულების
ციხის სიანლოვეს მართლაც იყო ხის
ეკლესია, რომელიც დიდი ხნის წინ იყო
დანგრეული რომელიც მოხუც დიასამიძ-
ესაც კი აღარ ახსოვდა. ამიტომ ხალხს
სხვა სალოცავი რომ აღარ ჰქონდა, ეს
როლი იტვირთა თურქთა ბატონობის გამო
უკვე ფუნქციადაკარგულმა გულების ციხემ
თუ სათვალთვალ კოშკმა, როგორც შემდ-
გომ მას უწოდა იური სიხარულიძემ.

ტერმინი „გულების ციხეც“ სხვათა-
შორის, დიმიტრი ბაქრაძემ ახსენა პირვე-
ლად. „მოპირდაპირე ფერდობზე, სოფელ
ზენდიდში ლამაზად მოჩანდა მეორე ბე-
გის (პირველ ბეგად ის თავდგირიძეებს
მოიაზრებს, რომლებსაც ქედა მიუტოვები-
ათ) ბეჟანოლის ანუ ბეჟანიშვილის დიდი
ორსართულიანი თეთრი სახლი. კიდევ
უფრო ზევით, გულებისწყლის სათავესთან,
პირქუშად იდგა დაკბილული კლდის მს-
გავსი ძველებური ციხის ნანგრევები, სადაც
ახლა ავდარში მწყემსები და მონადირეები
აფარებენ თავს”.

როგორც ჩანს, გულებისწყლის სათ-
ავესთან მდგომ ნანგრევებს, რომლებსაც
ხალხი „ქილისას“ ეძახდა, ადრე სხვა ფუნ-
ქცია გააჩნდა – იყო სასიგნალო კოშკი,
რომელიც უთუოდ უნდა ყოფილიყო დაკა-
ვშირებული ზენდიდის ციხესთან. მითუ-
მეტს, ირკვევა, რომ ასაკიან გულებელებს
დღესაც ახსოვთ წინაპართა ნათქვამი, რომ
ციხეებს შორის „მალარა“ არისო. მალარა
აჭარული დიალექტის მიხედვით, „გვირაბს“
ნიშნავს

აღნიშნული გვირაბის შესახებ ცნობებს
გვაწვდის კიდევ ერთი დიდი საზოგადო
მოღვაწე და ეთნოგრაფი ზაქარია ჭიჭინაძ-
ე, რომელმაც საკამოდ გვიან, 1895 წელს,

იმოგზაურა აჭარაში. თავის წიგნში „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ ვკითხულობთ: „ გულები – 50 კომლი. მშვენიერი სოფელია და ისეთს ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მანამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოდ ქელასყურის (ქალასკური) მთის ახლოს ძველად ეკლესია ყოფილა., სადაც აქაურები დადიოდნენ სალოცავად. ამ ეკლესიის ნანგრევი დღესაც სჩანს. ერთის მხრიდან ჩასავალიცა აქვს. 15 წლის წინად იმ ჩასავალში ერთი ქართველი მაჰმადიანი ქალი ჩასულა, იქ გზა შეშლია და შიშით ჭკუაზედ შემცდარა, შემცდარი ქალი მალე მომკვდარა, მას შემდეგ იმ ეკლესიის მალაროებს ქართველი მაჰმადიანები აღარ ეკარებინ, ეშინიათ. ზოგნი ამბობენ, რომ იქ დიდი მალაროები არის და შიგ ფირალები სცხოვრობენო. აქ მოსახლეობენ დიასამიძენი“.

აღნიშნულ ცნობაში სადავოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ თუ 1873 წლისათვის აღნიშნულ შენობას არ თვლიდნენ ეკლესიად, 1895 წლისათვის ის ვერაფრით იქნე-

ბოდა ეკლესია. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილყო ბაქრაძის მიერ აღნიშნული გულების ციხე.

ზედაპირული დათვალიერების შემდეგ, (ფართობის გამო – 14 მ²), როგორც ვთქვით, გულების ციხეს სათვალთვალ კოშკად მიიჩნევდა მეცნიერი და მკვლევარი იური სიხარულიძე. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ქედის ისტორიულ მუზეუმში არ ინახება. ამ ტერიტორიიდან წამოღებული ასეთი ნივთები, ხოლო თუკი მართლაც ინახება სადმე, იმდროინდელი უნდა იყოს, როცა გულების ციხემ თუ სათვალთვალ კოშკმა თავისი ფუნქცია დაკარგა და ხალხმა იღუმალ სალოცავად აქცია ტერიტორიულად მიუვალობის გამო.

ციხის მშენებლობის სავარაუდო თარიღად XI-XIII საუკუნეებია მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო იგი ან ციხე, ან სათვალთვალ კოშკი. XVII საუკუნიდან, ან უფრო გვიან, ხალხმა იგი „ქილისედ“ ანუ მცირე ზომის საყდრად აქცია, ასეთია ვარაუდი, ზუსტ პასუხს, კი ოდესმე არქეოლოგიური გათხრები იტყვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. სახოკია - მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი; ბათუმი 1985 წ.
2. ზ. ჭიჭინაძე - მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში; ტფილისი, 1913 წ.
3. ზ. ჭიჭინაძე - ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთა საქართველოში; ბათუმი, 1911 წ.
4. დ. ბაქრაძე - არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში; ბათუმი, 1987 წ.
5. ვახუშტი ბატონიშვილი - აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება; ტ. I. თბილისი, 1973 წ.
6. ი. სიხარულიძე - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა; წიგნი I. ბათუმი, 1985 წ.



რაც მტერმა დაგვაკლო, ისიც გვეყოფა*

დიდი ინტერესით გავეცანი ჟურნალ „ლაკლაკეთი“-ს 2013 წლის №2-ში გამოქვეყნებულ სტატიას „ერთი სოფლის ხუთი საისტორიო ფურცელი“, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემენ დავითაძე.

ღვაწლმოსილი პოეტი-მეცნიერი სპეციალურ ლიტერატურასა და ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით დამაჯერებლად აღწერს სოფელ გოგაძეებთან დაკავშირებულ რამდენიმე ისტორიულ ფაქტს. ბედნიერებაა, როცა სოფლის შვილი მშობლიური საბუდარის ღირსეულად წარმოსაჩენად დროსა და ენერგიას არ იშურებს, მაგრამ რეალობას არ უნდა მოვწყდეთ.

თავს უფლებას არ ვაძლევდი, შევდავებოდი ავტორს, მაგრამ ვერ მოვისვენე, არნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული ფაქტების თაობაზე რამდენიმე შენიშვნა არ გამომეთქვა.

ბატონი ემენ დავითაძე წერს, სოფელ ტბეთის ერთ-ერთი გარეუბანი – ლომსიანეთი ადრე გოგიეთის (გოგაძეების) შემადგენლობაში შედიოდაო. უნდა აღინიშნოს, ლომსიანეთი მანამდე იყო დასახლებული პუნქტი, ვიდრე ლომსიანეთსა და გოგიეთს შორის ამჟამად არსებული უბნის – ვახტანგეთის ადგილზე ჯერ კიდევ გაუვალი ტყე იყო. ამას ადასტურებენ ტბეთ-გოგაძეებში მცხოვრები უხუცესები.

არაფრისმთქმელია ლომსიანეთის ტერიტორიული სიახლოვე გოგიეთთან, რადგან ბუნებრივი მდებარეობა=განლაგება ამ უბანს სოფელ ტბეთის ნაწილად უფრო წარმოგვიდგენს, მითუმეტეს, რომ ტბეთსა და ლომსიანეთს შორის კიდევ ერთი უბანია, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს მას სოფლის ცენტრთან. ეს უბანია „ნასახლევი“.

ლომსიანეთს – აჭარის ტბეთის ერთ-ერთ უბნად წარმოგვიდგენს მეცნიერ-ისტორიკოსი სიმონ კილაძე, როცა თავის გამოკვლევაში წერს: „თუ ჩავთვლით, რომ ლომსიანისძე ტოპონიმიდან წარმოშობილი გვარია, აგრეთვე, გეოგრაფიული ადგილი ლომსიანეთი აჭარის სოფელ ტბეთის და იმერხევის სოფელ წყალსიმერის ერთ-ერთი უბანია (სხვაგან საქართველოში ლომსიანეთი არ გვხვდება), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გაბრიელ ლომსიანისძე ერთ-ერთი ამ სოფლიდანაა...“.

ამას დაადასტურებენ გოგიეთელი შოთა ჯიბლაძე, ვაჟა, მიხეილ და მურმან თურმანიძეები, ვაჟა ვახტანგიძე, ახმედ ბერიძე და მუხამედ ბათაძე, რომელიც 80 წელს გადაცილებულია და შესანიშნავი მეხსიერებაც აქვთ. ამ სიმართლეს იტყვის ბევრი სხვაც: ტბეთი და გოგიეთი რამ გაყო, ბევრს დღესაც ახსოვს, ახლაც მოიხსენიებს გოგიეთს – ზედა ტბეთად.

* იბეჭდება შინაარსისა და სტილის სრული შენარჩუნებით.

მოცემულ საკითხებში ამ პასკვილის ავტორის არაკომპეტენტურობის და დილეტანტობის გამო აღრესატი პასუხის გაცემას ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ თვლის.

ბატონი ემენ დავითაძე ამავე სტა-
ტიაში გამოთქვამს ვარაუდს, რომ გოგი-
ეთის ეკლესიის უკანასკნელი მღვდელი,
რომელსაც მამა დავითი ჰრქმევია და
გვარადაც დავითაძე ყოფილა, მოწამეო-
ბრივი სიკვდილით აღესრულა ოსმალთა
მიერ. არადა სოფელ გოგაძეებში (გო-
გიეთში) დღესაც კარგად ახსოვთ წი-
ნაპართა გადმოცემები, რომ ის სასუ-
ლიერო პირი, ოსმალებმა რომ მოაშთეს,
მოდღვარი მამუკა თურმანიძე იყო და
სოფელში მის შვილებს „მამაოშვილებს“
ეძახდნენ. შემდეგ მისი შთამომავლები ოს-
მალთა მოძალადეებმა მამუშოლლებად
გადააკეთეს მოგვითხრო ენვერ თურმანი-
ძემ 1999 წელს. დღესაც სოფელ გოგი-
ეთში მამუშოლელი=თურმანიძეები ცხოვ-
რობენ სხვა გვარებთან ერთად. ეკლესია
კი ივანე მახარობლის სახელობის იყო და
ამიტომაც ეძახიან სავარაუდოდ იმ ადგ-
ილს – მეხრეებს სადაც ეკლესია იყო.

საინტერესოა, აგრეთვე, ბატონ ემენ
დავითაძის ჰიპოთეზა „ყერიბ მეზერთან“
(უცნობის საფლავთან) დაკავშირებით, მა-
გრამ, სამწუხაროდ, ეს ვერსია რეალობის-
გან შორს დგას.

ასეთი უპატრონო საფლავი სოფელ
ტბეთის ტერიტორიაზე არაერთია. მო-
გეხსენებათ, ის ადგილი, სადაც ავტორის
მიერ აღწერილი სამაროვანია, ძველი შავ-
შეთისკენ მიმავალი გზის ნაწილია. ავ-
ტორი ვარაუდობს, რომ სავაჭროდ თუ
სხვა მიზნით მიმავალ-მომავალი მგზავრი
ზოგჯერ ავადმყოფობის, სტიქიური უბე-
დურებისა ან ყაჩაღთა მსხვერპლი ხდე-
ბოდა. სამადლოდ დამარხული უცხო –
„ყერიბის საფლავი რომ არ დაკარგულიყო,
კენჭების საფლავზე დაგდება=მიყრაც მად-
ლად გამოაცხადეს ჩვენმა წინაპრებმა და
ამ რიტუალს დღემდე ასრულებს შთამო-
მავლობაო. ამდენად, ეს სამარხი „უცხო
მომხდურთან ბრძოლაში დაცემულ უცნობ
გმირთა ან გმირის სამუდამო განსასვენებ-
ელს უნდა წარმოადგენდეს“.

ავტორის ეს ვარაუდი საფუძველს მოკ-
ლებულია.

ოსმალთა სამსაუკუნოვან მპყრობელო-
ბაში მყოფი აჭარის ისტორია, სამწუხაროდ,
ბნელითაა მოცული და თეთრი ლაქები
აღმოსაფხვრელია. სათქმელი ბოლომდე
უნდა ითქვას.

ცნობილია, რომ არის გოგიეთში, ტბეთ-
ში, სათიხეთში, ჩხიკვეთში, კიბითხევში, ზედა
ვაკეში ასეთი საფლავები.

ხომ არ დაინტერესებულხართ, ბატო-
ნო ემენ, კეჭების სროლას თუ მადლად
მიიჩნევდნენ ჩვენი წინაპრები, რატომ არ
ვესროდით და არც ახლა ვესვრით ჩვენს
სოფლებში მრავლად არსებულ უცნობისა
თუ ნაცნობის საფლავებს კენჭებს? პა-
სუხი ერთია: კენჭებს, ქვებს, ფეხით მიმა-
ვალი ჩვენი წინაპრები ესროდნენ იმ სა-
მარხებს („ყერიბ მეზერს“), რომელშიც
მტრების გვამები განისვენებენ. ამ ქმედებ-
ით ისინი მტრისადმი სიძულვილს გამოხ-
ატავდნენ, თუმცა საფლავებს არაფერს
ავნებდნენ, განსხვავებით მომხდურთაგან,
რომლებიც საფლავებსაც ერჩოდნენ.

ქვა და კენჭები ესროლო საფლავს
და ეს პატივისცემად ითვლებოდეს, ჯერ
არსად თქმულა და არც არავის სმენია.

რაც შეეხება ტბეთის მონასტერს, რო-
მელიც სოფლის ცენტრში იყო განლაგებ-
ული, ის ოსმალეთის სულთანმა უსახსოვრა
ჯაყელებს და შემდეგ ჯაყელებისგან იყიდეს
დავითაძეებმა 1830 წელს, სადაც დღეს
შირინალათშვილი=დავითაძის შთამომავლობა
ცხოვრობს. თქვენ არაფერს წერთ, შირი-
ნალა დავითაძის შესახებ, ის კი ოსმალთა
დაუძინებელი მტერი იყო, რისთვისაც რუ-
სეთიდან პენსიაც კი დაენიშნა. იმისთვის,
რომ ის იბრძოდა რუსეთ-თურქეთის ომში.
ასევე, იმედით ველოდით ტბეთ-კოკოტაურის
ქრისტიანული სამარხის, ტბეთის მონასტერ-
თან თიხის მილებით მოყვანილი სასმელი
წყლის, ამ მონასტრის თლილი ჯვარიანი
ქვების, ჭურების, რომლებიც მრავლადაა პა-
ტარეთში, ჭურკვეთში და ნამონასტრების

მთელ დაფიქსირებულ ტერიტორიაზე. თქვენ სიტუაციას აგრეთვე ველოდით ტბეთის ტერიტორიაზე, კერძოდ სავარდებოზე ილია წინასწარმეტყველის სახელობის (ელია წმინდის) ეკლესიის შესახებ, სადაც მრავალჯერ ხარ გავლილი მის სიახლოვეს.

ვინ-ვინ და ბატონმა ემენ დავითაძემ, ალბათ ყველაზე უკეთ იცის, რომ საკუთარი ვერსიით შექმნილი მათიანე ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს.

ღიახ, თითქოს შორს მივდივართ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი აჭარის ტბეთი თავის დროზე დიდ ტერიტორიასაც მოიცავდა. ამიტომ ვამბობთ ტბეთი და გოგიეთი, ანუ ზედა ტბეთი, როგორც აღრიდან უწოდებდნენ მას, და ახლაც ბევრს ახსოვს, რამ გაყო?

მართალია და უდავოა, რომ შავშეთის ტბეთი დიდია, მაგრამ ჩვენი ტბეთიც დიდია თავისი ისტორიული ტერიტორი-

ით, მოსახლეობით, ტრადიციებით, მდიდარი წარსულითა და აწმითი. ეს ისტორია ალამაზებს და ამდიდრებს არა მარტო ამ ხეობას, არამედ აჭარას და სრულიად საქართველოს, როგორც მისი ერთი შემადგენელი ნაწილი.

რაც მტერმა დაგვაკლო, ისიც გვეყოფა, შინაურები მაინც ნუ დავამცრობთ ჩვენს წარსულს. ის, რომ ტბეთია განა არ კმარა.

ასეთ დელიკატურ თემებს, ჩემიანებით, მეტი სიფრთხილე სჭირდება.

(თქვენი პატივისმცემელი:

გურამ თურმანიძე

უჩამბა, ს. ტბეთი. 10. 05. 2014 წ.)

P. S. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ქრისტიანულ ტბეთში და გოგიეთში დავითაძეები არ ცხოვრობდნენ და არც თურმანიძეები ტბეთში.



შინაარსი

ვანო პავუნია, ნანი არაშია

სასოფლო-სამეურნეო სამართლებრივ-ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის
ფორმირება და აგრარული სექტორის პერსპექტივები 3

იოსებ სანიკია

ბათუმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში 18

მერი დიასამია

განათლება ოსმალთა ბატონობის პერიოდში 23

რამაზ სურმაია

პატარა ხეობის დიდი მსხვერპლი 28

ოთარ ცინარი

სად ჩამოახრჩეს ილიასა ხელაძე (ხილაძე) 34

ემენ ღავითაია

აჭარისწყალ-წყალ ზეცისკენ (ლაღვი ჩალეწილი) 36

ღავით თედორაია

ლექები 39

გვითხველის შემოქმედება

რაულ ბოლქვაძე, ნათელა ღუმბაძე, ვახტანგ ბერიძე (ლექები) 41

ქეთევან საფარი

გარდასულ ჭირნახულთა სალარო 43

ირაკლი შარაია

ქართული ჩასაბერი საკრავები 48

თამაზ აბულაია

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო 51

ოთარ ცინარინ

მთაში ტაძრის საძირკველი აკურთხეს 55

ამირან კახია, შოთა მამულაია, ტარიელ მბრალია, შალვა ველიაია

არქეოლოგიური გათხრები შუახევის რაიონის სოფელ წაბლანაში 56

შალვა ველიაია

ხალხური გადმოცემები წაბლანის ეკლესიის შესახებ 61

ემენ ღავითაია

ხარო, ძმასავით მხრიანო, მამასავით საზრუნავო... 66

ლია მახარაია

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და კერები ქედაში 75

შორენა კარანაია

ეკლესიები და ნაეკლესიარები ქედის რაიონში 79

ქედის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლები 80

ლია მახარაია

გულების ციხე (ტოპონიმ „გულების ციხის“ გაგებისათვის) 89

გურამ თურმანი

რაც მტერმა დაგვაკლო, ისიც გვეყოფა 92

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ მადლობას უხდის ბატონ ანზორ ქოქოლაძეს (ტექნობუმის გენერალური დირექტორი) ჟურნალის მე-3 ნომრის გამოცემაში გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის, ამასთან ქველმოქმედების მსურველთ ვთხოვთ ფინანსური შეწყენის სურვილის შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ ნომერზე: მობ: 591 71 57 70.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნაზი ველიაძე

დამკაბადონებელი: ანაიდა ავეტისიანი

ფოტო უზრუნველყოფა: ოთარ ცინარიძე

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ დაიბეჭდა: თბილისი, გამომცემლობა „ივერიონში“
სექტემბერი, 2014 წელი. ტირაჟი: 150. ფასი შეთანხმებით.

ჟურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. გარეკანის პირველ გვერდზე ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი, მეოთხეზე - ხიხანის ციხე (ფოტო ოთარ ცინარიძის).

დამფუძნებელი: შპს „ლომსიანთა“, ელ. ფოსტა lomsianta@mail.ru; მ/ო საჯარო რეესტრი რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013; საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGAE22 ანგარიშის ნომერი: GE75BG000000306366200

რედაქციის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა.
ელ. ფოსტა laklakti2013@mail.ru, shalvaveliadze@gmail.com,
ტელ: 591 71 57 70; 790 25 76 20.



ღირსი ნათლობა სოფელ წაბლენაში 2007 წ.

